საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

ანგარიში

საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის თაობაზე

2015 წელი

Contents

შესავალი 3
პოლიტიკა და მართლმსაჯულება 6
გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება 28
თანასწორობა საქართველოში 34
სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები 46
სეკულარიზმის წინაშე არსებული გამოწვევები საქართველოში 53
მედიის თავისუფლება 62
ოჯახში ძალადობა და ქალთა უფლებები 76
სასჯელაღსრულების სისტემა და პატიმართა უფლებები 83
სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები 99
იუსტიციის უმაღლესი საბჭო და მოსამართლეთა დანიშვნა 113
კონსტიტუციური მართლმსაჯულების გავლენა ადამიანის უფლებების დაცვაზე 118
ECHR მიერ განხილული საქმეები საქართველოს წინააღმდეგ 131

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა წარმოგიდგენთ ანგარიშს, 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

ანგრიშის პირველი თავი ეძღვნება მართლმსაჯულებას საქართველოში და იგი მიმოიხილავს პოლიტიკური მოტივებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებშიც ბრალდებულები/მსჯავრდებულები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. დოკუმენტში განხილულია როგორც ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერების მიმართ წარმოებული ცალკეული საქმეები, ასევე ის მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებსაც გამოთქვამენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები ოფიციალურ შეფასებებში და დასკვნებში. დოკუმენტი ასევე ეყრდნობა 2015 წლის პირველ ნახევარში "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" მიერ გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშს "პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში"[1], რომლის ფარგლებშიც შესწავლილი იქნა ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში არსებული დარღვევები და საქმეებში არსებული პოლიტიკური მოტივაცია. თავში ასევე ასახულია პოლიტიკური მოტივით პირთა დევნისა და შევიწროების შემთხვევები.

ანგარიშის მეორე თავი ეთმობა გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების განხორციელების პრობლემატიკას, განხილულია როგორც საკანონმდებლო სიახლეები, ასევე ის უარყოფითი ტენდენციები რომლებიც დაფიქსირდა შეკრების უფლებაში სახელმწიფოს არამართებული ჩარევის კუთხით. განსაკუთრებით ხაზგასმულია ხელისუფლების მხრიდან, მისი მთავარი პოლიტიკური ოპონენტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერების მიმართ ამ უფლებების განხორციელებაში უხეში ჩარევის მზარდი ტენდენცია.

ანგარიშის მესამე და მეოთხე თავები ეხება თანასწორუფლებიანობის დაცვას და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს ქართულ რეალობაში. ანაგრიშში საუბარია სახელმწიფოს მხრიდან როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულებების არასათანადო შესრულებაზე. დოკუმენტი მიმოიხილავს როგორც პოზიტიურ საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე გამოვლენილ დისკრიმინაციის ფაქტებს, სადაც განსაკუთრებული

[1] < http://gdi.ge/uploads/other/0/227.pdf > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ყურადღება ეთმობა რელიგიური ნიშნით ჩადენილ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულების მზარდ ტენდენციას.

ანგარიშის მეხუთე თავი ეხება სეკულარიზმის წინაშე არსებულ გამოწვევებს და განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დომინანტი რელიგიური ინსტიტუციის მძლავრ გავლენაზე როგორც ზოგადად სახელმწიფო პოლიტიკის, ისე განათლების სისტემაზე, რითაც უხეშად ირღვევა საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებული ნეიტრალიტეტის პრინციპი რელიგიებთან მიმართებაში.

ანგარიშის მეექვსე თავი მოიცავს მედიის თავისუფლების პრობლემებს საქართველოში. დოკუმენტში განხილულია მედიაზე ზეწოლის ცალკეული ფაქტები, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მოახლოვებული, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე. ასევე აღნიშნულია მედიაპლურალიზმისა და მედიის თავისუფლებისათვის საფრთხის შექმნის მზარდი ტენდენციისადმი საერთაშორისო საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი შეფასებები.

ანგარიშის მეშვიდე თავი ეძღვნება ოჯახურ ძალადობასა და ქალთა უფლებებს. თავში განხილულია განხორციელებული პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები და ოჯახში ძალადობისა და მის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის ცალკეული საგანგაშო ფაქტები.

ანგარიშის მერვე თავი მოიცავს სასჯელაღსრულების სისტემისა და პატიმართა უფლებების თემატიკას. დოკუმენტი მიმოიხილავს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და ამ ცვლილებების ფონზე პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის, პატიმრების თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების არაერთ შემთხვევას, რომელიც გამოვლენილ იქნა საანგარიშო პერიოდში და რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემა არა არასაკმარის საკანონმდებლო გარანტიებში, არამედ მათ აღსრულებაშია.

ანგარიშის მეცხრე თავი ეთმობა სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, რომლებზეც სახელმწიფოს რეაგირება იყო არაადეკვატური. დოკუმენტი მოიცავს ცალკეული შემთხვევების ანალიზს, განსაკუთრებით ისეთი საგანგაშო შემთხვევებისა, როგორიც არის ფიზიკური ძალადობა და თავდასხმები უფლებადამცველებზე, რის გამოც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2016 წლის 28 იანვრის რეზოლუციაში საქართველო მოხვდა იმ ქვეყნებს შორის, სადაც ადამიანის უფლებადამცველთა დაცვის კუთხით მდგომარეობა გაუარესებულია.

ანგარიშის მეათე თავი ეხება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გარშემო ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების შემდგომ, მის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პრობლემატიკასა და მოსამართლეთა შერჩევის პროცედურებთან. დოკუმენტში საუბარია

ცალკეულ კანდიდატთა შერჩევასთან დაკავშირებით საბჭოს შიდა გარიგებებსა და პროცესების გაუმჭვირვალობაზე, რაც თავის მხრივ სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მიმართულებით უკან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს.

ანგარიშის მეთერთმეტე და მეთორმეტე თავები ეხება საანგარიშო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ადამიანის უფლებათა დაცვაზე.

პოლიტიკა და მართლმსაჯულება

საანგარიშო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გამოავლინა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ძირეული პრობლემები, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ წარმოებულ სისხლისსამართლის საქმეებთან დაკავშირებით, სადაც მიმდინარე ან დასრულებული პროცესები არაერთხელ შეფასდა როგორც პოლიტიკურად მოტივირებული. აღნიშნულ მოსაზრებებს ოფიციალურ შეფასებებში და დასკვნებში იზიარებენ არამარტო ადგილობრივი ადამიანის უფლებათა სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

2015 წლის 29 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეკლარაციაში[2] საუბარია ყოფილი მმართველი პარტიის ლიდერებზე, რომელთაგან თითქმის ყველა ან დაკავებულია, ან მათ წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოძიება. დეკლარაციაში განსაკუთრებულადაა ყურადღება გამახვილებული გიორგი უგულავას წინააღმდეგ წარმოებულ საქმეზე.

მიხეილ სააკაშვილის, გიორგი უგულავას და ყოფილი ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნების სისხლისსამართლის საქმეებზეა გამახვილებულია ყურადღება Human Rights Watch-ის მსოფლიო ანგარიშში[3]. ამ უკანასკნელში შეშფოთებაა გამოთქმული საქართველოში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, გააქტიურებულ პოლიტიკურ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით.

საქართველოში პოლიტიკურად მოტივირებულ მართლმსაჯულებაზეა საუბარი 2015 წლის 25 ივნისის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც.[4] მასში საუბარია საქართველოში არსებულ სისხლისსამართლებრივ დევნაზე პოლიტიკურ ნიადაგზე, ნახსენებია 15 ყოფილი მაღალჩინოსანი, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები.

ხელისუფლების მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერების წინაღმდეგ წარმოებულ სისხლისსამართლის საქმეებზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ინტერპოლის გენერალურმა სამდივნომ უარი განაცხადა მიხეილ სააკაშვილის მიმართ

---

[2] <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=21537&lang=en > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[3] <https://www.hrw.org/sites/default/files/wr2015_web.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[4] <http://m.state.gov/md236526.htm> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

საერთაშორისო ძებნის გამოცხადებაზე, ხოლო დავით კეზერაშვილის მიმართ გამოცემული წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა გაუქმდა.

არანაკლებ შემაშფოთებელია საანგარიშო პერიოდში საჯარო მოხელეებზე ზეწოლის და მათი დევნის შემთხვევები. როგორც ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, მსგავსი შემთხვევები უმეტესად მოტივირებული იყო პოლიტიკური ნიშნით. ასევე დაფიქსირდა შემთხვევები როდესაც საჯარო მოხელეებს ხელმძღვანელი პირებისაგან განსხვავებული აზრის თუ შეხედულების დაფიქსირების გამო დევნიდნენ.

1. <u>გიორგი უგულავას წინასწარი პატიმრობა და მისი კონსტიტუციურობის საკითხი</u>

საქართველოს მთავარი პროკურატურა გიორგი უგულავას წინააღმდეგ აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს ე.წ. ტელე-რადიო კომპანია „იმედის“ და არკადი პატარკაციშვილის სხვა ქონების უკანონო დაუფლების შესაძლო ფაქტზე. საანგარიშო პერიოდში ამ საქმის ირგვლივ მოვლენათა განვითარებამ კიდევ თვალსაჩინო გახადა უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისამართლებრივი დევნის პოლიტიკური მოტივები, რისი ერთერთი თვალსაჩინო გამოხატულება ხელისუფლების მხრიდან უგულავას მიმართ წინასწარ პატიმრობის ბოროტად გამოყენება გახლდათ.

1.1. *გიგი უგულავას წინასწარი პატიმრობა*

2014 წლის 28 ივლისს გიორგი უგულავას ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის წარუდგინეს. აღნიშნულ საქმეზე **პროკურატურას არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ მოუთხოვია**. 2015 წლის 13 მარტს მთავარი პროკურატურის მიერ გიორგი უგულავას მიმართ გამოტანილი ბრალდების შესახებ დადგენილებით, იგივე საქმეზე, დაზუსტდა ბრალის ფაქტობრივი გარემოებები, ასევე შეიცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია. უგულავას ბრალი დასდეს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაციაში, არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ტელე და რადიო კომპანია “იმედის” და მთაწმინდის პარკის უკანონო დაუფლებაში.

მთავარი პროკურატურის და სასამართლოს მხრიდან კანონის არასწორი გამოყენების შედეგად ძველი ბრალდების დაზუსტება წარმოჩინებული იქნა, როგორც გიორგი უგულავასთვის ახალი ბრალის წარდგენა და ამ გარემოებიდან გამომდინარე, პროკურატურის შუამდგომლობით, მეორე დღეს, უგულავას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და შემაშფოთებელია პროკურატურის არგუმენტაცია აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძველთან და მიზანთან დაკავშირებით. პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია - „უგულავასთვის აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობის) შეფარდების საფუძველია ის გარემოება, რომ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების -

პატიმრობის 9 თვიანი ვადა 2015 წლის 2 აპრილს იწურება".[5] მაშინ, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ჩამოთვლის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების კონკრეტულ საფუძვლებს - პირის თავისუფლება საფრთხეს უქმნიდა მტკიცებულებების მოპოვებას, მართლმსაჯულების განხორციელებას ან ახალი დანაშაულის ჩადენას.

ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს, რომ პროკურატურის თვითმიზანი იყო არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მიღწევა, არამედ წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენებით გიორგი უგულავას პატიმრობაში დატოვება.

1.2. *წინასწარი პატიმრობის კონსტიტუციურობა*

გიორგი უგულავამ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების არასწორი განმარტებით პატიმრობის 9 თვიანი ვადის ყოველ ახალ ბრალდებაზე ხელახლა გამოყენების შესაძლებლობა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. მოსარჩელის პოზიციის თანახმად, საპროცესო ნორმის ამგვარი გამოყენება ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, რომლის თანახმად - ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.[6] მოსარჩელე თვლიდა, რომ საპროცესო კანონმდებლობის მსგავსი ინტერპრეტაცია ქმნიდა ნორმის ბრალდებულის საზიანოდ გამოყენების შესაძლებლობას და მისი ხანგრძლივად პატიმრობაში დატოვების საფრთხეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა გ. უგულავას საკონსტიტუციო სარჩელი. სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში[7]. აღნიშნული გადაწყვეტილება უგულავას პატიმრობის არაკონსტიტუციურობის სასამართლო დადასტურებაა.

1.3. გარემოებები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკურად მოტივირებულ პროცესებს

1.3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადება

ეჭვი, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, დაადასტურა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმაც.

---

5 <http://pog.gov.ge/geo/news?info_id=655> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

6 საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მეექვსე ნაწილი.

7 <http://www.constcourt.ge/ge/news/saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-gadawyvetileba-saqmeze-giorgi ugulava-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

გიორგი უგულავას საკონსტიტუციო სარჩელზე გადაწყვეტილების გამოცხადება გარკვეული მიზეზების გამო გაჭიანურდა. 2015 წლის 15 სექტემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დაანონსებული გადაწყვეტილების გამოცხადება[8] მეორე დღისთვის გადაიდო. მიზეზი საქმის არსებითად განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლის, მერაბ ტურავას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაწყვეტილების ხელმოწერის პროცედურაზე[9] გამოუცხადებლობა იყო. 16 სექტემბერს მ. ტურავას საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლებმა შესთავაზეს, გადაწყვეტილებაზე ხელი მისთვის სასურველ ადგილას მოეწერა, რაზეც მან უარი განაცხადა.[10] იმავე დღეს საკონსტიტუციო სასამართლო სრული შემადგენლობით შეხვდა მერაბ ტურავას გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერის უზრუნველყოფის მიზნით, თუმცა მ. ტურავამ ამ შემთხვევაშიც უარი განაცხადა ხელმოწერაზე.

ტურავას განცხადებით მას არ მიეცა საკმარისი დრო გადაწყვეტილების გასაცნობად. საკონსტიტუციო სასამართლომ კი განმარტა, რომ მ. ტურავას მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს და რომ, ყველა მოსამართლეს ჰქონდა საკმარისი დრო გადაწყვეტილების გასაცნობად და საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად. იმავე დღეს, 16 სექტემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება ტურავას ხელმოწერის გარეშე გამოაცხადა[11], ხოლო ამ უკანასკნელის საკითხი შესასწავლად და შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეთიკისა და დისციპლინურ საქმეთა კომისიას გადაეცა.[12] აღსანიშნავია, რომ მერაბ ტურავა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ ახალი ხელისუფლების პირობებში მმართველი უმრავლესობის მიერ იქნა არჩეული.

17 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით გ. უგულავა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა. იმავე დღეს, საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული იყო საქმის განხილვა გ. უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე ე.წ „თბილსერვის ჯგუფის“ და „რიყის ტერიტორიის“ ეპიზოდებზე. აღნიშნული საქმის განხილვა, ადვოკატების შუამდგომლობით, მეორე დღისთვის გადაიდო.

---

8 <http://www.constcourt.ge/ge/news/dges-15-seqtembers-1700-saatze-saqartvelos-sakonstitucio-sasamartloshi-gamocxaddeba-gadawyvetileba-saqmeze-saqartvelos-moqalaqe-giorgi-ugulava-parlamentis-winaagmdeg.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

9 <http://www.constcourt.ge/ge/news/saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-gancxadeba.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

10 <http://www.constcourt.ge/ge/news/kidev-erti-gancxadeba-saqmeze-giorgi-ugulava-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-gadawyvetilebis-gamocxadebis-gadadebastan-dakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

11 <http://www.constcourt.ge/ge/news/gancxadeba-saqmeze-giorgi-ugulava-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-gadawyvetilebis-gamocxadebis-uzrunvelsayofad-gatarebuli-gonisdziebebis-shesaxeb.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

12 <http://www.constcourt.ge/ge/news/gancxadeba-saqmeze-giorgi-ugulava-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-gadawyvetilebis-gamocxadebis-uzrunvelsayofad-gatarebuli-gonisdziebebis-shesaxeb.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

18 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი უგულავას ე.წ. „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზე გამამტყუნებელი, ხოლო „რიყის ტერიტორიის“ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. უგულავას 9 წლიანი პატიმრობა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შეუმცირდა და საბოლოოდ სასჯელის სახით 4 წელი და 6 თვიანი პატიმრობა განესაზღვრა.[13]

ზემოთ განხილულ მოვლენათა ქრონოლოგია საფუძვლიანს ხდის ეჭვს, რომ გიორგი უგულავას საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადება სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ხელოვნურად ჭიანურდებოდა. რაც, თავის მხრივ, აჭიანურებდა გიორგი უგულავას უკანონო პატიმრობაში ყოფნას და საერთო ჯამში ექვს თვეზე მეტი შეადგინა. აღნიშნულ პროცესებს საეჭვოდ დაემთხვა მერაბ ტურავას, ქმედებები და საზოგადოებაში სამართლიანად გააჩინა განცდა მის მიკერძოებასთან დაკავშირებით.

1.3.2. *ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები*

ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები ზემოგანხილულ პროცესებთან დაკავშირებით შეიცავდა მკაფიო მინიშნებებს მათსა და მერაბ ტურავას შორის კომუნიკაციის არსებობის თობაზე. ასევე, გამოიკვეთა ხელისუფლების ინფორმირებულობის საკითხი საქალაქო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებით.

საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, გია ვოლსკიმ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებამდე განაცხადა, რომ მ. ტურავას ქმედება არის “ჩვეულებრივი პროცესი” და ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა, სასამართლოს 40 გვერდიანი გადაწყვეტილება ხელის მოწერამდე წაეკითხა[14]. ხოლო უმრავლესობის წარმომადგენელმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, თამაზ მეჭიაურმა საქალაქო სასამართლოს მიერ უგულავასთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე აღნიშნა, რომ უგულავას გათავისუფლება მისი თანაგუნდელების რამდენიმესაათიან ზეიმად დარჩებოდა[15].

როგორც უკვე აღინიშნა, ვოლსკისა და მეჭიაურის განცხადებები აჩენს საფუძვლიან ეჭვს სასამართლო გადაწყვეტილებების მოცულობასა და შინაარსთან დაკავშირებით მათი

---

[13] <http://www.tabula.ge/ge/story/99669-gigi-ugulavas-4-tslita-da-6-tvit-patimroba-sheefarda> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[14] <http://www.tabula.ge/ge/verbatim/99551-volski-papuashvilis-pozicia-sakmaod-sheusabamoa-neitralobis-aucileblobastan> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[15] <http://www.tabula.ge/ge/verbatim/99638-mechiauri-chvenma-oponentebma-ramdenimesaatiani-zeimi-moitskes> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

წინასწარ ხსენებულ პროცესში მმართველი პოლიტიკური ძალის ჩართულობასა და გავლენაზე.

1.3.3.

გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლე, ლაშა ჩხიკვაძეზე, შესაძლო ზეწოლის შესახებ

უგულავას წინააღმდეგ წარმოებულ საქმესთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ე.წ. „თბილსერვის ჯგუფის“ და „რიყის ტერიტორიის“ ეპიზოდებზე საქმის განმხილველი მისამართლის ლაშა ჩხიკვაძის მიმართ შესაძლო ზეწოლის ფაქტმა.

გავრცელებული ინფორმაციით 2015 წლის 22 იანვარს, თბილისში, გორგასლის ქუჩაზე ერთმანეთს ექვსი ავტომობილი შეეჯახა, რომელთგან ერთ-ერთს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძე მართავდა. შეჯახებას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურა ლაშა ჩხიკვაძეს საგზაო შემთხვევის „ჩაფარცხვის“ სანაცვლოდ გიორგი უგულავას საქმეზე სასურველი განაჩენის გამოტანას სთხოვდა.[16]

იუსტიციის საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ, ისევე როგორც პროკურატურამ, დაადასტურეს ლ. ჩხიკვაძის ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილეობის ფაქტი, თუმცა მურუსიძემ აღნიშნა, რომ მოსამართლეზე ზეწოლის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ასევე დაადასტურა ზემოთ აღნიშნული ავარიის ფაქტზე გამოძიების წარმოების შესახებ და კატეგორიულად უარყო მოსამართლეზე რაიმე სახის ზეწოლის ბრალდებები. პროკურატურის განცხადებით, გამოძიების შედეგად ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე პირთა მხრიდან რაიმე ბრალეული ქმედების არ არსებობის გამო 2015 წლის 8 მაისს საქმეზე გამოტანილი იქნა დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ[17].

1.4. საერთაშორისო საზოგადოების შეფასებები

2015 წლის 29 იანვარს, **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ** მიიღო დეკლარაცია, რომელიც ეხება წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენებას საქართველოში.[18] დეკლარაციაში ყურადღებაა გამახვილებული გიორგი უგულავას შემთხვევაზე. ანგარიშში აღნიშნულია, რომ უგულავა, რომელიც იმ პერიოდისათვის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი იყო, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დააკავეს და მოათავსეს წინასწარ პატიმრობაში. დეკლარაციაში, ეუთოს ანგარიშზე დაყრდნობით, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენლების

---

16 <http://rustavi2.com/ka/video/7158?v=2> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

17 <http://pog.gov.ge/geo/news?info_id=724> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

18 <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=21537&lang=en> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

წინააღმდეგ წარმოებულ სისხლისსამართლებრივ დევნას ეხება, გამოითქვა შეშფოთება არაგონივრული და გაჭიანურებული წინასწარი პატიმრობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

2015 წლის 20 თებერვალს, განცხადება გააკეთა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელმა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების საკითხებში, **პედრო აგრამუნტმა**[19], რომელიც თბილისში ფაქტების დამდგენი მისიით იმყოფებოდა. აგრამუნტი თბილისში ყოფნისას პატიმრობაში მყოფ გიგი უგულავას, ბაჩანა ახალაიასა და ირაკლი ფირცხალავას შეხვდა. იგი ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ გამოყენებულ პატიმრობას ამჟამინდელი ხელისუფლების ხისტი პოლიტიკის ნაწილად და ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აფასებს. აგრამუნტი თვლის, რომ აღნიშნული არ არის ჯანსაღი პროცესი დემოკრატიის მიზნებისთვის და, რომ დაპატიმრების უფლებამოსილება არ უნდა იქნეს გამოყენებული პოლიტიკური ქულების დასაწერად.

უგულავას მიმართ აღკვეთი ღონისძიების ბოროტად გამოყენებაზე საუბრობს საპარლამენტო ასამბლეა 2015 წლის პირველ ოქტომბრის რეზოლუციაშიც[20]. საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს, რუსეთის ფედერაციას და თურქეთს ე.წ. „ფორუმ შოპინგის“ საკითხის განხილვისას ახსენებს და აღნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოებში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სტრატეგია, რომელთა გამოყენებითაც ხერხდება წინასწარი პატიმრობის საქმეების განხილვა კონკრეტული მოსამართლეების მიერ, რომლებსაც ლოიალური დამოკიდებულება აქვთ ხელისუფლების მიმართ. იმავე რეზოლუციაში ჩამოთვლილია ის მიზეზები, საიდანაც იღებს სათავეს წევრ სახელმწიფოებში წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენება, მათ შორისაა წინასწარი პატიმრობის კანონით დადგენილი ვადის უგულებელყოფა საბრალდებო აქტების შეცვლის ან მოდიფიცირების გზით, როგორც ეს მოხდა გიორგი უგულავასა და ბაჩანა ახალაიას მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის სექტემბრის გადაწყვეტილების მიღებამდე.

რეზოლუციაში ვანო მერაბიშვილის საქმეც მოხვდა, როგორც მოწმეებზე ზეწოლის და მათი ჩვენების მიცემის იძულების კონკრეტული მაგალითი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები კი მიჩნეულია, როგორც მათი დისკრედიტაცია და პოლიტიკური ოპონენტების განეიტრალების მცდელობა.

ევროპული პარლამენტის წევრებმა 2015 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში აღშფოთება გამოხატეს ყოფილი მმართველი ძალის ლიდერების (ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ყოფილი პრეზიდენტი, თავდაცვისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრები,

---

[19] <http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=5439&lang=2&cat=5> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[20] < http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/X2H-Xref-ViewPDF.asp?FileID=21992&lang=en> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

თბილისის ყოფილი მერი და სხვები) წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის, წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაში პოლიტიკური ჩარევის, მოსამართლეთა პოლიტიკური შერჩევის და უდანაშაულობის პრეზუმფციის სისტემატური დარღვევის გამო.[21]
გიორგი უგულავას მიმართ სისხლის სამართლის დევნა განხილვის საგნად იქცა Human Rights Watch-ის მსოფლიო ანგარიშშიც.[22] უგულავას საკითხის პარალელურად ანგარიშში მოყვანილია პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების ისეთი კონკრეტული მაგალითები, როგორიცაა მიხეილ სააკაშვილის ქონების დაყადაღება, ივანე მერაბიშვილის სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა და დავით ბაქრაძის და მისი მეუღლის არადეკლარირებული საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებით დაკითხვა და სხვა. ანგარიშში ასევე საუბარია ზურაბ ჭიაბერაშვილსა და ნუგზარ წიკლაურზე თავდასხმების არაეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებით.

2016 წლის 25 იანვარს კი, უკვე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის რანგში, პედრო აგრამუნტმა თავისი მისასალმებელი სიტყვა პოლიტიკური პატიმრების თემით დაიწყო. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლებათა პრიორიტეტი ისეთი პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და მათი უფლებების დაცვა უნდა იყოს, როგორებიც არიან ნადია სავჩენკო და გიგი უგულავა.[23]

2. <u>თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების საქმე</u>

2.1. *გაჭიანურებული სამართალწარმოება*

პოლიტიკური მოტივების შესახებ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს ე.წ. „კაბელების საქმეშიც“. საქმეზე ბრალდებული პირები არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხუთი მაღალჩინოსანი: დავით წიფურია, ნუგზარ კაიშაური, არჩილ ალავიძე, გიზო ღლონტი და გიორგი ლობჟანიძე. გამოძიება ჩადენილ ქმედებას, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად სახელმწიფო კუთვნილი ქონების დიდი ოდენობით გაფლანგვის ფაქტზე წარიმართა. საზოგადოების ნაწილმა ხსენებული პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა სამართლიანად დაუკავშირა ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას წინააღდეგ წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლას.

პროკურატურის ვერსიით ბრალდებულებმა თავდაცვის სამინისტროს სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად სს „სილქნეტის“ სასარგებლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872.6 ლარი გაფლანგეს. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მათ არ დაიცვეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპი.
თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები 2014 წლის 28 ოქტომბერს დააკავეს. საქმეზე წინასასამართლო სხდომის ჩატარება 2014 წლის 11 დეკემბერს ჩაინიშნა. მიუხედავად ამისა,

---

[21] <http://michalboni.pl/meps-open-letter-on-rustavi-2-and-georgia/ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[22]< https://www.hrw.org/sites/default/files/wr2015_web.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[23] <http://rustavi2.com/ka/news/37291 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

წინასასამართლო სხდომის თარიღი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ორჯერ გადაიდო.

აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში პროკურატურის შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის თარიღის გადადების იდენტურ საფუძველს ითვალისწინებდა. საქმეზე წინასასამართლო სხდომა **პირთა ბრალდებიდან ხუთი თვის შემდეგ, 2015 წლის 1 აპრილს, გაიმართა.**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხარეს წინასასამართლო სხდომის 60 დღიანი ვადის გონივრული ვადით გაგრძელების შესაძლებას აძლევს. თუმცა, აღნიშნული ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე. ზემოთ განხილულ შემთხვევაში, არც შუამდგომლობაა დასაბუთებული, ვინაიდან წინასასამართლო სხდომის ერთი და იგივე საფუძველს ითვალისწინებს და არც, პირის ბრალდებასა და წინასასამართლო სხდომის გამართვას შორის 5 თვიანი შუალედი უნდა ჩაითვალოს გონივრულ ვადად. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვთ შეფარდებული.

2.2. *ბრალდებულების წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება, თანამდებობაზე აღდგენა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მიკერძოებული შეფასებები*

2015 წლის 25 მარტს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ პროკურატურა თავდაცვის სამინისტროს დაკავებული მაღალჩინოსნების საქმეზე მომუშავე ექსპერტის, ავთანდილ გუნთაიშვილის გატაცებასა და მასზე ზეწოლაში დაადანაშაულა. ალასანიას ცნობით, 2015 წლის 24 მარტს პროკურატურის წარმომადგენლებმა გუნთაიშვილი გაიტაცეს და აიძულეს, უარი ეთქვა საკუთარ საექსპერტო დასკვნაზე.[24]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 ივნისის განჩინებით ბრალდებულებს შეეცვალათ აღკვეთის ღონისძიების სახე და ისინი პირადი თავდებობის სანაცვლოდ გათავისუფლდენენ წინასწარი პატიმრობიდან. ხსენებული განჩინება დაედო საფუძვლად გიორგი ლობჟანიძის, არჩილ ალავიძის, დავით წიფურიასა და ნუგზარ კაიშაურის თანამდებობრივი უფლებამოსილების აღდგენას საქართველოს თავდაცვის სამინისტროში[25]. თავდაცვის მინისტრის, თინათინ ხიდაშელის, ამ გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის, კრიტიკული განცხადებები მოყვა: „[...] მე არ

[24] <http://www.interpressnews.ge/ge/politika/322982-irakli-alasania-prokuraturas-ets-kabelebis-saqmeze-momushave-eqspertze-zetsolashi-adanashaulebs.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[25] <http://www.tabula.ge/ge/story/98810-ets-kabelebis-saqmis-monatsileebi-tavdacvis-saministroshi-mushaobas-ganaaxleben> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მომწონს, ეს არ არის ჩემი მმართველობის სტილი. როდესაც ჩემს თანამშრომლებთან დაკავშირებით არსებობს ეჭვები, მირჩევნია ეს თანამშრომელი შინ დაელოდოს განაჩენს"[26].

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წულუკიანის განცხადების შინაარსი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კანონმდებლობის დებულებებთან. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი იმპერატიულად ადგენს საჯარო დაწესებულების ვალდებულებას სამსახურში აღადგინოს მოხელე, რომლის მიმართაც გაუქმდა ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება მისი თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.[27] გამომდინარე აქედან, შეუსაბამოდ მიგვაჩნია თეა წულუკიანის ზემოთ ნასენები განცხადება თავდაცვის მინისტრის კანონიერ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ჩვენს სპეციალურ ანგარიშში - „პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში", ე.წ. „კაბელების საქმე" შევაფასეთ, როგორც პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულების ერთ-ერთი შემთხვევა. მიგვაჩნია, რომ საქმეში იკვეთება საქართველოს მატერიალური თუ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის კონკრეტული მაგალითები, როგორიცაა გაჭიანურებული სამართალწარმოება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ განჩინების დაუსაბუთებლობა, საქმეში განზრახვისა და მოტივის არარსებობა, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა და სხვა[28].

ზემოთ განხილული საქმე მოხვდა Human Rights Watch-ის მსოფლიო ანგარიშში.[29] ანგარიშში აღნიშნულია, რომ პოლიტიზირებული მართლმსაჯულების თაობაზე შეშფოთებამ იმატა 2014 წლის ოქტომბერში, როდესაც დააკავეს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი. სახელისუფლებო ორგანოებმა დაცვის მხარის წარმომადგენლებს არ მისცეს საქმის მასალებზე ხელმისავწდომობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, რითაც შეიზღუდა ეფექტიანი დაცვის უფლება. თბილისის საქალაქო სასამართლომ კი, მათ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ნახსენებია ასევე ღარიბაშვილის მიერ თავდაცვის მინისტრ ალასანიას გათავისუფლების ფაქტი. აღნიშნული, ანგარიშში ნახსენებია როგორც ალასანიას მიერ გაკეთებულ შეფასებების შედეგი. ალასანია თვლიდა, რომ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების წინააღმდეგ წარმოებული პროცესებში პოლიტიკური მოტივები იკვეთებოდა.

2.3. ახალი გარემოებები

2016 წლის 18 იანვარს, სასამართლომ დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საქმეს დაურთო ახალი მტკიცებულებები. კერძოდ, ეს არის კომპანია „დელტაკომის" შეთავაზება

---

26 <http://politcommersant.ge/detalpage?newsid=626> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

27 „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №4346-Iს, 11/11/2015

28 <http://gdi.ge/uploads/other/0/227.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

29 <https://www.hrw.org/sites/default/files/wr2015_web.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

თავდაცვის სამინისტროსთვის. ამ დოკუმენტის მიხედვით, „დელტაკომი“ შესრულებული სამუშაოსთვის თვეში 80 000 ლარს ითხოვდა, მაშინ, როდესაც, ანალოგიურ სამუშაოზე თავდაცვის სამინისტრო კომპანია „სილქნეტს“, რომელზეც ბრალდებულებმა არჩევანი შეაჩერეს, 1000 ლარს უხდის.

დაცვის მხარის მტკიცებით, ბრალდებულებმა, რომელთაც ბრალდება დაახლოებით 4 მლნ ლარის გაფლანგვას ედავება, ბიუჯეტის სასარგებლოდ შეძლეს 14 მლნ ლარის დაზოგვა.
ადვოკატი სოსო ბარათაშვილი განმარტავს, რომ ბრალდება აგებული არის იმაზე, რომ კომპანია „დელტაკომი“ უფრო ნაკლებ ფასად შეასრულებდა იმ სამუშაოს, რომელიც შეასრულა კომპანია „სილქნეტმა“. წარდგენილი მტკიცებულება კი მთლიანად აცლის საფუძველს ბრალდების არსს, ვინაიდან კომპანია „სილქნეტმა“ სამუშაო 6 მლნ ლარად შეასრულა, ხოლო ამ სამუშაოს მცირე ნაწილში „დელტაკომი“ 20 მლნ ლარს ითხოვდა. ბარათაშვილის განმარტებით ბრალდებულებმა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მილიონობით ლარი დაზოგეს და ამის სხვა მტკიცებულებებიც არსებობს.[30]

1.3 პოლიტიკა საჯარო სამსახურში

საანგარიშო პერიოდში საჯარო მოხელეებზე სავარაუდო ზეწოლის და მათი დევნის არაერთი კონკრეტული შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის აღსანიშნავია საჯარო მოხელეების სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით დევნის ფაქტები. თუმცა, არანაკლებ შემაშფოთებელია საჯარო დაწესებულებათა ხელმძღვანელების დისკრიმინაციული მიდგომა თანამშრომლების მიმართ, მათი განსხვავებული აზრის თუ შეხედულების გამო. განსაკუთრებით აღსანიშნავია საგარეჯოს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსზე, შვიდი თვის ორსულ თეონა ტაველიშვილზე განხორციელებული სავარაუდო იძულების შემთხვევა, რომელშიც ტაველიშვილის განცხადებით აქტიურად მონაწილეობდა კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი. აღსანიშნავია სამართალდამცავთა პასიურობა მსგავს შემთხვევებზე სათანაადო რეაგირების კუთხით. ამ ინფორმაციის მედიაში აქტიური გაშუქების მიუხედავად, შესაბამის ორგანოებს მათზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენიათ.

განხილული ფაქტები ცხადყოფს, რომ გარდა პირის პოლიტიკური ნიშნით სამსახურებრივი შევიწროვებისა, იკვეთება საქართველოს შრომის კოდექსის მნიშვნელოვანი ნორმების სავარაუდო დარღვევები. დასაქმებულს უფლება აქვს მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო. ამ უფლებით სარგებლობა დამსაქმებელმა დაუბრკოლებლად უნდა უზრუნველყოს.

კონსტიტუციის 29–ე მუხლი მოითხოვს, რომ ყველას თანაბარად ჰქონდეს წვდომა საჯარო

[30]< http://news.ge/ge/news/story/166334-baratashvili-akhali-mtkitsebuleba-mtlianad-atslis-safudzvels-braldebis-pozitsias > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

სამსახურზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.[31] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 29–ე მუხლის დაცვის სფეროში აქცევს პირის უფლებას, ეკავოს საჯარო თანამდებობა და დაცული იყოს უკანონოდ გათავისუფლებისაგან.[32] საქართველოს კონსტიტუციის 24–ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია გამოხატვის თავისუფლების გარანტიები, რაც თავის თავში მოიცავს პირთა სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას პოლიტიკური შეხედულებების გამო. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციით საჯარო სამსახურში აყვანაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება გახდეს, როგორც ასეთი, სარჩელის საფუძველი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში აქცევს საჯარო მოხელეთა პოლიტიკურ შეხედულებებს და საჯარო სამსახურში მხოლოდ იმ პირთა მიმართ უშვებს შეზღუდვის გამოყენების შესაძლებლობას, რომლებიც პოლიტიკურ თანამდებობაზე არიან ან რომლებსაც სამსახურებრივი რანგიდან გამომდინარე მოეთხოვებათ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.[33] ნებისმიერ შემთხვევაში, კონვენციის მე-10 მუხლით (გამოხატვის თავისუფლება) გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს იმავე მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს. ხსენებული კრიტერიუმებისგან ერთ-ერთია გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობა.[34] გარდა ამისა, იმავე კონვენციის მე-14 მუხლი კრძალავს კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნის, მათ შორის, პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე. ამდენად, პოლიტიკური ნიშნით საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება, გარდა ზემოხსენებული გამონაკლისებისა, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად ითვლება.

•

2015 წლის 18 თებერვალს, საგარეჯოს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი შვიდი თვის ორსული, თეონა ტაველიშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს. ტაველიშვილის განცხადებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილიმა და კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა იგი აიძულეს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაეწერა.

---

[31] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 4 ნოემბრის #2/33/1 განჩინება საქმეზე: „ნინო იოსელიანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“

[32] *mutatis mutandis*, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის #2/3/250–269 გადაწყვეტილება საქმეზე: „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 28 ივნისის #1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[33] inter alia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 2 სექტემბრის განჩინება საქმეზე: Ahmed and Others v. UK; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 22 ოქტომბრის განჩინება საქმეზე: Wille v. Liechtenstein

[34] Vogt v. Germany, judgment of 26 September 1995, 51.

ტაველიშვილის თქმით, 2015 წლის იანვარში მას განზრახული ჰქონდა დეკრეტული შვებულების აღება, თუმცა სათანადო ცნობის გაცემაზე გამგეობამ უარი უთხრა. პირად საუბრებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გ. გზირიშვილმა მას განუცხადა, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებისათვის გამართული კონკურსის პერიოდში მის მიერ დაფიქსირებული აზრი - „ყველაფერი არის სიცრუე და კომისიის წევრებმა წინასწარ იციან, ვისი დასაქმება მოხდება“, ეწინააღმდეგებოდა გუნდურობის პრინციპს და გამგებლის წინააღმდეგ შეთქმულებაზე მიანიშნებდა. იანვრის ბოლოს ტაველიშვილი კახეთის გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილსაც შეხვდა, რომელმაც მას შესთავაზა დეკრეტული შვებულების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებას დაწერდა. უშედეგო წინააღმდეგობის და სტრესული მდგომარეობის გამო ტაველიშვილმა გადაწყვიტა დამორჩილებოდა გუბერნატორს და თავისი ნებით დაწერა განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე[35].

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 13 აგვისტოს საგარეჯოს სასამართლომ გააუქმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. გზირიშვილის ბრძანება, რომლის თანახმადაც მან გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის პოზიციიდან 7 თვის ორსული, თ. ტაველიშვილი გაათავისუფლა. სასამართლომ საქმე დამატებითი შესწავლისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად გამგეობას დაუბრუნა.

2016 წლის 18 თებერვალს კი თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა თეონა ტაველიშვილის მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა და დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლებაზე. სასამართლომ ძალაში დატოვა საგარეჯოს სასამართლოს 2015 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება.[36]

•

გავრცელებული ინფორმაციით 2015 წლის 12 თებერვალს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ირაკლი ბარამიძე პროკურატურაში დაიბარეს. გამოძიებას მასთან კითხვები 2011 წელს ქედის მუნიციპალიტეტში მისი გამგებლად მუშაობის პერიოდში გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით ჰქონდა. ეს ფაქტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციამ უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცესებს დაუკავშირა. კერძოდ, თებერვლის დასაწყისში აჭარის უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ უმრავლესობა დაიშალა და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ ბერიძის და საფინანსო-ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე ჩიტიშვილის გადაყენების საკითხი დააყენა. პროკურატურის ქმედებები აჩენს ეჭვს სახელმწიფოს მიერ სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიკური ზეწოლის იარაღად გამოყენების თაობაზე. პოლიტიკური მოტივაციის განცდას აძლიერებს ისიც, რომ ბარამიძის წინააღმდეგ გამოძიება

[35] <http://ick.ge/articles/21004-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[36] <http://ick.ge/rubrics/humanrights/25818-i.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დაიწყო ოთხი წლის ხანდაზმულ ქმედებაზე. ეს პროცესები საეჭვოდ ემთხვევა ზემოთ ნახსენებ პოლიტიკურ აქტივობებს[37]

•

საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურსში აღებული მაღალი ქულების მიუხედავად, ახმეტაში რესპუბლიკური პარტიის წევრები სამსახურიდან დაითხოვეს. რესპუბლიკური პარტიის წევრის ანა კვირიკაშვილის თქმით, ახმეტაში მათი პარტიის წევრების სერიოზული დევნა მიმდინარეობს და მასაც სწორედ ამ ნიშნით მოუწია სამსახურის დატოვება[38]. ახმეტის მუნიციპალიტეტში გამართულ კონკურსში მონაწილე რესპუბლიკური პარტიის წევრებზე პოლიტიკური ნიშნით ზეწოლას ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებაც“. ორგანიზაცია საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების მონიტორინგს ახორციელებდა[39].

•

მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა ახმეტის მუნიციპალიტეტშიც. გამგებელმა, ბექა ბაიდაურმა 2015 წლის 14 აგვისტოს 8 თვის ორსული ანა ახალაური თანამდებობიდან გაათავისუფლა.[40] ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით სამართლებრივი შეფასება მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო აქტივობების ცენტრმა“.[41] მათი ინფორმაციით, ანა ახალაური ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუშაობდა 2011 წლის 10 ოქტომბრიდან. 2015 წლის 13 აგვისტოს, მან, გამგებელთან წინასწარი სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, დაწერა განცხადება ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების თაობაზე, თუმცა გამგებელმა მას ამ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა. მისი თქმით დეკრეტულ შვებულებაზე განცხადებას იმ შემთხვევაში დაუკმაყოფილებდა, თუ შვებულებამდე კონკურსს წარმატებით გაივლიდა. აღსანიშნავია, რომ ანა ახალაური დროებით მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა 2015 წლის 5 აგვისტოს. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში (აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამავე თანამდებობაზე მომუშავე დეკრეტული შვებულებით მოსარგებლე პირმა 2015 წლის 5 აგვისტოს პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა სამსახური). როგორც ა. ახალაური აცხადებს, გამგებლის მიერ მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო, იგი იძულებული გახდა იმავე დღეს დაეწერა განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

„სამოქალაქო აქტივობების ცენტრის“ ინფორმაციით ხსენებულ თანამდებობაზე იგეგმებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ადგილობრივი აქტივისტის ოჯახის წევრის დასაქმება. ორგანიზაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლით (შრომის კანონმდებლობის დარღვევა)

---

37 <http://1tv.ge/ge/news/view/85587.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
38 <http://ick.ge/rubrics/society/20769-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
39 <http://ick.ge/rubrics/politics/20849-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
40< http://www.ick.ge/articles/23279-i.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
41 <http://activities.ge/ge/detail/news/14/ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენაზე მიუთითებს და კახეთის რეგიონში თვითმმართველობის ორგანოებიდან მაღალი თანამდებობის პირების მიერ ორსული ქალების უკანონოდ გათავისუფლების ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზეც საუბრობს.

•

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **ვახტანგ ზენაიშვილი** თანამდებობიდან 2015 წლის 21 მაისს გაათავისუფლეს.[42] ზენაიშვილმა განაცხადა, რომ მისი გათავისუფლება უკანონო იყო, ვინაიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული არ იყო გათავისუფლების საფუძველი. ზენაიშვილის თქმით მისი გათავისუფლება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რაც ურუშაძემ მასთან პირად საუბარშიც დაუდასტურა.[43]

2015 წლის 12 ოქტომბერს მოსამართლე ბიძინა სტურუას გადაწყვეტილებით, ლანჩხუთის გამგებლის ყოფილი პირველი მოადგილე ვახტანგ ზენაიშვილი სასამართლომ ნაწილობრივ „გაამართლა“.[44] მოსამართლემ დაავალდებულა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, დააკონკრეტოს, რა მიზეზით მოხდა ზენაიშვილის გათავისუფლება თანამდებობიდან. ასევე გამგეობას დაეკისრა სასამართლო ბაჟის - 100 ლარის გადახდა.

•

2015 წლის 24 მარტს, სამგორის რაიონის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლაშა ცანავამ განცხადება გაავრცელა, სადაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს. ცანავას განცხადებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი მირიან მჭედლიშვილი, ამ უკანასკნელის ძმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მალხაზ მჭედლიშვილი და ვიცე-მერი გია სოლომონია, ვარკეთილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ჯოტო სამადაშვილის დავალებით მოქმედებდნენ და მას სამსახურიდან წასვლას აიძულებდნენ. ზეწოლის განხორციელება მას შემდეგ დაიწყო, რაც ცანავამ ჯოტო სამადაშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ნათლულია, დიპლომის არქონაში ამხილა[45]. 2015 წლის 27 მარტს, ინტერნეტით გავრცელდა აუდიო-ჩანაწერი, სადაც ვარკეთილის მაჟორიტარი ია მაკასარაშვილი ლაშა ცანავას უკავშირდება და მიანიშნებს, რომ მისი საჯარო განცხადების გამო დიდი პრობლემები შეექმნება.[46]

1.4 <u>თავდასხმები პოლიტიკურ ოპონენტებსა და ოპოზიციურ პარტიებზე</u>

---

[42] <http://gurianews.com/_/left_wide/28021_74_ka/gamgeblis_moadgile_moxsnes.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[43] <http://gurianews.com/_/left_wide/32056_69_ka/es_iyo_politikuri_gadawyvetileba_zenaiSvili.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[44] <http://gurianews.com/_/left_wide/32058_69_ka/gamgeblis_yofili_moadgile_sasamarTlom_nawilobriv_gaamarTla.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[45] <http://pirveliradio.ge/?newsid=44353> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[46] <http://editori.ge/?p=17577> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

პოლიტიკური პლურალიზმი დემოკრატიის ქვაკუთხედია. საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელება. ხელისუფლებამ პოლიტიკური პარტიების უსაფრთხო საქმიანობის უზრუნველსაყოფად ყველა ზომა უნდა გამოიყენოს[47]. მართალია, პროტესტის გამოხატვა და კონტრდემონსტრაცია ასევე წარმოადგენს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებას, თუმცა ამ უფლებით სარგებლობა არ უნდა გასცდეს კანონით დადგენილ ფარგლებს და შეკრებამ არ უნდა მიიღოს ძალადობრივი ხასიათი. ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებაა მოახდინონ როგორც პოლიტიკური ღონისძიებების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა, ასევე განხორციელებული ძალადობრივი აქტების ობიექტური და სამართლიანი გამოძიება. გარდა ამისა, აუცილებელია სამართალდამრღვევი პირების იდენტიფიცირება და მათ მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება. საანგარიშო პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოების მიერ არ ხდებოდა ადეკვატური რეაგირება ისეთ ძალადობრივ შემთხვევებზე, სადაც აშკარა იყო პოლიტიკური მოტივები. არ ხდებოდა მოძალადეთა ქმედებების ეფექტიანი აღკვეთა, ხოლო სამართალდამრღვევებს არაპროპორციული სასჯელი ეკისრებოდათ. ამგვარი მიდგომა საფრთხის ქვეშ აყენებს სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას. იგი ვერ უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა პრევენციას და ხშირ შემთხვევაში ძალადობის წახალისების ხელშემწყობი ფაქტორი ხდება. საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საპარლამენტო ოპოზიციის შევიწროვების და დევნის, მათ შორის ძალადობრივი დევნის, არაერთი ფაქტი. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ საპარლამენტო ოპოზიციის დევნაში აშკარად იკვეთებოდა მოქმედი ხელისუფლების ჩართულობა და მონაწილეობა. განსაკუთრებულად აღმაშფოთებელია 2015 წლის აპრილში, ქ. გურჯაანში, პარლამენტის წევრებზე ძალადობრივი თავდასხმის ფაქტები, რა დროსაც, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობაში, კვერცხების სროლით გაუსწორდნენ პარლამენტარებს, გიორგი ღვინიაშვილსა და ირმა ნადირაშვილს.

საანგარიშო პერიოდში მოხვდა ე.წ. კასრების კადრების საჯაროდ ჩვენების შემდეგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებზე თავდასხმები ქვეყნის თითქმის მთელი მასშტაბით. თავდასხმებმა განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, განცხადების შემდეგ, რომლითაც მან ფაქტობრივად მოიწონა

[47] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პ. 3.; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე: Plattform Arzte fur das Leben v. Austria, პარ 34.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისების დარბევა და აღნიშნა, რომ ისინი უფრო მეტს იმსახურებდნენ.

აღნიშნულ მოვლენებს აქტიურად აკვირდებოდა „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“. ჩვენი შეფასებით ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ და მართულ პროცესებს. წამების კადრების დემონსტრაციული ჩვენებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში საჯარო მოხელეების აქტიური მონაწილეობით და რამდენიმე საათში მის საფუძველზე მიზანმიმართულად განხორციელებული თავდასხმები ენმ-ის წინააღმდეგ „ქართული ოცნების“ აქტივისტების აქტიური მონაწილეობით, ადასტურებს, რომ აღნიშნული პროცესი წინასწარ იყო ორგანიზებული და ემსახურებოდა ხელისუფლების მხრიდან, წინასაარჩევნოდ, მთავარი ოპოზიციური ძალის პოლიტიკური მოვლენებიდან ჩამოშორებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართალდამცავთა როლი ზემოხსენებულ მოვლენებში. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებთან გამართული აქციის მონაწილეები ამჟღავნებდნენ და ახორციელებდნენ ძალადობრივ ქმედებებს, რაც სცდება მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციურ უფლებას. მათი მოქმედებები ცალსახად განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს (აქციის მონაწილეებმა თავიანთი პროტესტის აღმნიშვნელი სიმბოლიკით მოხატეს გზის სავალი ნაწილი), რაზეც სამართალდამცველებს არ ჰქონიათ სათანადო რეაგირება. ამის პარალელურად სამართალდამცავებს სწრაფი და ზოგ შემთხვევაში კანონიერების კუთხით სადავო რეაგირება ქონდათ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების პროტესტი მიმართული იყო ხელისუფლების ან მმართველი პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ. ამის თვალსაჩინო მაგალითია, ტელეკომპანია „ტაბულას“ დირექტორის, თამარ ჩერგოლეიშვილის ადმინისტრაციული წესით დაკავების ფაქტი და ქუთაისში დაკავებული და სისხლისსამართლის პასუხისგებაში მიცემული ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერების შემთხვევა.

ერთი მხრივ პოლიციის უმოქმედობა ოპოზიციური პარტიის ოფისებსა და მის წარმომადგენლებზე თავდასხმების დროს, და მეორე მხრივ თამარ ჩერგოლეიშვილის და „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერების შემთხვევებთან დაკავშირებით გამოვლენილი პროაქტიურობა საფუძვლიანად ეჭვს აჩენს, რომ პოლიციისა და პროკურატურის მხრიდან ადგილი აქვს კანონის და სამართლის შერჩევითად გამოყენებას და პოლიტიკურ მიკერძოებას.

განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ მთავრობის სხდომაზე გაკეთებული განცხადება, რომელიც მესამე სექტორის შეფასებით კატეგორიულად მიუღებელი, ქვეყნაში დესტაბილიზაციის შექმნის საფრთხის მატარებელი და ძალადობის მაპროვოცირებელ აქტად შეფასდა.

მიგვაჩნია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებზე ძალადობრივი თავდასხმები არა თუ ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში, როგორც ამას პრემიერ-მინისტრი მიიჩნევდა, არამედ პირიქით, წარმოადგენდა ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ თავდასხმას პოლიტიკურ ოპონენტებზე.

2015 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში ევროპული პარლამენტის წევრებმა აღნიშნეს, რომ შოკირებულნი არიან ოპოზიციური პარტიის რეგიონულ ოფისებზე განხორციელებული ძალადობრივი თავდასხმების გამო, რაც პრემიერ-მინისტრის ყოვლად მიუღებელ განცხადებას მოჰყვა. [48]

2015 წლის 12 მარტს, თბილისში, „თავისუფალი თაობის“ წევრებმა, რომლებიც ხელისუფლებისგან მართულ ჯგუფს წარმოადგენენ, პარლამენტის შენობიდან გამოსულ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, გიგა ბოკერიასა და გოკა გაბაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. დაპირისპირებაში პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე კონტრაქციის მონაწილეები „თავისუფალი ზონისა“ და „სამართლის თაობის“ წევრები ჩაერთვნენ. ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცავებმა დაპირისპირების რამდენიმე მონაწილე დააკავეს. დაკავებულთა შორის აღმოჩნდა „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელი ლ. სადღობელაშვილი, რომელსაც სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის 100 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა[49]. 2015 წლის 15 მარტს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ–ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა აუდიო მასალა გაასაჯაროვა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელისა და საპატრულო პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის დიალოგია ჩაწერილი. აუდიო ჩანაწერში 2015 წლის 12 მარტს დაკავებული სადღობელაშვილი ამბობს, რომ მისი მოქმედებები შეთანხმებულია სამართალდამცავ ორგანოებთან და იგი პოლიტიკურად აქტიურ პირებზე თავდასხმას მომავალშიც აპირებს[50].

2015 წლის 20–22 აპრილს, გურჯაანში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ფიზიკურად გაუსწორდნენ. მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად,[51] 2015 წლის 20 აპრილს გურჯაანის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები, კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებთან ერთად გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ღვინიაშვილის სამუშაო ოთახში შეიჭრნენ და მას თანაპარტიელებთან ერთად გამგეობის შენობა ძალით დატოვებინეს. დაპირისპირების დროს თავდასხმაში მონაწილე პირები საქართველოს პარლამენტის წევრებს კვერცხებს

[48] <http://michalboni.pl/meps-open-letter-on-rustavi-2-and-georgia/ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[49] <http://tinyurl.com/z225cgm> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[50] < http://tinyurl.com/jynp94s> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[51] <http://ick.ge/articles/21479-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ესროდნენ. ინციდენტი მას შემდეგ დაიწყო, რაც ღვინიაშვილმა გურჯაანის გამგებლის კორუფციული საქმიანობის შემსწავლელი კომისიის შექმნა დააანონსა. მიუხედავად გამგეობის შენობასთან მობილიზებული ათეულობით პოლიციელისა, მათ ვერ ან არ უზრუნველყვეს დეპუტატების უსაფრთხოება და მათ მიმართ ძალადობის აღკვეთა. გავრცელებული ინფორმაციით, ფიზიკური ძალის გამოყენებით პარლამენტის წევრის სამუშაო ოთახში შეჭრისას განსაკუთრებით აქტიურობდნენ გამგეობის ქონების მართვის განყოფილების უფროსი დავით ნიკოლაშვილი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი დურმიშხან ამისულაშვილი, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ხაზიური, საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე ზაქრო ქაჩლიშვილი, სოფელ ვეჯინის რწმუნებული კუკური ჯამატაშვილი, ქალაქ გურჯაანის რწმუნებული დიმიტრი არევაძე და სხვები.

დაპირისპირების ფაქტები 2015 წლის 21 აპრილსაც დაფიქსირდა, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა გურჯაანში წინა ხელისუფლების პერიოდში დაწყებული პროექტების შეჩერება გააპროტესტეს[52]. ერთ-ერთი ინციდენტის დროს პარლამენტის წევრებთან გიორგი ღვინიაშვილთან და ლევან ბეჟაშვილთან გურჯაანის საფეხბურთო კლუბ „ალაზნის“ მენეჯერი მიხეილ ფურცელაძე მივიდა და დეპუტატებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გურჯაანის მოვლენებთან დაკავშირებით 21 აპრილს გაკეთებულ განცხადებაში[53] მოიწონა აქტივისტების საქციელი და აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქმედებებს გურჯაანის მოსახლეობამ სამართლიანად და ადეკვატურად უპასუხა“.

22 აპრილს, გამგეობის შენობაში შეკრებილმა „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა გურჯაანის მაჟორიტარ დეპუტატს გიორგი ღვინიაშვილს და მასთან ერთად მყოფ პირებს კვლავ მიაყენეს შეურაცხყოფა და კვერცხები ესროლეს[54].

საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერ დეპუტატ გიორგი ღვინიაშვილს თავს დაესხნენ 2015 წლის 14 სექტემბერსაც. გიორგი ჯანყოშვილი მევენახეების მიერ კახეთში გამართულ აქციაზე შეიჭრა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატ გიორგი ღვინიაშვილს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.[55] სამართალდამცველებმა ჯანყოშვილი ადგილზე დააკავეს, თუმცა შემდეგ ხელწერილით გაათავისუფლეს.[56] ჯანყოშვილს ბრალდება მხოლოდ 10 ოქტომბერს, ცემის მუხლით წარედგინა. 13 ოქტომბერს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.[57]

---

[52] <http://ick.ge/rubrics/politics/21490-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[53]< http://ick.ge/rubrics/politics/21491-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[54]< http://ick.ge/rubrics/politics/21501-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[55] <http://rustavi2.com/ka/news/26135 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[56]< http://www.ick.ge/articles/24012-i.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[57]< http://www.ick.ge/rubrics/humanrights/24646-i.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯანყოშვილის წინააღმდეგ აღძრული ბრალდება, სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი ყველაზე მკაცრი სასჯელის სახით მხოლოდ ჯარიმას ითვალისწინებს.

თუმცა სრულიად განსხვავებულად რეაგირებს სამართალდამცავი სისტემა, როდესაც სამართალდარღვევა მიმართულია მმართველი პოლიტიკური ძალის დეპუტატების წინააღმდეგ. „რუსთავი 2“-ის მხარდამჭერი აქციის დროს დეპუტად დავით ლორთქიფანიძესთან დაპირისპირებისას, ამ უკანასკნელის პიჯაკის დაზიანების გამო 2015 წლის 3 ნოემბერს, ქუთაისში, პარლამენტის შენობასთან გამართულ აქციაზე 3 პირი დააკავეს[58] და მათ ბრალი ხულიგნობის მუხლით წარუდგინეს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-7 წლამდე.

რამდენიმეთვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ, 2015 წლის 25 დეკემბერს, დაკავებულები ნიკა ნარსია, მირიან დეისაძე და კახაბერ გაბუნია 3000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ძალადობრივი ქმედებები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა 2015 წლის მეორე ნახევარში. ე.წ. კასრების კადრების გავრცელებას და საჯარო ჩვენებებს, ქრონოლოგიურად მოვლენათა შემდეგი განვითარება მოყვა: 2015 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს შვიდ რეგიონში ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისებზე განხორციელდა მიზანმიმართული თავდასხმები. აღსანიშნავია, რომ განხორციელებულ თავდასხმებში აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობების და გამგეობების თანამშრომლები, „ქართული ოცნების“ აქტივისტები, „თავისუფალი თაობის“ წარმომადგენლები და აგრესიულად განწყობილი მოქალაქეები, რომლებიც ცოცხებითა და კვერცხებით იყვნენ შეიარაღებულნი. თავდამსხმელთა საერთო ლოზუნგს წარმოადგენდა სიტყვა „ლიკვიდირებულია“. აქციებზე ისმოდა ისეთი განცხადებები, როგორიცაა: „SOS ლიკვიდირებულია ენმ“, „გაქრით მწამებლებო“ და სხვა.

ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, გააკეთა ძალადობის წამახალისებელი განცხადებები, რითაც ფაქტობრივად წააქეზა ქართული ოცნების მხადრდამჭერები გაეგრძელებინათ პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაცია და მათი ოფისების დარბევა. აღნიშნული განცხადებიდან რამდენიმე საათში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისები კვლავ დაარბიეს. ლანჩხუთში ოფისის კარები ელექტრო შედუღებებით დალუქეს. წითელი საღებავით შეღებეს ნაციონალური მოძრაობის ოფისი სამტრედიაშიც. გარდა ენმ-ის ოფისებისა, ვანდალური ქმედება

[58] <http://rustavi2.com/ka/news/27988 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

განხორციელდა მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის მიმართაც. დააზიანეს ინფრასტრუქტურა და წითელი საღებავით დატოვეს წარწერა - „მწამებლის ბიბლიოთეკა“. პრემიერის განცხადებებს მოჰყვა მკაცრი კრიტიკა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, ირაკლი ღარიბაშვილის ამ განცხადებამ სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. პრეზიდენტმა აქცენტი კონსტიტუციური წესრიგის დარღვევასა და სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობების არსებობაზე გააკეთა. ასევე, შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის, კარლ ბილდტის მოსაზრებით, პრემიერის განცხადებები ყოველგვარი დემოკრატიული წესიერების მიღმაა.

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაცია გაგრძელდა მთელი კვირის განმავლობაში. 25-26 ოქტომბერს შეურაცხმყოფელი პლაკატები გააკრეს ენმ-ს ოფისებზე ბათუმში, ფოთსა და თბილისში. პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, ოფისის სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, რომ პლაკატები წინა შემთხვევისაგან განსხვავებით უნიღბო პირებმა გააკრეს. მათი ამოცნობა ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ვერ შეძლეს, თუმცა აღნიშნული ჩანაწერები იმდღესვე გადასცეს პოლიციას.

14 მარტს, ბათუმში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრსა და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს პეტრე ზამბახიძეს კვერცხები ესროლეს. დეპუტატის განცხადებით, ინციდენტში ბათუმის მერიის ავტოტრანსპორტის სამსახურის თანამშრომლები გ. თუშმანიშვილი და მ. ღოღობერიძე მონაწილეობდნენ, პროცესი კი ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების მიერ იყო მართული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციამ ამ ფაქტზე მოკვლევა[59] დაიწყო[60].

2015 წლის 15 მარტს, ზუგდიდში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ა(ა)იპ „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრის“ ოფისებზე თავდასხმა განხორციელდა. ხელკეტებით შეიარაღებული 50-მდე პირი ოფისში შეიჭრა, დაამსხვრიეს მინები, რა დროსაც ფიზიკური დაზიანებები მიიღეს ცენტრის თანამშრომლებმა. აღნიშნულ ინციდენტში მონაწილე 47 პირი სხვადასხვა რანგის მოხელე იყო (მათ შორის, ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს წევრები, სამეგრელო - ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე). მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე საპატრულო პოლიცია იყო მობილიზებული, მათ ძალადობის აღსაკვეთად შესაბამისი ზომები არ მიუღიათ. ინციდენტში მონაწილეები მოითხოვდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 21 მარტს დაგეგმილი აქციის გაუქმებას.[61]

---

[59] შენიშვნა: საქართველოს კანონმდებლობა საპროცესო მოქმედება „მოკვლევას“ არ ითვალისწინებს.

[60] <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/42437/; http://www.batumelebi.ge/GE/batumelebi/news/42450/; http://www.netgazeti.ge/GE/105/News/42445/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[61] <http://www.tabula.ge/ge/story/93827-zugdidshi-tavisuflebisa-da-mxardacheris-centrshi-50-mde-adamiani-sheichra,http://www.tabula.ge/ge/story/93830-tavdasxma-deputatze-ako-minashvils-zugdidshi-xelketi-chaartkes > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

თავდასხმა მოხდა 2015 წლის 9 დეკემბერსაც, დედოფლისწყაროში, სადაც თავდამსხმელებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო (სხვისი ნივთის ან ქონების დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია)[62] თუმცა გამოძიების დასრულების შესახებ ინფორმაცია არ მიგვიღია.

21 დეკემბერს ენმ-ს წევრს, დეპუტატ ლევან ბეჟაშვილს თბილისის აეროპორტში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მგზავრთა გამოსასვლელთან ბეჟაშვილს რამდენიმე პირი დაუპირისპირდა. სამართალდამცველებმა ინციდენტის ორი მონაწილე შემთხვევის ადგილზე დააკავეს. აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება ცემის მუხლით (სსკ 125-ე მუხლი) დაიწყო.[63]

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის ინფორმაციით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისებზე თავდასხმისთვის, სასამართლომ სამ პირს ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა დააკისრა. როგორც მღებრიშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, შსს-მ ადმინისტრაციული სამართალწარმოება 22 შემთხვევასთან დაკავშირებით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება - რვა ფაქტზე დაიწყო.

[62] <https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebi-ertiani-nacionaluri-modzraobis-ofisze-tavdaskhmas-ekhmaurebian > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[63] <http://rustavi2.com/ka/news/34737 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში მის დამკვიდრებაში, სიტყვისა და აზრის გამოხატვის, ასევე შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას მნიშვნელოვანი როლი უკავია. იგი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებებს წარმოადგენს და უზრუნველყოფს ერთი მხრივ საზოგადოების წევრთა ინდივიდუალური განვითარების უფლებას, ხოლო მეორე მხრივ განაპირობებს პლურალიზმის, როგორც აზრთა მრავალფეროვნების პრინციპის დამკვიდრებას. აღნიშნული უფლებებისა და თავისუფლებების დაუბრკოლებელი განხორციელების უზრუნველყოფა დემოკრატიული სახელმწიფოს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.
საანგარიშო პერიოდში ადგილი ქონდა არაერთი ფაქტს, რომლებიც ხელისუფლების მხრიდან ზემოაღნიშნული უფლებების მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, არაადეკვატურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

2.1 საკანონმდებლო ცვლილებები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციათა შეფასებით საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას. აღნიშნული ცვლილებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 239[1] მუხლი - ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯარო მოწოდება, რომლის თანახმად: „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს დაისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით. ხოლო იგივე ქმედება, რასაც მოჰყვა ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.“

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ინიციატივას 2015 წლის 26 იანვარს არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია საშუალებები გამოეხმაურნენ. განცხადებაში[64], რომელსაც 40-მდე ორგანიზაციამ მოაწერა ხელი, გამოითქვა ეჭვი, რომ სახელმწიფოს ძალისხმევა, მოახდინოს გამოხატვის თავისუფლების რეგულირება, ემსახურებოდა ამ ფუნდამენტური თავისუფლების შეზღუდვას, დომინანტი სოციალური და

[64] <http://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-da-media-organizaciebis-ertoblivi-gancxadeba-shuglis-gagvivebis-taobaze-inicirebul-kanonproeqttan-dakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მორალური დისკურსის გაძლიერებას და არა დისკრიმინირებული ჯგუფების უფლებების დაცვას. კანონპროექტის თავდაპირველ ვარიანტში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მინიმალური სტანდარტებიც კი არ იყო გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც ქმედება შეიძლება დასჯადი გახდეს მხოლოდ მაშინ, თუ ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

2015 წლის 29 აპრილს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ზემოაღნიშნული ცვლილება. ამასთან კანონპროექტის პირველად რედაქციას დაემატა დაზუსტება - განისაზღვრა რეალური საფრთხის ტესტი, რომლის თანახმადაც „მოწოდება“ განიხილება დასჯად ქმედებად, თუ იგი ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების „აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.“

მიუხედავად კანონპროექტის ჩასწორებული ვარიანტის დამტკიცებისა, სამოქალაქო საზოგადოების პოზიცია უცვლელი დარჩა - მიღებული ნორმა კვლავ შეიცავს სერიოზულ საფრთხეებს გამოხატვის თავისუფლების კუთხით. საკანონმდებლო ცვლილება 3 მოსმენით იქნა მიღებული და ძალაში 2015 წლის 13 ივლისიდან შევიდა.

აღნიშნული ცვლილება ადაბლებს გამოხატვის თავისუფლების სტანდარტს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლითა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკითაა დადგენილი. 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: “[...] მნიშვნელოვანია, რომ კანონი, ისევე, როგორც მისი გამოყენების პრაქტიკა, განასხვავებდეს გამონათქვამებს, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაძლოა ძალადობის ენას შეიცავდეს, მაგრამ, ამავე დროს, უვნებელია და პოლიტიკური, სოციალური თუ სამეცნიერო დისკურსის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, მოწოდებას, როდესაც მის ავტორს გააზრებული აქვს მოწოდების სავარაუდო შედეგი და მიზნად ისახავს ამ შედეგის დადგომას.”[65]

კანონის ახალი რედაქცია ასევე წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისოდ აღიარებულ გამოხატვის თავისუფლების სტანდარტთან. გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციასა“ თუ „იდეას“, რომელიც მისაღებია და არ არის შეურაცხმყოფელი, არამედ ისეთსაც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია ან აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების გარკვეულ ნაწილს. ამგვარია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება“[66]. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი

---

[65] *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 ადაწყვეტილება, II.3.93,96*

[66] *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, საჩივრის № 5493/72, გადაწყვეტილება, 1976 წლის 7 დეკემბერი, § 49; *Sunday Times გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, საჩივრის № 6538/74, გადაწყვეტილება, 1979

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მთავრობამ შეიძლება უკანონოდ გამოაცხადოს აზრის გამოხატვა მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიმართულია „იმწუთიერი უკანონო ქმედების ჩადენის მოწოდებისკენ და სავარაუდოდ, მოხდება ამგვარი ქმედებისკენ წაქეზება ან ჩადენა[67].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკანონმდებლო ცვლილების გაუქმება, რადგან ბუნდოვანია მისი მიღების მიზანი. გარდა ამისა, გაუმართლებელია დამატებითი სამართლებრივი რეგულაციების შემოღება, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობს. ჩნდება განცდა, რომ სახელმწიფო ცდილობს საზოგადოებრივი აზრის მართვას ისეთ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევით, როგორიცაა გამოხატვის თვისუფლება.

2.2 გამოხატვის თავისუფლების და შეკრების და მანიფესტაციის უფლების განხორციელება პრაქტიკაში

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია სახელმწიფოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულებები. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ კონვენციით გარანტირებული უფლებებით და არ მოხდეს მათ განხორციელებაში ჩარევა როგორც სახელმწიფო აქტორების, ისე მესამე პირთა მხრიდან. კონვენციის მე-11 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ „გონივრული და სათანადო ზომები“, რათა ადამიანებმა ისარგებლონ შეკრების თავისუფლებით[68]. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ნეიტრალური პოზიციის დაჭერის ვალდებულება, იგი, ასევე, მოვალეა კონტრდემონსტრაციების შემთხვევაში, ყველა ადამიანს მისცეს საშუალება, ისარგებლოს შეკრების თავისუფლებით, დაიცავს იგი ძალადობრივი ქმედებებისგან და მიიღოს საამისოდ პრევენციული ზომები. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა უფლებით მოსარგებლე ხდება ძალადობრივი თავდასხმის მსხვერპლი, უზრუნველყოს ეფექტიანი გამოძიების ჩატარება *ex officio*[69].

საანგარიშო პერიოდში საგანგაშო ფაქტები დაფიქსირდა გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებაში ხელისუფლების ჩარევის კუთხით და სახელმწიფოს მიერ არაერთხელ არ შესრულდა როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულები. სახელმწიფო ორგანოებმა არათუ არ შეასრულეს ზემოხსენებული ვალდებულებები, არამედ პირიქით. ხელისუფლების უმაღლესი

წლის 26 აპრილი, § 65; *ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ,* საჩივრის № 9815/82, გადაწყვეტილება, 1986 წლის 8 ივლისი, § 41; დალბანი რუმინეთის წინააღმდეგ, საჩივრის № 28114/95, გადაწყვეტილება, 1999 წლის 28 სექტემბერი.

67 Brandenburg v. Ohio, 395 U.S. 444.

68 Plattform "Ärzte für das Leben" v. Austria, 25 May 1988, §34.

69 Ouranio Toxo case, § 42.

წარმომადგენლების განცხადებები ცხადყოფს, რომ ისინი იწყნარებენ დემოკრატიული საზოგადოების ამ ფუნდამენტური უფლების დარღვევის ფაქტებს, რითაც ფაქტობრივად ხდება დარღვევის წახალისება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მოცემულ თავში არაა მიმოხილული ის შემთხვევები, რომელიც შესაძლოა შინაარსით მოიცავს ამ თავში განსახილველ საკითხებს, მაგრამ უკვე მიმოხილილია ანგარიშის მე-4 თავში (თავდასხმები პოლიტიკურ ოპონენტებსა და ოპოზიციურ პარტიებზე).

2015 წლის 4 იანვარს, ქუჩის არტისტებმა: მარიამ ნატროშვილმა და გვანცა ჯიშკარიანმა საპატრიარქოს შენობის წინ გააკეთეს წარწერა "25 მილიონი", რაც საპატრიარქოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობაზე მიანიშნებდა და პროტესტს გამოხატავდა. 8 იანვარს წარწერის ავტორები პოლიციაში დაიბარეს. ერთ-ერთი მათგანის ცნობით, ჯერ თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში იმყოფებოდნენ, სადაც "გასაუბრებას" საპატრიარქოს სამი წარმომადგენელიც ესწრებოდა, ხოლო შემდეგ – ორთაჭალის პოლიციის განყოფილებაში, სადაც სამართალდამცავებმა შეადგინეს ოქმი. მ. ნატროშვილის თქმით, როცა სამართალდამცავებს ჰკითხეს, თუ რა სტატუსით იმყოფებოდნენ პოლიციაში ან რა მუხლით უპირებდნენ მათ ბრალის წაყენებას, საპატრიარქოს წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ "პატრიარქის ნებაა, არ დაისაჯოთ, და ეს არ არის დაკითხვა, ეს უბრალოდ გასაუბრებაა"[70]. აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რადგან სახეზეა დომინანტური საეკლესიო იერარქიის წარმომადგენლების მიერ არაფორმალური ჩარევა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში, რაც ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის პრინციპს, რაც დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.

2015 წლის 7 მაისს არასამთავრობო ორგანიზაცია მედიატორის წევრებმა, თბილისში, ვაკის რაიონში გააკრეს სტიკერები წარწერით „გახდი შენი ქალაქის მედიატორი", რის გამოც ორგანიზაციის 7 წევრი დააკავა საპატრულო პოლიციამ[71] ადმინისტრაციულ სამართალდარ-ღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის, რაც თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებას გულისხმობს. რამდენიმე საათის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.

2015 წლის 18 ივლისს, ქალაქ თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან, რამდენიმე მედია და არასამთავრობო ორგანიზაციის თაოსნობით, გაიმართა აქცია[72]

[70] <http://www.netgazeti.ge/GE/105/law/40171/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[71] <http://www.fmabkhazia.com/news/13413-stikerebis-gakvristhvis-arasamthavrobo-organizaciis-cevrebi-daakaves-da-xelcerilith-gaathavisuphles-video.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[72] < http://netgazeti.ge/news/42784/ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

რუსეთის მცოცავი ოკუპაციის წინააღმდეგ „Stop Russia“. აქციის ორგანიზატორებს დაცვის პოლიციამ ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სცენის დამონტაჟების შესაძლებლობა არ მისცა. არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადების[73] თანახმად, აღნიშნული ქმედებით შეიზღუდა ორგანიზატორებისა და მონაწილეების კონსტიტუციით გარანტირებული შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება. სცენის დამონტაჟებასთან დაკავშირებული ინციდენტის დროს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმე-დების განხორციელება) საფუძველზე დააკავეს ტელეკომპანია „ტაბულას“ გენერალური პროდიუსერი ლექსო მაჭავარიანი, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 20 ივლისს გაამართლა.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ არ მისცა მოქალაქეებს უფლება ჩაეტარებინათ მშვიდობიანი დემონსტრაცია.

2015 წლის 17 მაისს გურიაში მთავრობის საწინააღმდეგო პლაკატების გაკვრისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით დააკავეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ ლიდერები[74]. აღსანიშნავია, რომ ისინი პოლიციის განყოფილებაში არ გადაუყვანიათ. დაკავებულები 5 საათის განმავლობაში, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, იმყოფებოდნენ ავტომობილში.

2015 წლის 16 ოქტომბერს, იმავე მუხლით (სასკ, 150) საქართველოში „გაზპრომის“ შემოსვლასთან დაკავშირებული საპროტესტო პლაკატების ქუჩაში გაკვრისათვის დააკავეს ტელეკომპანია „ტაბულას“ დირექტორი თამარ ჩერგოლეიშვილი,[75] პროდიუსერი ლექსო მაჭავარიანი და სტუდენტი სალომე ხვადაგიანი. სასამართლომ თამარ ჩერგოლეიშვილი სამართალდამრღვევად ცნო, თუმცა სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა.[76]

2015 წლის 18 მაისს, ბათუმში გამართული დემონსტრაციის დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ 3 წევრი დააკავეს[77]. დემონსტრანტები პრემიერ-მინისტრის სასტუმრო „ჰილტონის“ გახსნაში მონაწილეობას

---

[73]< http://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebis-ertoblivi-gancxadeba-shekrebisa-da-manifestaciebis-uflebis-shezgudvastan-dakavshirebit.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[74] <http://pia.ge/show_news.php?id=40675&lang=geo> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[75] <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/349879-thamar-chergoleishvili-daakaves.html?ar=A > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[76] < http://topnews.mediamall.ge/?id=152800 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[77] <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/45049/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

აპროტესტებდნენ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბათუმის საკრებულოს წევრის ნოდარ დუმბაძის ცნობით, პოლიციამ დემონსტრაციის მონაწილეებს არ მისცა საშუალება, 150 მეტრის რადიუსში მიახლოებოდნენ სასტუმრო „ჰილტონს“. შინაგან საქმეთა სამინისტრო კი აცხადებს, რომ 3 პირის დაკავების საფუძველი სამართალდამცავთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა[78] იყო.

2015 წლის 8 მაისს, ქალაქ გორში რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციის დროს თავს დაესხნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ აქტივისტებს, რომლებიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას აპროტესტებდნენ. გავრცელებული ვიდეომასალის თანახმად[79], „თავისუფალი ზონის“ წევრებს ფიზიკური შეურაცხყოფა „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა მიაყენეს. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ დაინტერესდა დაიწყო თუ არა გამოძიება აღნიშნულ ფაქტზე. 2015 წლის 5 აგვისტოს გაგზავნილ მოთხოვნაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 26 ნოემბრის პასუხში აღნიშნულია, რომ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ს 125-ე მუხლის პირველი ნაწილითაა დაწყებული (ცემა) და იგი ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში, 20115 წლის 12 მაისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ***(Identoba and others v. Georgia)*** **.** [80].

საქმე ეხება 2012 წლის 17 მაისს თბილისში გამართულ ჰომოფობიის საწინააღმდეგო აქციისათვის ხელის შეშლას, რომლის აღკვეთაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო. კერძოდ, სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ იცოდა აქციის ირგვლივ არსებული რისკების შესახებ და ჰქონდა ვალდებულება, უზრუნველეყო დემონსტრაციის მშვიდობიანი ჩატარება, თუმცა ეს ვერ მოახერხა. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ აპლიკანტების მიმართ განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა და ძალადობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევად შეაფასა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთად. სასამართლოს თქმით, აპლიკანტებს „უნდა განეცადათ ისეთი ხარისხის შიში და დაუცველობა, რაც მე-3 მუხლით დადგენილ სტანდარტებს აღწევს.“ სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი (შეკრების და გაერთიანების თავისუფლება) მე-14 მუხლთან ერთად.

---

[78] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი, #161, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 15/12/1984

[79] <http://www.qartli.ge/ge/portal/news/1278/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[80] < http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154400#{"itemid":["001-154400"]} > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

თანასწორობა საქართველოში

თანასწორუფლებიანობის დაცვა თითოეული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა, რამეთუ თანასწორობის მიღწევა მულტიკულტურულ გარემოში წარმოადგენს სწორედ იმ ქვაკუთხედს, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ადამიანის უფლებების დაცვას და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. ამგვარად, თანასწორუფლებიანობა მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია სხვა უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობასთან და შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდანაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი კრძალავს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციას და ამკვიდრებს თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, ერთი მხრივ, გადადგას პოზიტიური ნაბიჯები განსხვავებულ პირთა შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად, მეორე მხრივ კი უწესებს მას ნეგატიურ ვალდებულებას, თავად არ გახდეს დისკრიმინაციული გარემოს შემქმნელი სუბიექტი.

2015 წლის პირველი ნახევარი ამ კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით იყო გამორჩეული. პირველ რიგში აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა შესაბამისადაც გაუქმდა ქმედუუნარობის ინსტიტუტი და მის ნაცვლად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ცნება – იგივე „მხარდაჭერის მიმღები პირის“ სტატუსი შემოვიდა. ცვლილებები 70-მდე კანონში შევიდა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო რიგი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც აწესრიგებდა „ჭკუასუსტობისა“ და „სულით ავადმყოფობის“ გამო ქმედუუნაროდ აღიარებას და ქმედუუნარო პირებთან დაკავშირებულ მრავალმხრივ ურთიერთობებს, იმ მოტივით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ქმედუუნარობის ინსტიტუტი, რომელიც ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალსწინების გარეშე ავტომატურად უკრძალავდა ქმედუუნარო პირებს სამოქალაქო უფლება-მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელებას, საფუძველშივე უსპობდა მათ დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობას ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, არსებობასა და განვითარებასთან. სწორედ აღნიშნულის გამო 2015 წლის პირველი აპრილიდან ამოქმედდა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებთან დაკავშირებული ახალი ინსტიტუტი და ახალი მიდგომები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა ასევე „შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის" რატიფიკაცია[81], რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მთელ რიგ ვალდებულებებს შშმ პირებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა[82], რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სათანადო ჩართულობას სხვადასხვა სისტემაში, იქნება ეს პოლიტიკური ინსტიტუტები, საჯარო სამსახური, სამოქალაქო საზოგადოება, ეკონომიკა, კერძო სექტორი თუ განათლების სფერო.

საქართველოში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, LGBTQI პირთა უფლებრივი მდგომარეობა. ასევე კრიტიკას იწვევს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პოლიტიკა და თავად სააგენტოს არსებობა. პრობლემურია მაღალი თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება და მათი ქსენოფობიური, ჰომოფობიური განცხადებებიც, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს საზოგადოებაში შეუწყნარებლობის გავრცელებას უმცირესობათა მიმართ. ამასთან მნიშვნელოვანი ხარვეზები იკვეთება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონში, რაც ხელს უშლის უფლების ეფექტიან დაცვას. აღნიშნულ პრობლემებზე ყურადღებას ამახვილებს ასევე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი ნილ მუჟნიეკსი 2016 წლის 12 იანვარს გამოქვეყნებულ დასკვნაში[83] საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი

2014 წლის 2 მაისს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით შეიქმნა დისკრიმინაციის შემთხვევებთან ბრძოლის ერთიანი საკანონმდებლო ბაზა, რომლის უპირველეს მიზანს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული თანასწორუფლებიანობის ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობა, მისი პრაქტიკული იმპლემენტაცია და საქართველოში ნებისმიერი ნიშნითა თუ ფორმით დისკრიმინაციის აკრძალვა წარმოადგენდა. კანონის მიღება დასაწყისშივე გახდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში ვნებათაღელვის გამოწვევის მიზეზი მასში არსებული დისკრიმინაციის ნიშანთა ჩამონათვალისა თუ უფლების სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამო. არასამთავრობო ორგანიზაციათა კრიტიკას იწვევდა ის, რომ კანონი რეალურად არ უზრუნველყოფდა დარღვეული უფლების ეფექტიანი აღდგენის შესაძლებლობას. ანტიდისკრიმინაციული კანონის ამოქმედების შემდგომ აღნიშნული

81 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

82 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

83 < https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2903587&SecMode=1&DocId=2367686&Usage=2 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

წუხილები დადასტურდა, რასაც მიუთითებს კოალიცია „თანასწორობისათვის“ შემავალი ორგანიზაციების ანგარიშიც ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით, 2014 წლის მაისიდან 2015 წლის აპრილამდე პერიოდში.

ანტიდისკრიმინაციული კანონი ხარვეზიანია რამდენიმე მიმართულებით. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს უფლების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით არსებული პრობლემები:

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2]-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 3 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია“. დაწესებული სამთვიანი ხანდაზმულობის ვადა საკმაოდ მცირეა, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ კანონით გათვალისწინებული უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ სამოქალაქო ცნობიერება ჯერჯერობით საკმაოდ დაბალია. დისკრიმინაციის მსხვერპლებს სჭირდებათ მეტი დრო იმის გასაანალიზებლად, რომ მათ მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია, ასევე მეტი დროა საჭირო აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების შესაგროვებლადაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო სასამართლოში სხვა ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით მოქმედებს გაცილებით უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადები (სახელშეკრულებო დავებთან დაკავშირებით 3 წელი, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით 6 წელი, ხოლო ზოგადი ვადა არის 10 წელი).
- ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველი ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუკი მას სასამართლო განიხილავს. ამგვარად, დადგენილი მექანიზმის შესაბამისად დისკრიმინაციის მსხვერპლს უწევს არჩევანის გაკეთება ორ დამოუკიდებელ სამართლებრივი დაცვის საშუალებას შორის. მას აქვს შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს ან სახალხო დამცველს. ხაზგასასმელია, რომ მსგავს ვალდებულებას (საქმის განხილვის შეჩერების შესახებ) არ ითვალისწინებს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. ამ პრობლემას კი ემატება შემჭიდროებული ხანდაზმულობის ვადაც, რაც აიძულებს მსხვერპლს ვადის გაშვების თავიდან აცილების მიზნით, პირდაპირ სასამართლოს მიმართოს.
- სახალხო დამცველთან მიმდინარე საქმის განხილვის შეჩერების საფუძველია იმავე საქმეზე ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობაც, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს ალტერნატიულ-სამართლებრივი დაცვის მექანიზმად, მითუმეტეს, რომ როგორც წესი ადმინისტრაციული წარმოება ხშირად ჭიანურდება ხოლმე.
- აღსანიშნავია, რომ სასამართლოსა და სახალხო დამცველის უფლებამოსილებები დისკრიმინაციის შემთხვევებთან დაკავშირებით არაიდენტურია. სახალხო დამცველს შეუძლია მხოლოდ რეკომენდაციის გაცემა და არ აქვს სადამსჯელო (რეპრესიული) ფუნქციები- მას არ შეუძლია რაიმე დაავალოს დისკრიმინაციის განმახორციელებელ სუბიექტებს ან დააკისროს მატერიალური თუ მორალური ზიანის ანაზღაურება.

ამავდროულად, განსხვავებით სასამართლოსგან, სახალხო დამცველი უფრო მოქნილია საქმის შესწავლასთან დაკავშირებით, ვინაიდან მას აქვს უფლება თავად გამოითხოვოს ინფორმაცია ნებისმიერი საჯარო დაწესებულებიდან დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმის უკეთ შესასწავლად. განსხვავებული კომპეტენციების არსებობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სახალხო დამცველი და სასამართლო დისკრიმინაციის საქმეების განხილვასთან დაკავშირებით არა ალტერნატიული, არამედ პარალელური მექანიზმები უნდა იყოს.

- სახალხო დამცველის უფლებამოსილებები არ ვრცელდება კერძო პირებზე. განსხვავებით საჯარო დაწესებულებებისგან, კერძო პირები არ არიან ვალდებულები მიაწოდონ საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალები და სხვა ინფორმაცია სახალხო დამცველს (ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი).

მთლიანობაში, სახალხო დამცველის როლის ამგვარი განსაზღვრა მნიშვნელოვნად ამცირებს მის ეფექტიანობის დისკრიმინაციის ფაქტებზე რეაგირების კუთხით. ხოლო ხანდაზმულობის შემჭიდროებული ვადები სასამართლოს, ანდა სახალხო დამცველის მიერ განხილვის მიღმა ტოვებს მრავალ დისკრიმინაციულ შემთხვევას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით მომზადდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვლისწინებს კერძო პირების დავალდებულებას ინფორმაციის გაცემის თაობაზე. ამასთან, კანონპროექტის თანახმად სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის არ გაცემის შემთხვევაში თუკი საქმეში არსებული მასალები ქმნიან დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის შესახებ გონივრული ვარაუდის საფუძველს და საჩივარში/განცხადებაში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას, საჩივარი/განცხადება დაკმაყოფილდება. კანონპროექტის თანახმად სახალხო დამცველთან მიმდინარე საქმის შეწყვეტის საფუძველი აღარ გახდება ადმინისტრაციული წარმოება. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე მიღებულია.

გარდა აღნიშნულისა ანტიდისკრიმინაციული კანონი შეიცავს სხვა სახის ხარვეზებსაც. კერძოდ:

- კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირდაპირი დისკრიმინაცია განიმარტება, როგორც „ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს..“ აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაცია შესაძლოა უკავშირდებოდეს არა კანონით დადგენილი უფლებით სარგებლობას, არამედ ვალდებულების განხორციელებას ან პასუხისმგებლობასაც კი. მაგალითად, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პირდაპირი დისკრიმინაციის დეფინიცია გაფართოვდეს და მოიცვას როგორც კანონით გათვალისწინებული უფლებები, ასევე ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

- კანონით პირდაპირი და ირიბი დისკრიმინციის ცნებები ერთმანეთისგან გაურკვევლად და ბუნდოვნად არის გამიჯნული. ანტიდისკრიმინაციული კანონი მიუთითებს, რომ „ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ... არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.“ ხოლო პირდაპირი დისკრიმინაცია არის, <u>ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა,</u> რომელიც პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. პირდაპირი დისკრიმინაციის ამგვარი განმარტებით ხდება ერთგვარი გადაფარვა ირიბი დისკრიმინაციის დეფინიციასთან, ვინაიდან არახელსაყრელი პირობების შექმნა შესაძლოა გავაიგივოთ მაგალითად არსით დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში არ არის ცალსახა განმარტება და გამიჯვნა პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციებს შორის, შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკითა და ევროკავშირის სამართლით, რომელთა თანახმად, ირიბ დისკრიმინაციად ითვლება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმე ეხება ნეიტრალურ წესს, კრიტერიუმს ან პრაქტიკას, რომელიც იწვევს/გავლენას ახდენს პირთა ჯგუფზე და მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს იმავე მდგომარეობაში არსებულ პირებთან შედარებით.[84] ამგვარად ირიბი დისკრიმინაცია ნიშნავს არა განასხვავებული მოპყრობის დაწესებას, არამედ წარმოადგენს ერთი შეხედვით ნეიტრალური მოპყრობის შედეგს/ეფექტს[85], ამის საპირისპიროდ პირდაპირი დისკრიმინაცია სწორედ განსხვავებულ მოპყრობას გულისხმობს. სასურველია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონი ცალსახად მიჯნავდეს დისკრიმინაციის ფორმებს არსებული საერთაშორისო განმარტებების გათვალისწინებით.
- კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განსახორციელებლად.“ აღნიშნული დებულება შეგვიძლია მივიჩნიოთ სიძულვილის ენის აკრძალვად. ამ მხრივ გასათვალისწინებელია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცული სფერო, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეხება და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება ამ საკითხზე. სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ “დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება ზედმეტად მკაცრად ან არაადეკვატურად აღიქვამდეს.“[86] იგი იზიარებს იმ აზრს, რომ გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთ „ინფორმაციასა“ და „იდეებსაც“, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების

[84] ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic* [GC] (No. 57325/00), 13 November 2007, para. 184; ECtHR, *Opuz v. Turkey* (No. 33401/02), 9 June 2009, para. 183; ECtHR, *Zarb Adami v. Malta* (No. 17209/02), 20 June 2006, para. 80 ; Employment Equality Directive, Article 2(2)(b);

[85] Handbook on European non-discrimination law, 2010, 29.

[86] ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 295; იხ ციტირება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.პ.106;

ნებისმიერ ჯგუფს."[87] აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ეგრეთ წოდებულ "ცხადი და მყისიერი საფრთხის" ტესტს, შესაბამისად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სასამართლო გამართლებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევს, თუკი მოწოდება არის რეალური საფრთხის მატარებელი, კერძოდ კი ქმნის კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს..."[88]. აღნიშნული განმარტების კონტექსტში ანტიდისკრმინაციული კანონის ზემოაღნიშნული მუხლი, რომელიც არ ითვალისწინებს „აშკარა და მყისიერი საფრთხის" ტესტს და კრძალავს მხოლოდ იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას, დისკრიმინაციული შედეგის რეალურად დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე, შესაძლოა არაკონსტიტუციურადაც მივიჩნიოთ.

ამრიგად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონი შეიცავს მრავალმხრივ ხარვეზებს, როგორც უფლების დაცვის მექანიზმების, ასევე კანონში არსებული ცნებების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ კანონის მიღება პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს, აუცილებელია საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მის სისტემატურ დახვეწასა და გაუმჯობესებაზეც იზრუნოს.

გამოვლენილი დისკრიმინაციული ფაქტები

2015 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა სავარაუდო დისკრიმინაციის რამდენიმე შემთხვევა:

- ადიგენის მუნიციპალიტეტში ჩატარდა საჯარო მოხელეთა შესარჩევი კონკურსი, რომლის შედეგადაც თანამდებობების დასაკავებლად გამგებლის წარმომადგენლები აირჩიეს. სოფელ მოხეში მცხოვრები თ. მიქელაძე აცხადებს[89], რომ მან ატესტაცია წარმატებით გაიარა, თუმცა მისი რელიგიური კუთვნილებისა და გაკეთებული განცხადებების გამო იგი თანამდებობაზე ხელახლა აღარ დანიშნეს. იმავეს აცხადებს[90] სოფელ ჭეჭლაში მცხოვრები თ. რეხვიაშვილი. ჭეჭლის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი რწმუნებული ი. ჯიმშერაძე ასევე რელიგიური ნიშნით დევნაში ადანაშაულებს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის დროებით მოვალეობის შემსრულებელს ზ. ენდელაძესა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დარბაზის" თავმჯდომარეს გ. კუბლაშვილს, რასაც ეს უკანასკნელნი კატეგორიულად უარყოფენ.
- 2015 წლის 19 მარტს, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იეჰოვას მოწმეთა სამლოცველოს მშენებლობის ნებართვის შეჩერების აქტი. აღნიშნული გადაწყვეტილების

[87] *Handyside v. the United Kingdom* judgment of 7 December 1976, Series A no. 24, p. 23, § 49
[88] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II.3.104;
[89] <http://sknews.ge/index.php?newsid=5276#.VvgFROJ96M_ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[90] <http://sknews.ge/index.php?newsid=3560#.VvgFXuJ96M_ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

შემდეგ, იეჰოვას მოწმეთა განცხადებით[91], მათ მიმართ გამძაფრდა აგრესია მართლმადიდებელი მოსახლეობის მხრიდან, რომლებიც კვლავ აპირებენ მშენებლობის წინააღმდეგ აქციების გამართვას. იეჰოვას მოწმეთა ადვოკატის ინფორმაციით, მათ 21 აპრილს მიიღეს მუქარის წერილიც. იეჰოვას მოწმეებსა და მართლმადიდებელ მრევლს შორის მოსალოდნელ სერიოზულ დაპირისპირებაზე საუბრობს[92] ასევე თერჯოლის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი, რომელიც იეჰოვას მოწმეთა მიმართ სიძულვილით მოტივირებული შეკრებების ერთ-ერთი ორგანიზატორია. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 26 აპრილს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა[93] შეხვედრა, სადაც იეჰოვას მოწმეთა სახლის მშენებლობის საკითხზე იმსჯელეს. შეხვედრის დროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ეს პრობლემა დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს, თუმცა აქვე ღიად დააფიქსირეს პოზიცია, რომ ასეთი შენობის (იეჰოვას მოწმეთა სახლი) აგება ქალაქის ცენტრში, სადაც ყოველდღიურად მოძრაობს ხალხი, არ არის მიზანშეწონილი. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 17 ივლისს ძალაში დატოვა[94] ზესტაფონის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თერჯოლის გამგეობის მიერ გამოცემული აქტის გაუქმების შესახებ, რომლითაც იეჰოვას მოწმეთა სამლოცველოს მშენებლობა შეჩერდა. ამასთან თერჯოლის გამგეობას და საკრებულოს იეჰოვას მოწმეების მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრათ. საგულისხმოა, რომ იეჰოვას მოწმეთა სასარგებლოდ გადაწყვეტილების აღსრულებას გამგეობა გასაჩივრების პროცედურების გამოყენებით თავს არიდებს[95] და აჭიანურებს. მათ გადაწყვეტილება საკასაციო წესითაც გაასაჩივრეს, თუმცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო. გადაწყვეტილება გაასაჩივრეს იეჰოვას მოწმეებმაც, თუმცა გასაჩივრების შედეგები ჯერჯერობით უცნობია.

- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტი დაფიქსირდა[96] თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. საინფორმაციო ცენტრების ქსელის კორესპონდენტის, სულხან ბორძიკაშვილის ცნობით, როდესაც იგი პროფესიული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრებოდა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში პასპორტის კონტროლის გავლისას პრობლემები შეექმნა. პროგრამის 6 მონაწილიდან მხოლოდ ს. ბორძიკაშვილი დააყოვნეს და მას აღმსარებლობასთან დაკავშირებით არარელევანტური კითხვები დაუსვეს. შემდეგ პატრულ-ინსპექტორი დაინტერესდა, თუ რატომ არ მიდიოდა ს. ბორძიკაშვილი ისლამისტურ ქვეყანაში, რადგან იგი მუსლიმი იყო. ის ფაქტი, რომ დაბრკოლება მხოლოდ ს. ბორძიკაშვილს შეექმნა და პატრულ-ინსპექტორის

[91] <http://netgazeti.ge/news/40426/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[92] <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/326973-dekanozi-spiridon-cqifurishvili-therjolashi-mosalodnel-dapirispirebaze-saubrobs.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[93] <https://www.youtube.com/watch?v=E5PK_Nh2dtc> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[94] <http://www.kutaisipost.ge/akhali-ambebi/article/1307-iehovas-motsmeebma-therjolis-gamgeobas-quthaisis-saapelacio-sasamarthloshi-procesi-mouges> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[95] <http://netgazeti.ge/news/72544/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[96]< http://ick.ge/articles/21256-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

კითხვები მის აღმსარებლობას ეხებოდა, რაც გამგზავრების მიზეზთან არ იყო კავშირში, ეჭვს აჩენს სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტის შესახებ.

სიძულვილის ენის გამოყენება

სახელმწიფოში პლურალისტული გარემოს ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრიათ საჯარო მოხელეებსა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებს, რომლებსაც გააჩნიათ კონსტიტუციური ვალდებულება ერთი მხრივ დაიცვან ადამიანები დისკრიმინაციისგან, მეორე მხრივ კი თავად არ გახდნენ დისკრიმინაციის განმახორციელებელი ან წამქეზებელი პირები. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია რომ მათ თავი შეიკავონ ნებისმიერი ისეთი განცხადებისაგან, რომელმაც შესაძლოა შეურაცხყოს საზოგადოების გარკვეული ჯგუფი და მათ მიმართ არსებული არატოლერანტული დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს.

აღსანიშნავია, რომ მსგავს მიდგომას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის განმარტებით „გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ პოლიტიკოსებმა საკუთარ საჯარო გამოსვლებში თავი შეიკავონ ისეთი გამონათქვამებისგან, რომელმაც შესაძლოა წაახალისოს შეუწყნარებლობა“[97], ხოლო 1997 წლის 30 ოქტომბერს ევროპის საბჭოს მიერ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით მიღებულ რეკომენდაციაში პირველ პრინციპად მითითებულია სწორედ ის ფაქტი, რომ „...საჯარო მოხელეებს... აკისრიათ განსაკუთრებული ვალდებულება თავი შეიკავონ ისეთი გამონათქვამებისგან, განსაკუთრებით მედია საშუალებით, რომელიც შეიძლება შეფასდეს სიძულვილის ენად, ან რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს რასობრივი სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტი-სემიტიზმის ან დისკრიმინაციის ნებისმიერი სხვა ფორმის ანდა შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული სიძულვილის ლეგიტიმაცია, გავრცელება ან პოპულარიზაცია“[98].

2015 წლის განმავლობაში საქართველოში დაფიქსირდა პოლიტიკური თანამდებობის პირთა მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების არაერთი შემთხვევა. მათგან უმეტესობა ატარებდა ჰომოფობიურ, სიძულვილის წამქეზებელ და შეურაცხმყოფელ ხასიათს საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების მიმართ. უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებაში დამკვიდრებული არატოლერანტული დამოკიდებულების ფონზე სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან მსგავსი განწყობების გამოვლენა განსაკუთრებით საგანგაშოა და ქმნის შეუწყნარებლობის კიდევ უფრო მეტად გაღვივების საშიშროებას, რაც საბოლოოდ ძირს უთხრის ქვეყანაში პლურალური საზოგადოების მშენებლობის მცდელობას. მეორე მხრივ, ასევე უარყოფითად უნდა შეფასდეს გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მცდელობა, გაუმართლებლად შეზღუდონ გამოხატვის თავისუფლება სიძულვილის ენის დასჯადობის შემოღების გზით, რაც მიმართულია არა უმცირესობათა ჯგუფების დასაცავად, არამედ დომინანტური

---

[97] (*Erbakan v. Turkey* 06.07.2006, § 64.)

98 ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R(97) 20., 1997, პრინციპი 1;

ჯგუფების მიმართ არსებული კრიტიკის ჩასახშობისა და საზოგადოებაში არსებული ჯანსაღი დებატების აკრძალვისაკენ.

ა) სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები

2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა საჯარო მოხელეებისა და პოლიტიკოსების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების რამდენიმე შემთხვევა:

- 2015 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციის თავმჯდომარის ანგარიში, რომელიც სიძულვილის ენას და არმენოფობიული ხასიათის გამონათქვამებს შეიცავდა. კერძოდ, ანგარიშში ნეგატიურ კონტექსტში იყო მოხსენიებული სომეხი ეროვნება მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში, რასაც თან სდევდა სააკაშვილის მწვავე კრიტიკა. ამგვარად დოკუმენტში კონკრეტული ეთნოსის კუთვნილება წარმოდგენილი იყო, როგორც სასირცხვილო მოვლენა. აღნიშნულს გამოეხმაურნენ[99] სამოქალაქო პლატფორმა „არა ფობიას!“ წევრები. აღსანიშნავია, რომ ამჟამად დოკუმენტი კვლავ ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში[100], თუმცა ტექსტი კორექტირებულია და „სომეხ სააკიანის“ ნაცვლად „ყოფილი პრეზიდენტია“ მითითებული.
- სიძულვილის ენის გამოყენებით განსაკუთრებით გამოირჩევა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე, რომლის სიძულვილით აღსავსე განცხადებებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ გაავრცელეს განცხადება და მისი გადაყენება მოითხოვეს. მათ შორისაა მისი ინტერვიუ გაზეთ „კვირის პალიტრის“ 2014 წლის 25 ოქტომბრის ნომერში, „ასავალ-დასავალის“ 2016 წლის 11 იანვრისა და 2016 წლის 4 თებერვლის ნომრებში გამოქვეყნებული ინტერვიუები, რომლებიც შეიცავდნენ ჰომოფობიურ, სიძულვილის წამახალისებელ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართეს[101] თანამდებობაზე სანდრო ბრეგაძის დატოვების მიზანშეწონილობის საკითხზე მსჯელობის მოთხოვნით. საგულისხმოა, რომ 2016 წლის 19 თებერვალს სანდრო ბრეგაძე თანამდებობიდან გადადგა[102].
- სიძულვილის ენის გამოყენებით გამოირჩევა[103] საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაურიც, რომლის მხრიდანაც ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერმე გავრცელდა ჰომოფობიის შემცველი განცხადებები[104]. ამასთან, აღსანიშნავია, მისი მხრიდან არმენოფობიური გამონათქვამი.

---

[99] <http://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platformashi-ara-fobias-shemavali-organizaciebis-gancxadeba1.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[100] < khulo.ge/text_files/ge_file_238_1.doc> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[101] <http://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platformashi-ara-fobias-shemavali-arasamtavrobo-organizaciebis-mimartva-saqartvelos-premier-ministrs-baton-giorgi-kvirikashvils.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[102] <http://www.tabula.ge/ge/story/104828-sandro-bregadze-saxelmtsifo-ministris-moadgilis-tanamdebobidan-gadadga> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[103] <http://tinyurl.com/zt5sydf > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[104] <http://www.notophobia.ge/geo/media/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

კერძოდ გავრცელებული კადრების თანახმად, 2016 წლის 21 იანვარს საქართველოს ყოფილი პარლამენტის შენობის წინ გამართული აქციის ერთ-ერთ მონაწილეს თამაზ მეჭიაურმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ინციდენტის შემდეგ კი აღნიშნა[105]: "არ ვიცოდი ბატონი არტური თუ იყო, თორე . . . რომ მცოდნოდა, ვინ იყო, შეიძლება უფრო მაგრად...". შეურაცხმყოფელია ასევე მისი დამოკიდებულება არასამთავრობო სექტორის მიმართაც, რომლის წარმომადგენლებსაც იგი „ენჯეოელ სოროსელებად“ მოიხსენიებს[106]. თამაზ მეჭიაურის მსგავს დამოკიდებულებებს გამოეხმაურნენ[107] არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

- საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა, გოგი თოფაძემ დაუნის სინდრომი სალანძღავ სიტყვად გამოიყენა, როდესაც განაცხადა[108], რომ პრეზიდენტმა ქართველი ხალხი „დაუნებს“ შეადარა. მეტიც, აღნიშნული გამონათქვამის მიმართ გამოწვეული კრიტიკის შემდეგაც კი მან კვლავ გაიმეორა[109] და აღნიშნა „დაუნს ვიტყვი თუ დებილს ვიტყვი, ამაში დიდი სხვაობა არ არის“. თოფაძის მხრიდან ქსენოფობიური ხასიათის გამონათქვამი დაფიქსირდა[110] 2015 წლის 9 სექტემბერს, როდესაც იგი უცხო ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საუბრობდა.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ გადაცემა 20/30-ში საუბრისას დისკრმინაციული შინაარსის ტერმინი „მამათმავლები“ გამოიყენა[111]. მართალია, მან მოგვიანებით განმარტა[112], რომ მხოლოდ პეტიციის ტერმინოლოგია გამოიყენა, თუმცა ამ დროს მან, ყოველგვარი განმარტების გარეშე, კვლავ გამოიყენა ჰომოფობიური ტერმინი.

საჯარო მოხელეების და მითუმეტეს მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენება შეუსაბამოა დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებთან. მაღალ პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნა მათ აკისრებთ თმენის ვალდებულებას, არ გამოხატონ საჯაროდ საკუთარი უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოების კონკრეტული ჯგუფების მიმართ, რამაც მათი მარგინალიზაცია შეიძლება გამოიწვიოს.

---

105 <http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/politika/67740-qrom-mcodnoda-vin-iyo-sheidzleba-ufro-magradq-metciauris-tyuil-marthali-erth-ganckhadebashi.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

106< http://www.interpressnews.ge/ge/politika/343885-thamaz-metciauri-ivanishvils-vadanashauleb-imashi-rom-erth-qenjeoel-soroselsq-saqsovi-chkhirebi-gaagdebina-da-vetothi-aghtcurva.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

107 < http://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platformis-ara-fobias-gancxadeba-tamaz-mechiauris-mier-gamovlenil-fizikur-dzaladobasa-da-qsenofobiur-gamoxatvaze.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

108 <http://www.interpressnews.ge/ge/politika/364694-gogi-thofadze-prezidents-thqven-qarthveli-khalkhi-daunebs-sheadareth.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

109 <http://rustavi2.com/ka/news/38670> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

110 <http://www.ipress.ge/new/12762-gogi-tofadze-turqul-tsitsilaze-gvafrtkhileben-mamakacebs-rom-impotencias-itsvevs> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

111 <http://www.tabula.ge/ge/story/104544-sanikidze-ratom-ver-aghmoachines-sagnebshi-mamatmavloba-usafrtxo-seqsi-identoba> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

112 <http://www.kvirispalitra.ge/public/28416-qratom-ver-aghmoachina-sapatriarqom-sityvebi-qmamathmavlobaq-qusafrthkho-seqsiq-ganathlebis-ministris-pasukhi-peticiis-khelmomtserebs.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მეტიც, ისინი ვალდებულნი არიან თავად იყვნენ სამაგალითონი შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

ბ) კანონმდებლობა:

<u>კანონპროექტი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაზე</u>

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრის, სოსო ჯაჭვლიანის ინიციატივით საქართველოს პარლამენტში განიხილებოდა კანონპროექტი, რომელიც ადმინისტრაციული წესით რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ითვალისწინებდა. განმარტებითი ბარათიდან, ასევე საკომიტეტო მოსმენაზე გამართული დებატებიდან ცალსახად იკვეთებოდა, რომ აღნიშნული კანონის მიღების მთავარ მიზანს საქართველოს დომინანტური რელიგიური ინსტიტუციის და მასთან დაახლოებული პირების საჯარო კრიტიკისგან დაცვა იყო, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკის ფონზე სრულიად სამართლიანად დღითიდღე მძაფრდება. კანონის მხარდამჭერები აპელირებდნენ ევროპულ გამოცდილებაზე, რომელიც აღნიშნული ინიციატივის საპირისპიროდ სიძულვილის ენის გარკვეული ხარისხით დასჯას სწორედ უმცირესობების დაცვის მიზნით ითვალისწინებს. ამასთან საგულისხმოა, რომ თვით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ მიმართულები ევოლუცია განიცადა და მისი მიდგომა გამოხატვის თავისუფლების დაცვის კუთხით აღარაა ისეთი, როგორიც მან მაგალითად 1994 წელს მიღებულ ოტო პრემინგერის ინსტიტუტის საქმეში ჩამოაყალიბა (რომელსაც კანონპროექტის მხარდამჭერები ეყრდნობიან). კანონპროექტი პირველი მოსმენით ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მიიღო. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან გამოხატული პროტესტის შემდეგ ინიციატორმა კანონპროექტი უკან გამოიხმო. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ინიციატივა პარლამენტში 2013 წელსაც დაფიქსირდა, თუმცა სამოქალაქო სექტორის აქტიურობით კანონის მიღება არც მაშინ მომხდარა. მიუხედავად ამისა, აშკარაა, გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებლად შეზღუდვის მცდელობები პოლიტიკოსთა ჯგუფში მუდმივად ფიგურირებს, რაც სამოქალაქო სექტორის მხრიდან მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვს.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ ემიჯნება სიძულვილის ენის დასჯას კერძო სფეროში, თუმცა მიგვაჩნია, რომ სიძულვილის ენის გამოყენება უნდა გახდეს დისციპლინარული პასუხისმგებლობის საფუძველი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით საქართველო დემოკრატიულმა ინიციატივამ შეიმუშავა კანონპროექტი და ამჟამად მიმდინარეობს მისი განხილვა სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორსო ორგანიზაციებთან.

საანგარიშო პერიოდში, 2015 წლის 12 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი 239[1] მუხლი, რომლის თანახადაც დასჯადია ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება. აღნიშნულ კანონთან

დაკავშირებით ორგანიზაციის შეფასება მოცემულია გამოხატვის თავისუფლების თავში და შესაბამისად აქ დამატებით აღარ მიმოვიხილავთ.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI) წლების განმავლობაში რეკომენდაციას აძლევდა საქართველოს ხელისუფლებას მოეხდინა სიძულვილის მოტივის მიჩნევა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად. ასეთი რეგულაციის არ არსებობა სამართალდამცავთა მხრიდან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართ გულგრილი დამოკიდებულების მიზეზად აღიქმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავდა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის (სსკ-ის 142-ე მუხლი), რასობრივი დისკრიმინაციის (სსკ-ის 142[1] მუხლი), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შეზღუდვის (სსკ-ის 142[2] მუხლი) დასჯის ნორმებს, უმეტეს შემთხვევაში არ ხდებოდა დანაშაულისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მიცემა და სათანადო გამოძიება. 2012 წლის 27 მარტის ცვლილებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად დაემატა სიძულვილის მოტივი დისკრიმინაციის ნიშნების ფართო სპექტრის გათვალისწინებით, თუმცა ამ დრომდე არ მომხდარა ამ სიახლის პრაქტიკაში გამოყენება.

ECRI-ს 2015 წლის 8 დეკემბრის მიღებულ ანგარიშში, რომელიც 2016 წლის 1 მარტს გამოქვეყნდა და მოიცავს 2015 წლის 1 იანვრიდან 17 ივნისამდე საანგარიშო პერიოდს, კვლავ საუბარია საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მაღალ რიცხვზე, ფაქტების კვალიფიკაციის, გამოძიებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯის პრობლემებზე. ECRI-ს ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სიძულვილით ჩადენილ დანაშაულზე 2011 წელს დაიწყო 4 გამოძიება, 2012-ში - 9, 2013-ში - 16 და 2014-ში - 18. ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODHIR) მიერ მიღებული ოფიციალური მონაცემები მიუთითებდა, რომ 2011 წელს სიძულვილით ჩადენილი 19 დანაშაულიდან მხოლოდ ერთზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა; 2012 წელს კი - 13 საქმიდან ხუთზე. ამ წლების განმავლობაში აღნიშნული მუხლებით მსჯავრი არცერთხელ არ დაუდიათ. ანგარიშში აღნიშნულია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მითიღებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების რიცხვი გაცილებით მცირეა რეალურ შემთხვევათა რაოდენობასთან შედარებით, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ანგარიშებში აღნიშნავენ.[113]

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კვალიფიკაციის და გამოძიების ეფექტურობის პრობლემა შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებითაც - პროკურატურის

[113] <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

წარმომადგენლები პირად საუბრებში და სხვადასხვა შეხვედრებისა თუ კონფერენციების ფორმატში აღნიშნავენ, რომ როდესაც საქმე ეხება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს, განსაკუთრებით დანაშაულებს რელიგიური ნიშნით, საქართველოს პროკურატურა ბრალდებულების მიმართ იყენებს ლოიალურ პოლიტიკას. ეს გამოწვეულია რელიგიური სიძულვილის და მსგავსი სახის დანაშაულების ზედმეტად სენსიტიური ბუნებით.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა რელიგიური სიძლვილის ნიშნით ჩადენილი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის არაერთი შემთხვევა, მაგალითად თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში იეჰოვას მოწმეთა ოფისის ზედიზედ ორჯერ დაცხრილვა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია რელიგიური სიძულვილის მოტივით ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების და ცემის შემთხვევები. კერძოდ, თავს დაესხნენ და ცივი იარაღით დაჭრეს „სტუდიო კამპუსის“ დირექტორი მიხეილ ხუნდაძე; კოტე აფხაზის ქუჩაზე, რესტორან „ჭაშნაგირში“ თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ტაბულას ჟურნალისტებს, ირაკლი კიკნაველიძეს, ლევან სუთიძეს, ნინო მაჭარაშვილსა და ტაბულას ყოფილ თანამშრომელს, ავთო ქორიძეს. სანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა რასისტული გამოვლინებებიც.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართ აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოვლინდა 17 მაისის აქციის დარბევის საქმესთან დაკავშირებით. დარბევაში მონაწილე პირები, რომელთაც შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლაში ედებოდათ ბრალი, სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო.

საზოგადოების წარმომადგენლებმა განვითარებულ მოვლენებს არაერთხელ უწოდეს ხელისუფლების და სამართალდამცავთა მხრიდან ლმობიერი, ხშირ შემთხვევაში გაუაზრებელი სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგი. არასამთავრობოთა წარმომადგენლები თვლიან, რომ დაუსჯელობის განცდა არის სწორედ ის გარემოება, რომელიც პროვოცირებას უწევს ახალი დანაშაულების ჩადენას. განსაკუთრებით ეს იკვეთება რელიგიური სიძულვილით ჩადენილი დანაშაულების ინტენსივობის ფონზე.

თავდასხმა ტაბულას ჟურნალისტებზე

2016 წლის 12 იანვარს რესტორან „ჭაშნაგირში“ უცნობი პირები თავს დაესხნენ ტელეკომპანია „ტაბულას“ ჟურნალისტებს ირაკლი კიკნაველიძეს, ლევან სუთიძეს, ნინო მაჭარაშვილსა და „ტაბულას“ ყოფილ თანამშრომელს ავთო ქორიძეს.[114] „ტაბულას“ ჟურნალისტის ირაკლი კიკნაველიძის განცხადებით, რამდენიმე პირმა მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რესტორნის ინვენტარი დააზიანა და ამის მოტივად „ტაბულას“ მიერ ეკლესიის

[114] <https://www.youtube.com/watch?v=infnsbjA1q0&noredirect=1> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

კრიტიკა დაასახელა. დაზარალებულის განცხადებით, მას და მასთან მყოფ პირებს მსუბუქი დაზიანებებიც აღენიშნებათ.[115]

ამ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სსკ-ის 125-ე მუხლით (ცემა ან სხვაგვარი ძალადობა) დაიწყო.[116] ინციდენტიდან რამდენიმე დღეში პოლიციამ თავდამსხმელთა ვინაობა დაადგინა.[117] საქმის კვალიფიკაციას კრიტიკული რეაქცია მოჰყვა როგორც პოლიტიკური, ასევე სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. არასამთავრობო პლატფორმაში „არა ფობიას!“ შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, გამოძიება არასწორი მიმართულებით მიმდინარეობდა. მათი განცხადებით, „ტაბულას“ ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3[1] ნაწილით გათვალისწინებული – სიძულვილის მოტივი იკვეთებოდა. ორგანიზაციები ასევე მოუწოდებდნენ სამართალდამცავ ორგანოებს, ყურადღება გაემახვილებინათ იმ ფაქტზე, რომ თავდასხმის მიზეზი ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობა გახდა, ვინაიდან ეს პირდაპირ უქმნიდა საფრთხეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას.[118]

მომხდართან დაკავშირებით კომენტარები გააკეთეს ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმაც. პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, თავდასხმა და ფიზიკური შეურაცხყოფა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის დასაგმობია და მომხდარი აუცილებლად საჭიროებს სათანადო რეაგირებას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.[119] ჟურნალისტებზე თავდასხმის მოტივებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია ჰქონდა პარლამენტის ვიცესპიკერს, მანანა კობახიძეს, რომელმაც მიიჩნია, რომ გამოძიება სწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობდა და მედიის საქმიანობისთვის ხელშეშლა არ მომხდარა.[120]

3 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ თავდასხმაში ბრალდებულ სამ პიროვნებას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა.[121] აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნამდე, 2 თებერვალს, საქართველოს პროკურატურამ ბრალდებულების ქმედებას

---

[115] <http://www.tabula.ge/ge/story/103580-tabulas-zhurnalistebs-kote-afxazis-quchaze-restoran-chashnagirshi-tavs-daesxnen> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[116] <http://fortuna.ge/tabulas-djurnalistebze-tavdaskhmis-saqmeze-gamodzieba-daiwyo/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[117] <http://www.tabula.ge/ge/story/103643-shss-policiam-tabulas-zhurnalistebze-tavdamsxmelebis-vinaoba-daadgina> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[118] <http://liberali.ge/news/view/20260/ara-fobias-tabulas-zhurnalistebze-tavdaskhmas-satanado-kvalifikatsia-unda-mietses> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[119] <http://www.timer.ge/nathqvami-sitkhvis-gamo-thavdaskhma-dasagmobia-usupashvili-tabulas-zhurnalistebze-thavdaskhmas-ekhmaureba/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[120] <http://www.tabula.ge/ge/story/103592-kobaxidze-stsorad-shevafasot-tabulas-zhurnalistebis-saqmianobashi-ar-chareulan> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[121] <http://www.tabula.ge/ge/story/104278-tabulas-zhurnalistebze-tavdamsxmelebs-sasamartlom-girao-sheufarda> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

კვალიფიკაცია შეუცვალა და თავდამსხმელებს ბრალი სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარუდგინა, რაც გულისხმობს ძალადობით ან ძალადობის მუქარით ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. დანაშაული ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.[122]

ხაზგასასმელია, რომ თავდამსხმელებმა ტელევიზია „ტაბულას" თანამშრომლებზე ფიზიკური ძალადობის მოტივად ამ უკანასკნელთა მიერ განსხვავებული კრიტიკული აზრის ტირაჟირება თავად დაასახელეს, რასაც ადასტურებს თვითმხილველთა განცხადებები და გავრცელებული ვიდეომასალა, თუმცა სამართალდამცავებმა ამჯერადაც ამ გარემობის იგნორირება მოახდინეს.

სახელმწიფოს მხრიდან მსგავს შემთხვევებზე არასათანადო რეაგირება და ფაქტების არასწორად შეფასება პოტენციურ დამნაშავეებში ამკვიდრებს დაუსჯელობის სინდრომს, რამაც შესაძლოა, სამართალდარღვევათა რიცხვის საგრძნობლად გაზრდა გამოიწვიოს, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურ გავლენას იქონიებს მედიის თავისუფლებასა და პლურალიზმზე.

თავდასხმა მიხეილ ხუნდაძეზე

2015 წლის 15 ნოემბერს „სტუდიო კამპუსის" დირექტორს მ. ხუნდაძეს თავს დაესხნენ[123]. ინციდენტი „კამპუსის" ორგანიზებით მოწყობილ საჯარო ლექციაზე, მილორავას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში მოხდა. იმის გამო, რომ ლექციას მსმენელთა დიდი რაოდენობა ესწრებოდა, ორგანიზატორებმა ხმის გამაძლიერებლები გამოიყენეს და ხმა მიმდებარე ტერიტორიაზეც გავრცელდა. თავად მ. ხუნდაძის განცხადებით, ლექციის ორგანიზატორები, სავარაუდოდ, სწორედ ლექციის შინაარსის გამო მიიჩნიეს „სექტანტებად" და „სატანისტებად". განსაკუთრებული უკმაყოფილება მოყვა ნიცშეს ცნობილ ფრაზას „ღმერთი მოკვდა", რომელიც ლექციის დროს გაჟღერდა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ღონისძიებაზე დამსწრეთა ნაწილმა ლექციის ჩაშლა სცადა, ცენტრის ხელმძღვანელმა მ.ხუნდაძემ მათ მკაცრად მოსთხოვა სივრცის დატოვება. სიტყვიერი კონფლიქტი მალე ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა. ლექციიდან გასულმა ახალგაზრდებმა მოიყვანეს პიროვნება, რომელმაც სადარბაზოსთან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ მ. ხუნდაძე მკერდის არეში დანით დაჭრა. შსს-ს განცხადებით, მილორავას ქუჩაზე მომხდარ ფაქტზე ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას ითვალისწინებს, ხოლო დამამძიმებელი გარემოებები არ გამოკვეთილა.

---

[122] <http://www.tabula.ge/ge/story/104219-tabulas-zhurnalistebze-tavdamsxmelebs-brali-devnis-muxlit-tsarudgines> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[123] <http://www.timer.ge/studio-kampusis-direqtors-sajaro-leqciis-mimdinareobisas-civi-iaraghith-ramdenime-chriloba-miakhenes/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურნენ სამოქალაქო პლატფორმის "არა ფობიას!" წევრი და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი თქმით, მნიშვნელოვანია, ქმედებას სათანადო კვალიფიკაცია მიეცეს და გათვალისწინებული იქნეს საქმეში მკვეთრად გამოხატული რელიგიურ-იდეოლოგიური ნიშნით სიძულვილის მოტივი. მათივე განცხადებით, დაზარალებულისა და თვითმხილველების განმარტებები აღნიშნულ ინციდენტში, სავარაუდოდ, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ნიშნების არსებობაზე მიუთითებს[124].

თავდასხმა იეჰოვას მოწმეთა დარბაზზე

2015 წლის 23 ნოემბერს, დაახლოებით ღამის 11 საათზე, ვაზისუბნის დასახლებაში იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის შენობას ცეცხლი გაუხსნეს.[125] სროლის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა დაზიანდა შენობის კედლები და ჩაიმსხვრა შუშები. იეჰოვას მოწმეთა იურისტის მ. ციმინტიას განცხადებით, შემთხვევის ადგილზე ნანახია ოცამდე ტყვია. აღსანიშნავია, რომ პოლიციის შენობა შემთხვევის ადგილიდან 300 მეტრში მდებარეობს, მაგრამ მომხდარის შესწავლა მხოლოდ 24 ნოემბერს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ორგანიზაციის წევრებმა ამის შესახებ თავად განაცხადეს პოლიციაში. ფაქტთან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება) დაიწყო. შენობა სროლის ობიექტი გახდა 30 ნოემბრის საღამოსაც.[126] გასათვალისწინებელია, რომ იეჰოვას მოწმეთა მიმართ ბოლო ორი წლის განმავლობაში სიძულვილით მოტივირებულმა თავდასხმების ოდენობამ საგრძნობლად იმატა.

„ბერგმანი ზანგების წინააღმდეგ"

2015 წლის 21 სექტემბერს სოციალურ ქსელში „Georgian Ultras"-ს სახელით გავრცელდა ვიდეოჩანაწერი, სადაც ასახულია, როგორ უსწორდება ფიზიკურად გარკვეულ პირთა ჯგუფი ქუჩაში მიმავალ პირებს.[127] ვიდეოს აღწერაში კი მითითებულია შემდეგი: „ბერგმანი ზანგების წინააღმდეგ". როგორც ირკვევა, ხსენებული ქართული რასისტული დაჯგუფების თავდასხმის სამიზნეს წარმოადგენენ ფერადკანიანი პირები, ასევე, თურქები და არაბები.

გავრცელებულ ფოტო და ვიდეომასალასთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გაავრცელეს სამოქალაქო პლატფორმაში „არა ფობიას!" შემავალმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. განცხადებაში ხაზი გაესვა იმ საფრთხეს, რომელსაც ქსენოფობია და რასიზმი, განსაკუთრებით კი, მათი ექსტრემისტული გამოვლინებები, უქმნის თითოეულ

---

[124] <http://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba-mixeil-xundadzeze-tavdasxmis-shesaxeb.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[125] <http://medianews.ge/ge/vazisubanshiiaghovelebistavshekristsentridatskhriles/116000> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[126] <http://www.tabula.ge/ge/story/102384-iehovas-motsmeta-samefo-darbazi-erti-kviris-ganmavlobashi-meored-dacxriles> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[127] <https://www.youtube.com/watch?v=iJ178-lKj-Y> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ადამიანს. „ასეთ დროს უკიდურესად მნიშვნელოვანია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციისა და სიძულვილის მოტივით განხორციელებულ სამართალდარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება; მათი მხრიდან საკითხის მნიშვნელობისა და სენსიტიურობის ადეკვატური აღქმა“.[128]

განცხადების ავტორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდეს ხსენებული ჯგუფის დროული იდენტიფიცირებისა და მომავალში ძალადობის აღკვეთის მიზნით ყველა გონივრული ღონისძიების განხორციელებისკენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2015 წლის 28 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რასობრივი დისკრიმინაციის ბრალდებით ორი პირი დააკავეს.[129]

სასამართლომ ერთ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა, ხოლო მეორეს 2000 ლარიანი გირაო შეუფარდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი არასრულწლოვანია.[130] საბოლოოდ ორივე პიროვნებას სასჯელის სახით 5 000 ლარიანი ჯარიმა და ერთ წლიანი პატიმრობა შეეფარდა.[131]

17 მაისის აქციის დარბევაში მონაწილე პირები საქალაქო სასამართლომ გაამართლა

17 მაისის აქციის დარბევაში მონაწილე პირთა მიმართ საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პრაქტიკა კიდევ ერთხელ აჩვენებს სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მიმართ ხელისუფლების მხრიდან არასწორ დამოკიდებულებას.

2015 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ 2013 წლის 17 მაისის აქციის დარბევაში მონაწილე ოთხი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.[132] მათ ბრალი ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით, რაც გულისხმობს „შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლას ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“.

17 მაისის საქმესთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ „საქმეში არ მოიპოვება იმ პირდაპირ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტთან ერთად, პირთა

128< http://gdi.ge/ge/news/platformashi-ara-fobias-shemavali-arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba-rasobrivi-sheuwynareblobis-faqtebtan-dakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
129 <http://ick.ge/rubrics/society/23906-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
130 <http://tvpirveli.ge/index.php/component/k2/item/2681-2015-09-28-09-27-18> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
131 <http://goal.ge/ge/gushin-sasamartlom-bergmanis-tsevrebs-ganacheni-gamoutana/#> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
132 <http://1tv.ge/ge/news/view/109673.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დამნაშავედ ცნობისათვის. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილმა მოწმეებმა სასამართლო სხდომაზე ვერ დაადასტურეს ბრალდებულთა მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენის ფაქტი."[133] აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლით ბრალი ასევე წაყენებული ჰქონდა სასულიერო პირს, მამა ანთიმოზს (თამაზ ბიჩინაშვილი), თუმცა წინასასამართლო სხდომაზე მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურნენ პლატფორმაში „არა ფობიას!" შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი აზრით, „17 მაისის საქმეში იკვეთება ხელისუფლების არაეფექტური პოლიტიკა, რაც დომინანტი რელიგიური ჯგუფისა და 17 მაისის მოვლენების მიმართ ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულით უნდა აიხსნას"[134].

[133] <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=748> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[134] <http://gdi.ge/ge/news/platformashi-ara-fobias-shemavali-arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba-saqalaqo-sasamartlos-mier-2013-wlis-17-maiss-aqciis-darbevashi-monawile-pirebis-gamartlebastan-dakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

სეკულარიზმის წინაშე არსებული გამოწვევები საქართველოში

საქართველოს კონსტიტუცია ამკვიდრებს რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს და აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას[135]. ამასთან ერთად, კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში, თუმცა იქვე ხაზგასმულია, რომ იგი დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებულია კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც ამ ორი სუბიექტის ურთიერთობას არეგულირებს და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გარკვეულ პრივილეგიებს უწესებს, თუმცა ეს არ გულისხმობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის შესაძლებლობის მინიჭებას, ჩაერიოს სახელმწიფოს საქმიანობაში და ამ პოზიციიდან ზეგავლენა მოახდინოს გარკვეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციით მკვეთრად გამოხატული პოზიციისა, დაცული იყოს სახელმწიფოში სეკულარიზმის პრინციპი, რეალობა ფაქტობრივად საპირისპიროა. უკანასკნელ პერიოდში ამ პრობლემამ თავი არაერთ სფეროში იჩინა, მათ შორის, განათლების სისტემაში. აშკარაა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს სურვილი იყოს პოლიტიკური აქტორი და გავლენა იქონიოს სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. სამწუხაროდ სახელმწიფო სათანადო წინააღმდეგობას არ უწევს მსგავს მოთხოვნებს, მეტიც, უმაღლესი თანამდებობის პირები, ხშირად, თავად უწევენ პოპულარიზაციას მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიურ ჩარევას სახელმწიფო საქმეებში, რაც სახელმწიფოში სეკულარიზმის პრინციპს საფრთხეს უქმნის.

ერთი მხრივ, უდავოა, რომ ეკლესიას ხელისუფლებაშიც ჰყავს მხარდამჭერი პირები, რომლებიც პიროვნულად იზიარებენ ეკლესიის პოზიციებს გარკვეული საკითხებისადმი, მეორე მხრივ კი საგულისხმოა ის, რომ ხელისუფლება უბრალოდ იძულებულია ანგარიში გაუწიოს ყველაზე მძლავრ საზოგადოებრივ ინსტიტუციას, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი ბერკეტი ზეგავლენა მოახდინოს ელექტორატზე და შესაბამისად ერთგვარად დააშანტაჟოს ხელისუფლება, რომელსაც სეკულარიზმის პრინციპის დაცვაზე მეტად ძალაუფლების შენარჩუნება აღელვებს. 2013 წლის 17 მაისის მოვლენები იყო პირველ რიგში სწორედ ეკლესიის ძალის დემონსტრირება და იმის ილუსტრაცია, თუ რამდენად დიდი მასის მართვა ძალუძს საპატრიარქოს. სწორედ აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, სახელმწიფო იძულებული ხდება მოიპოვოს ეკლესიის კეთილგანწყობა მისი პირდაპირი დაფინანსებით

[135]საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი;

(საკმაოდ სოლიდური თანხებით) და მისთვის სახელმწიფოს საქმიანობაში ჩარევის ნებართვის მიცემით.

ცალსახაა, რომ ამგვარი მდგომარეობის გაგრძელება უარყოფითად აისახება საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაზე და მნიშვნელოვნად შეაფერხებს სახელმწიფოში პლურალისტული გარემოს ჩამოყალიბებას. ამასთან, უარყოფითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობა და როლი. მისი საქმიანობა შექმნის დღიდან სამოქალაქო სექტორის მწვავე კრიტიკის საგანია, რასაც უკანაკნელ ხანებში საერთაშორისო ორგანიზციების უარყოფითი შეფასებაც მოყვა.

განათლების სისტემა და სეკულარიზმი

ა) საგანი „მე და საზოგადოება“

2015 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებით აქტიურად იყო ჩართული განათლების პოლიტიკის განხორციელებაში. საქმე ეხებაბოდა III და IV კლასებში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ფარგლებში დაგეგმილ საგანს „მე და საზოგადოებას“, რომლის საპილოტე პროგრამა თბილისსა და რეგიონების რამდენიმე სკოლაში 2015-2016 სასწავლო წელს უნდა განხორციელებულიყო, ხოლო 2016–2017 სასწავლო წლიდან კი მისი სწავლება მთელი საქართველოს მასშტაბით გახდებოდა სავალდებულო. თუმცა განათლების სამინისტროს განცხადებით[136], საპილოტე პროგრამის დაწყება და შესაბამისად საგნის ყველა სკოლაში სწავლება გადავადდა იმ მიზეზით, რომ საგნის სტანდარტის ირგვლივ მსჯელობა დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ საგნის სტანდარტების შექმნის ეტაპზე საპატრიარქოს ინიციტივით, საგნიდან ამოიღეს[137] ტერმინი „გენდერული იდენტობა“, რომლის შინაარსიც მისი აზრით, თვით მასწავლებლისთვისაც გაუგებარია. ამასთან ამოღებულია პოლიტიკური ხასიათის კატეგორიები: "ლიბერალიზმი" და "დემოკრატიული ღირებულებები," რომლებიც, საპატრიარქოს აზრით ბავშვის პოლიტიკურ ინდოქტრინაციას ახდენს, ხოლო თემის "მე და ოჯახი" სათაური მისივე რეკომენდაციით შეიცვალა და ეწოდა "ჩემი ოჯახი".

ხაზგასასმელია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებო პროგრამების დაგეგმვაში საპატრიარქოს აქტიურ ჩართულობას ადასტურებს თავად მინისტრიც. მისი განცხადებით[138], სამინისტრო „საბოლოო კონსულტაციებს საპატრიარქოსთან გადის იმ საკითხების გამო, რომელიც ეხება რელიგიის თემას....“ თუმცა აშკარაა, საპატრიარქოს ჩართულობა ზემოაღნიშნული საგნის შემუშავებისას მხოლოდ რელიგიური

---

[136] <http://edu.aris.ge/news/skolebshi-axali-sagnis-me-da-sazogadoeba-swavleba-gadaido.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[137] <http://www.tabula.ge/ge/story/100858-sapatriarqo-saxelmdzghvanelodan-amovaghebinet-terminebi-mag-genderuli-identoba> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[138] <http://commersant.ge/?m=5&news_id=32599&cat_id=2> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

საკითხებითაც არ იყო შემოფარგლული და მოიცავდა ისეთ პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებსა და კონცეფციებს, როგორებიცაა „ლიბერალიზმი“, „დემოკრატიული ღირებულებები“ და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან მსგავსი აქტიურობა ეწინააღმდეგება როგორც სეკულარიზმის პრინციპს, ისე „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონს და ხელს უშლის კანონით განმტკიცებული მიზნების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ „მე და საზოგადოებამ“ ხანგრძლივი ხასიათის ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოების რადიკალურ ჯგუფებში. სასულიერო პირებმა და მართლმადიდებელმა მრევლმა განათლების სამინისტროსთან აქცია გამართეს[139]. მათ მოთხოვნას სკოლებში ჰელოუინის აღნიშვნის აკრძალვასთან ერთად, ახალი საგნების - "მე და საზოგადოება" და "ჩვენი საქართველო" საბოლოოდ გაუქმება წარმოადგენდა. ამასთან გავრცელდა სპეციალური პეტიცია[140] „ეროვნული იდენტობის შეურაცხმყოფელი საგნების“ გაუქმების მოთხოვნით, რომელსაც ხელი საზოგადოებისათვის ცნობილმა პირებმა, მათ შორის კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა მოაწერეს. აღსანიშნავია, რომ პეტიციაში მოყვანილი არგუმენტები და მსჯელობები სრულიად შეუსაბამოა არსებულ რეალობასთან და წარმოადგენს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას.

საყურადღებოა პეტიციის საპასუხოდ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადება[141], რომელშიც იგი ავლენს „პიროვნულ მხარდაჭერას პეტიციის პათოსის მიმართ“: „ეს პეტიცია რომ წავიკითხე, შევშფოთდი, როგორც მშობელი, როგორც დედა, და უფრო მეტიც, მზად ვიყავი, მეც მომეწერა ხელი"-აღნიშნავს იგი. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, „მინისტრის ამგვარი მიდგომა განათლების სისტემის განვითარების ფუნდამენტურად არასწორ ხედვებზე მიუთითებს და მან შესაძლოა არსებითად დააზიანოს თავისუფალი, პლურალური და სოლიდარული საზოგადოების მშენებლობა.“[142]

მთლიანობაში, სამოქალაქო პლატფორმის „არა ფობიას!“ შეფასებით„მიმდინარე პროცესები აჩვენებს, რომ განათლების სისტემაზე საპატრიარქოს გავლენა უფრო მეტად ინსტიტუციონალიზებული გახდა და სამინისტროს არ გააჩნია პოლიტიკური ნება და

139< http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/351697-sasuliero-pirebma-ganathlebis-saministrosthan-aqcia-gamarthes.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
140 <http://www.kvirispalitra.ge/public/28407-gangashis-zarebi.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
141< http://www.epn.ge/index.php?id=18121> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
142 <http://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platformashi-ara-fobias-shemavali-arasamtavrobo-organizaciebis-gamoxmaureba-ganatlebis-ministris-mier-gaketebul-gancxadebebze.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

სიმტკიცე, დაიცვას საგანმანათლებლო სივრცის თავისუფლება და უზრუნველყოს სეკულარული გარემო..“[143]

ბ) რელიგიური ინდოქტრინაცია და რელიგიური სიმბოლოების განთავსება სკოლებში

განათლების სისტემაში კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ინდოქტრინაციის და სკოლებში რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით განთავსების შემთხვევები რაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალულია.[144] სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ეს მოვლენა სისტემურ ხასიათს ატარებს და განსაკუთრებით აქტუალურია უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.[145]

აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის[146] საკონსულტაციო კომიტეტმა, რომლის 2016 წლის 17 იანვარს გამოქვეყნებულ ანგარიშში მითითებულია, რომ კომიტეტი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ გადაუდგამს ადეკვატური ნაბიჯები სეკულარიზმის პრინიციპის საჯარო სკოლებში სათანადოდ დაცვისათვის.[147]

ზემოაღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში ხაზგასასმელია განათლების სამინისტროს შემადგენლობაში არსებული შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობაც, რომლის ერთ-ერთ მოვალეობას სწორედ საჯარო სკოლების ინსპექტირება წარმოადგენს, თუმცა აუდიტი არ ახდენს არსებული კანონდარღვევების სათანადოდ იდენტიფიცირებას და აღკვეთას. მეტიც, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები სამუშაო შეხვედრებში ღიად აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მსგავსი კანონდარღვევები მხოლოდ ცალკეულ, იშვიათ შემთხვევებში ხდება და ეს, მათი აზრით, სისტემურ პრობლემას არ წარმოადგენს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით შემაშფოთებელია, მითუმეტეს საზოგადოებაში არსებული

---

[143] http://gdi.ge/ge/news/samoqalaqo-platformashi-ara-fobias-shemavali-arasamtavrobo-organizaciebis-gamoxmaureba-ganatlebis-ministris-mier-gaketebul-gancxadebebze.page
[უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[144]საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-18 მუხლი.

[145] „რელიგიურ გაერთიანებათა საჭიროების კვლევა საქართველოში“ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2014; „რელიგია საჯარო სკოლებში“, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი <http://emc.org.ge/2014/03/31/religia_sajaro_skolebshi/ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[146] საქართველო „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციას საქართველო 2005 წლის 13 ოქტომბერს მიუერთდა.

[147]ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი, მეორე მოსაზრება საქართველოს შესახებ, მიღებულია 2015 წლის 17 ივნისს, პ.62<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680590fb5>
[უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მზარდი ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ზოგადად არატოლერანტული დამოკიდებულებების ფონზე უმცირესობების მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ განათლების სამინისტრომ, რომლის ერთ-ერთი მთავარ მოვალეობას საზოგადოების ახალგაზრდა თაობის დემოკრატიულ ღირებულებებზე აღზრდა უნდა წარმოადგენდეს, გაითავისოს საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოიჩინოს მტკიცე ნება და ნებისმიერი გადაწყვეტილება საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას დააყრდნოს. ამასთან აუცილებელია განათლების სამინისტრომ მოახდინოს ეფექტური, ადეკვატური და მათ შორის პრევენციული რეაგირება ნებისმიერ შესაძლო კანონდარღვევაზე.

პატიმართა შეწყალება

2015 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პატრიარქმა ღიად დააფიქსირა საკუთარი სურვილი ჰქონდეს პატიმართა შეწყალების უფლებამოსილება და იმედი გამოთქვა, რომ ხელისუფლება ამ საკითხს განიხილავს[148]. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის აზრით პატრიარქს ნამდვილად უნდა ჰქონდეს ასეთი უფლება. აღნიშნულს დაეთანხმა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიაც. მოგვიანებით კი საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მოუწოდა პრეზიდენტს და პარლამენტს პატიმართა შეწყალების უფლების თაობაზე საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორეს თხოვნაზე მსჯელობა დაიწყონ[149].

აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა შეწყალების ექსკლუზიური უფლებამოსილება საქართველოს კონსტიტუციის 73[1] მუხლის მე-4 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს პრეზიდენტს აქვს და მას არ ესაჭიროება პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციაც. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად აღიარებს რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპს და ამგვარად ერთმანეთისგან მიჯნავს საერო და სასულიერო სფეროებს, პატრიარქისათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება იქნებოდა ამ პრინციპების საწინააღმდეგო იქნებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობა და დამოკიდებულება განსხვავებული ჯგუფების (განსაკუთრებით ლგბტქი თემის) მიმართ არატოლერანტულია, რასაც საკუთარ დასკვნაში ასევე მიუთითებს „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი და აღნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ხშირ შემთხვევაში მრავალფეროვნების ნაცვლად საკუთარი უზენაესობის დამკვიდრებას ესწრაფვის.[150]

---

[148] <http://www.civil.ge/geo/article.php?id=29954> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[149] <http://civil.ge/geo/article.php?id=29955> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[150]ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი, მეორე მოსაზრება საქართველოს შესახებ, მიღებულია 2015 წლის 17 ივნისს, პ.11, 48, 141;

სამოქალაქო საზოგადოებისგან საპასუხო რეაქციის შემდგომ, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და საპატრიარქოს მიერ გავრცელებული განცხადებებით ხსენებული ინიციატივაზე სამომავლო მსჯელობა შეწყდა.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

ა) სააგენტოს შექმნა და სტრატეგია

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ დააფიქსირეს საკუთარი მკაცრად ნეგატიური დამოკიდებულება რელიგიის საკითხთა სახელმწიფოს სააგენტოს შექმნისა და მისი საქმიანობის მიმართ. აღნიშნულის შესახებ საუბარია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ 2014 წლის პირველი ნახევრის ანგარიშშიც[151].

სააგენტოს შექმნის განსაკუთრებული საჭიროების არარსებობაზე მეტყველებს ის, რომ იმავე საკითხების დასარეგულირებლად უკვე ფუნქციონირებდა უწყებათაშორისი კომისია. ასევე აღსანიშნავია, რომ სააგენტოს შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ფაქტობრივად მოხდა დახურულ კარს მიღმა, რელიგიურ გაერთიანებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ზოგადად სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციისა და მათი ჩართულობის გარეშე. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სააგენტოს ხელმძღვანელად დაინიშნა მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის სპეციალისტი ზაზა ვაშაყმაძე, რომელიც 2012 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, ითხოვდა საჯარო სკოლებში მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სავალდებულო სწავლებას[152] და რომელიც გამოირჩევა დისკრიმინაციული მიდგომით[153] რელიგიური უმცირესობების მიმართ.

კრიტიკის საგანი გახდა სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის განვითარების სტრატეგიის პროექტიც“. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით გამოქვეყნებული დოკუმენტი პრობლემურია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო[154]. კერძოდ:

- უმცირესობების უფლებების დაცვის აქტუალიზაციის ნაცვლად, დოკუმენტის ავტორები არა „უფლებებზე“ არამედ, „უსაფრთხოებაზე“ აკეთებენ აქცენტს;
- იქმნება რელიგიური უმცირესობების ძირითად და არაძირითად, ტრადიციულ და არატრადიციულ ჯგუფებად დიფერენცირებისა და იერარქიზაციის საფრთხე;
- იქმნება რელიგიური გაერთიანებების ავტონომიაში სახელმწიფოს ჩარევის სურვილის შთაბეჭდილება;
- იკვეთება „რელიგიის შესახებ“ კანონის მიღების სურვილი, რისი საჭიროებაც რეალურად არ დგას;

---

151 <http://gdi.ge/uploads/other/0/201.pdf > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
152 <http://netgazeti.ge/life/12582/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
153 <https://www.youtube.com/watch?v=j8B02ADH-QY> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
154 <http://gdi.ge/ge/news/saqartvelos-saxelmwifos-religiuri-politikis-ganvitarebis-strategiis-shefaseba.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

- პრობლემურია საბჭოთა კავშირის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხიც.

ბ) მოხეს კონფლიქტი

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში მომხდარ რელიგიურ კონფლიქტებთან მიმართებაში სააგენტოს, როგორც მედიატორისა და ვითარების გამანეიტრალებლის როლი, ფაქტობრივად არ ფიგურირებდა. სააგენტომ ვერ უზრუნველყო, მათ შორის, მოხეს კონფლიქტის დროული და სამართლიანი გადაწყვეტა.[155] 2014 წლის 2 დეკემბერს სწორედ სააგენტოს ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, კლუბის სტატუსით რიცხული შენობის ბედი უნდა გადაეწყვიტა. სააგენტო 2015 წლის ანგარიშში[156] აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ზემოხსენებულმა კომისიამ 2015 წლის განმავლობაში სამი შეხვედრა ჩაატარა, რის შედეგად, სააგენტოს აზრით, მიღწეულია პროცესის დერადიკალიზაცია ადგილობრივ მოსახლეობაში, ხოლო მხარეები საკუთარ თემებთან განიხილავენ საკითხის გადაჭრის გზებს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებათა შეჯერებით. სააგენტოს ანგარიშიდან არ იკვეთება თუ რა კონკრეტულ შედეგებს მიაღწია კომისიამ ერთი წლის განმავლობაში და როგორ გადაწყვიტა სადავო შენობის ბედი. ამის პარალელურად, მოხეს მაცხოვრებელთა განცხადებით[157], შენობა დღემდე სახურავის გარეშეა და ნადგურდება, ხოლო მათ ისევ კერძო სახლში უწევთ ლოცვა. აშკარაა, რომ კომისიის შექმნით მოხდა პრობლემის მხოლოდ და მხოლოდ დროებითი მიჩქმალვა და მის „საქმიანობას“ კონკრეტული ხელშესახები პოზიტიური შედეგები არ მოყოლია. ამის საპირისპიროდ სააგენტოს 2015 წლის ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ისეთ აქტივობებზე, როგორებიცაა ტოლერანტობის სკვერის მოწყობა თბილისში, ინტერრელიგიური კალენდრის შექმნა, მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა.

გ) საერთაშორისო გამოხმაურება სააგენტოს საქმიანობაზე

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს საქმიანობა კრიტიკის საგანი გახდა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდანაც. „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი[158] საკუთარ დასკვნაში აღნიშნავს, რომ „სააგენტოს მიერ განვითარებული საქმიანობის მეთოდები როგორც ჩანს, ახალისებს რელიგურ კონფესიებს შორის იერარქიის გაჩენას, გამომდინარე იქიდან, რომ ხდება მათგან მხოლოდ რამდენიმეს

---

[155] საქმე ეხება მოხეში განთავსებულ შენობას (მეჩეთის შენობის ნარჩენებს), რომელიც სადავო გახდა მას შემდეგ რაც 2014 წლის 22 ოქტომბერს ადიგენის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, პოლიციის მასშტაბური ძალის გამოყენებით დაიწყო მისი გატანა, ვინაიდან იგეგმებოდა ყოფილი მეჩეთის შენობის კულტურის სახლად გადაკეთება ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ. აღნიშნული კი გააპროტესტა სოფლის მუსლიმმა მოსახლეობამ.

[156]< http://religion.geo.gov.ge/geo/document/reports/religiis-sakitxta-saxelmtsifo-saagentos-tsliuri> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[157] <http://sknews.ge/index.php?newsid=6843#.VvgQ0uJ96M > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[158]„ საქართველო ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციას საქართველო 2005 წლის 13 ოქტომბერს მიუერთდა.

მხარდაჭერა და დაფინანსება, ხოლო დომინანტური რელიგიური ინსტიტუციის- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება. [159] კომიტეტი აკრიტიკებს ასევე სააგენტოს მიერ შემუშავებულ სტრატეგიის პროექტს და ღრმადაა შეშფოთებული იმ წუხილების გამო, რომლებიც არსებობს სამოქალაქო სექტორში და სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებებს შორის სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებით. [160] რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია საკუთარ მოხსენებაში საქართველოს შესახებ მიუთითებს, რომ „ახლად შექმნილ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს არ აქვს ცხადი მანდატი რელიგიურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად და მათი რელიგიური პოლიტიკის შემუშავების სტრატეგია, საუკეთესო შემთხვევაში, ძალიან ორაზროვანი და ბუნდოვანია.“[161] კომისიამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას დაავალოს სააგენტოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსთან თანამშრომლობა და მისი გამოცდილების გამოყენება.[162]

ამგვარად, სააგენტოს საქმიანობაში მისი დაარსებიდან დღემდე არ იკვეთება რაიმე პოზიტიური ცვლილება რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით, მეტიც, სააგენტოს საქმიანობა საკმაოდ მკაცრ კრიტიკას იწვევს სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რაც მეტყველებს იმაზე, რომ არ დგას ასეთი სააგენტოს არსებობის საჭიროება და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან საბრძოლველად სხვა მექანიზმების შემუშავებაა საჭირო.

დ) რელიგიის სახელმწიფო სააგენტო და რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების მავნე პრაქტიკა

2014 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული #117 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტში ოთხი რელიგიური გაერთიანებისათვის (საქართველოს ისლამური თემი, საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემი, საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა ქრისტიანული თემი, საქართველოს იუდეური თემი) საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით 3 500 000 ლარი გამოიყო. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2015 წლის ბიუჯეტიდან ოთხი რელიგიური ორგანიზაციისათვის ამ ეტაპისათვის მიწოდებული თანხა შემდეგნაირად გამოიყურება: საქართველოს ისლამური თემი - 1 100 000; საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემი - 400 000; საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა ქრისტიანული თემი - 150 000; საქართველოს იუდეური თემი - 200 000.

---

[159]ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი, მეორე მოსაზრება საქართველოს შესახებ, მიღებულია 2015 წლის 17 ივნისს, პ. 11

[160] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი, მეორე მოსაზრება საქართველოს შესახებ, მიღებულია 2015 წლის 17 ივნისს, პ.64

[161] „ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ“ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, გვ 10, 38

[162] „ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ“ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, გვ 11, 38

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ დაინტერესდა, თუ რა პირობებით ხდება აღნიშნული ორგანიზაციებისათვის თანხის გადაცემა. რელიგიურ გაერთიანებებთან დადებული სტანდარტული ხელშეკრულებების თანახმად, ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, მათთვის განსაზღვრული თანხა მიმართონ მხოლოდ საკუთარი წესდებით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად და ამავე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად. ხელშეკრულებაში მითითებულია განსაზღვრული ჩამონათვალი იმ საქმიანობებისა, რასაც თანხა უნდა მოხმარდეს. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ ხარჯთაღრიცხვის პროგრამა თანხის მიღებამდე, ხოლო ყოველი ჩარიცხვიდან არაუგვიანეს სამი თვისა წარმოადგინონ თანხის ხარჯვის შუალედური ანგარიში, 2015 წლის 28 დეკემბრამდე კი - საბოლოო ანგარიში. ამასთან ერთად სააგენტოს აქვს უფლებამოსილება, მოითხოვოს ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის აუდიტორული შემოწმება.

ამგვარად, რელიგიური ორგანიზაციები ანგარიშვალდებულნი არიან სააგენტოს წინაშე. გარდა იმისა, რომ ზიანის ანაზღაურების ამგვარი, შერჩევითი სისტემა დისკრიმინაციულია იმ რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებაში, რომლებზეც, მიუხედავად საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანისა, არ გავრცელებულა მთავრობის მიერ მიღებული ზიანის ანაზღაურების წესი, ხელშეკრულებაში ჩადებული თანხის ხარჯვის კონტროლის ასეთი მაღალი სტანდარტები და ანგარიშვალდებულების ასეთი სისტემა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან (რა დროსაც, როგორც წესი, არ ხდება გადაცემული თანხის ამგვარი კონტროლი), არამედ გაურკვეველი და გაუმჭვირვალე პროცესის შედეგად შერჩეული რელიგიური გაერთიანებების პირდაპირი დაფინანსების სისტემასთან, რაც დისკრიმინაციულია ყველა სხვა რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებაში. ამ საკითხზე „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ 2014 წლის ანგარიშშიც გაამახვილა ყურადღება.

ამასთან, ზიანის ანაზღაურების ამგვარი სისტემა, ერთი მხრივ, წარმოადგენს რელიგიური გაერთიანებების კონტროლის და მათზე გავლენის ზრდის მცდელობას სახელმწიფოს მხრიდან, მეორე მხრივ კი, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს საქართველოს საპატრიარქოსთვის წლების განმავლობაში არაგაზომვადი და დაუსაბუთებელი ოდენობის საბიუჯეტო სახსრების პირდაპირი წესით გადაცემის პროცესის ლეგიტიმაციას[163]. ზიანის ანაზღაურების ამგვარ წესთან დაკავშირებით საკუთარ უკმაყოფილებას გამოხატავენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც.[164]

---

163 <http://gdi.ge/ge/news/saqartvelos-saxelmwifos-religiuri-politikis-ganvitarebis-strategiis-shefaseba.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

164 ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტი, მეორე მოსაზრება საქართველოს შესახებ, მიღებულია 2015 წლის 17 ივნისს, პ. 63; „ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ“ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, გვ.37

მედიის თავისუფლება

2015 წლის მეორე ნახევარში განვითარებული მოვლენები მსჯელობის საგნად იქცა და მწვავე კრიტიკა დაიმსახურა, როგორ ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. საქმე ეხება მედიის შევიწროვებას და დევნას, სადაც აშკარა პოლიტიკური მოტივები და დაინტერესება გამოიკვეთა. აღნიშნულმა პროცესებმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მოახლოვებული, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ფონზე.

საანგარიშო პერიოდში, სხვა მედია საშუალებებზე განხორციელებული ზეწოლის პარალელურად, განსაკუთრებით აქტიური და დაძაბული მოვლენები განვითარდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ირგვლივ. ერთი შეხედვით „რუსთავი 2“-ის ყოფილ და მოქმედ მფლობელებს შორის დავა, როგორც ამას ხელისუფლების წარმომადგენლები აფასებდნენ, აშკარად ატარებდა პოლიტიკურად მოტივირებული და მართული პროცესების ხასიათს. რაც მიზნად ისახავდა ტელეკომპანიის ხელში ჩაგდებას და მისი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას.

განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყო ჩართული როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო ხელისუფლება. კერძოდ, შემაშფოთებელი იყო მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლების გულგრილი დამოკიდებულება და შეფასებები მედია თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პროცესებზე. განსაკუთრებით უარყოფითი ტენდენციის ნიშნებს შეიცავდა სასამართლო ხელისუფლების თანხვედრი, დიდი ალბათობით აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმებული მოქმედებები, რაც გამოიხატა „რუსთავი 2“-ის და მისი მფლობელების ქონების დაყადაღებაში, ტელეკომპანიის ხელმძღვანელობის შეცვლის მცდელობაში. აღსანიშნავია სასამართლო პროცესების ფორსირებულ, მაქსიმალურად მოკლე დროში წარმართვა, მაშინ, როცა მიმდინარე, ნაკლები სირთულის, სამოქალაქო საქმეების განხილვისთვის მოსამართლეებს გაცილებით დიდ დრო სჭირდებათ.

არასამთავრობო სექტორმა პროცესები თავიდანვე ხელისუფლების ინტერესებს დაუკავშირა და თავისუფალ მედია სივრცეში უხეშ ჩარევად შეაფასა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტელეკომპანიის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესების მიზეზი შეიძლება პოლიტიკური დაინტერესება ყოფილიყო, რასაც მათი თქმით ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებიც ადასტურებდა.[165] „რუსთავი 2“-ის ქონების დაყადაღებას დაეთმო არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი განცხადება[166],

[165] <http://gdi.ge/ge/news/telekompania-rustavi-2-is-garshemo-ukanasknel-periodshi-ganvitarebuli-movlenebis-shefaseba.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[166] <http://www.tabula.ge/ge/story/98768-ngo-ebi-rustavi-2-ze-qonebis-xalvashistvis-gadacema-samartlebrivad-sheudzlebelia > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

რომელშიც აქცენტი გაკეთებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ ხარვეზებზე. საქართველოს სახალხო დამცველმა[167] და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ[168] აღნიშნული გადაწყვეტილებები შეაფასეს, როგორც დაუსაბუთებელი. ეს უკანასკნელი, ისევე, როგორც „სამართლიანი არჩევნები"[169] და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"[170], ხაზს უსვამდნენ იმ ფაქტს, რომ „რუსთავი 2" არის რეიტინგული, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანია, რის გამოც ზემოხსენებული დავა არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ კონტექსტსაც იძენდა.

„რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ წამოწყებულ პროცესებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლას ბერლინერმა და წუხილი გამოთქვა მოვლენების ისეთ განვითარებაზე, რომელიც მედიის თავისუფლების საფრთხის ქვეშ დაყენების ან მედიაპლურალიზმის დარღვევის შთაბეჭდილებას ტოვებს. მის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის მთავრობა აკვირდებოდა „რუსთავი 2"-ის გარშემო არსებულ მოვლენებს.[171] მედიაპლურალიზმისა და მედიის თავისუფლებისათვის საფრთხის შექმნის შესაძლებლობებზე გაამახვილა ყურადღება ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წარმომადგენელმაც მედიის თავისუფლების დარგში.[172]

განსაკუთრებით მწვავე იყო საერთაშორისო საზოგადოების შეფასებები საქართველოში მედია თავისუფლების კუთხით განვითარებულ მოვლენებზე:

ორგანიზაცია Freedom House-ის ყოფილი პრეზიდენტისა და ამჟამად ადამიანის უფლებების მიმართულებით მაკკეინის ინსტიტუტის დირექტორის დევიდ კრამერის შეფასებით - იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ „რუსთავი 2"-ის საქმე პოლიტიკური თამაშების საგანია. ამგვარი მდგომარეობა კი უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის ევროინტეგრაციის პერსპექტივებზე, რაც, პირველ რიგში, „პუტინის ინტერესებში შედიოდა.[173]

---

[167] <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-telekompania-rustavi-2-is-qonebis-dayadagebastan-dakavshirebit.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[168] <https://gyla.ge/ge/post/saias-ganckhadeba-samautsyeblo-kompania-rustavi-2-is-metsileebis-tsilebsa-da-kompaniis-qonebaze-yadaghis-dadebis-taobaze-01 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[169] <http://www.tabula.ge/ge/verbatim/98749-lomjaria-rustavi-2-is-saqmeze-am-process-aucileblad-eqneba-politikuri-efeqti > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[170] <http://www.tabula.ge/ge/verbatim/98756-gigauri-rustavi-2-ze-es-martlac-politikuri-procesia > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[171] <http://rustavi2.com/ka/news/24130 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[172] <http://www.amerikiskhma.com/a/osce-reacts-to-georgian-tv-case/2913840.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[173] <http://www.tabula.ge/ge/story/101016-krameri-rac-saqartveloshi-xdeba-mxolod-putins-adzlevs-xels > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

„რუსთავი 2“-ის საქმის კონტექსტში მედიაპლურალიზმის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა კრისტიან ურსემ.[174] ევროპული პარლამენტის წევრებმა 2015 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში შეშფოთება გამოხატეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მათი შეფასებით, ქვეყნის მთავარი და ყველაზე პოპულარული დამოუკიდებელი ტელეარხის ხელში ჩაგდება და მისი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა საფრთხეს შეუქმნიდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებას.[175]

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციით, პრეს-სპიკერის განცხადებით, სახელმწიფოს ყველაზე დიდი ტელეარხის დახურვა ან პოტენციური დახურვა მედიასივრცეს მნიშვნელოვნად შეავიწროებდა, რაც აშკარად შემაშფოთებელი იყო, განსაკუთრებით საპარლამენტო არჩევნების წინ.[176]

მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელმა დუნია მიატოვიჩმა კი იმ ნეგატიურ გავლენაზე გაამახვილა ყურადღება, რომელსაც მიმდინარე პროცესებზე ახდენს მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების განცხადებები და „რუსთავი 2“-სადმი დაწესებული ფინანსური და ლოჯისტიკური შეზღუდვები. მან ხაზი გაუსვა მრავალფეროვანი ინფორმაციის მნიშვნელობას დემოკრატიისათვის, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში.[177]

2015 წლის 26 ოქტომბერს გამოქვეყნდა ევროკავშირის დელეგაციის განცხადება – „მედია და პოლიტიკური პლურალიზმი საქართველოს დემოკრატიისა და ქვეყნის ევროპული არჩევანის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია“, რომელიც შეთანხმებული იყო საქართველოში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მისიის ხელმძღვანელებთან. განცხადებაში, ნათქვამი იყო, რომ ცალკეული საკითხები „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით მათი შეშფოთების საგანია და ისინი ელიან, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და მედიის თავისუფლება გამოყენებული იქნება პრაქტიკაში საქართველოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში.[178]

შემაშფოთებელი იყო პოლიტიკური გადაცემების დახურვის ტენდენცია ტელეკომპანია „იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელზე. ასევე, უარყოფითად უნდა შეფასდეს ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები.

---

[174] <http://frontnews.ge/ge/news/87996> > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[175] <http://michalboni.pl/meps-open-letter-on-rustavi-2-and-georgia/ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[176] < http://www.tabula.ge/ge/story/100862-sax-dep-r2-is-daxurva-an-potenciuri-daxurva-mediasivrces-sheavitsrovebs > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[177] <http://www.tabula.ge/ge/story/100845-miatovichi-sasamartlos-mier-r-2-istvis-datsesebuli-shezghudvebi-unda-gauqmdes > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[178] <http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2015/20151026_1_en.htm > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ბრძოლა „რუსთავი 2“ -ის წინააღმდეგ

2015 წლის 4 აგვისტოს ბიზნესმენმა ქიბარ ხალვაშმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილის დაბრუნების მოთხოვნით[179] და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა ტელეკომპანიის ქონების დაყადაღება, რაც დააკმაყოფილა[180] სასამართლომ და მოსამართლე თამაზ ურთმელიძის 5 აგვისტოს განჩინებით „რუსთავი 2“-ის მთელ ქონებას ყადაღა დაედო.[181] მათ შორის, დაყადაღდა შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის მფლობელთა წილები. არხის მეწილეებს აეკრძალათ ტელეკომპანიის სახელით ვალდებულებების აღება, რეორგანიზაცია, წესდებაში ცვლილებების შეტანა, საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა.

2015 წლის 12 ოქტომბერს გადაცემა „კურიერში“ გავიდა რეპორტაჟი[182] „რუსთავი 2“-ის საქმის განმხილველი მოსამართლის, თამაზ ურთმელიძის, დედის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შესახებ, რომელიც ეხება 2 წლის წინ მომხდარ ფაქტს და რომლის შესწავლაც „რუსთავი2“-ის საქმის განხილვის პარალელურად განაახლა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. გამოითქვა ეჭვი, რომ სწორედ ამ საქმის შესწავლისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მუქარით მოსამართლე თ.ურთმელიძეზე ხდება ზეწოლა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან. გაჩენილი ეჭვის გამო და თ.ურთმელიძის მეუღლის მიერ „რუსთავი 2“-ის მიმართ აშკარა უარყოფითი დამოკიდებულების საჯაროდ გაჟღერების შემდეგ, ტელეკომპანიის ადვოკატებმა დააყენეს მოსამართლის აცილების შუამდგომლობა. თუმცა იმ მოტივით, რომ: 1) საქართველოს კანონმდებლობით დედა ოჯახის წევრად არ ითვლება; და 2) მეუღლის განცხადებები მასთან არ იყო შეთანხმებული, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მისი აცილების შუამდგომლობა და განაგრძო საქმის განხილვა.[183]

2015 წლის 3 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თ. ურთმელიძემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელე ქ. ხალვაშისა და შპს „პანორამას“ სარჩელი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და მისი პარტნიორების წინააღმდეგ, რის შედეგადაც ბათილად იქნა ცნობილი „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით სხვადასხვა დროს გაფორმებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება ითვალისწინებს შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის პარტნიორების რეგისტრაციის საჯარო რეესტრში გაუქმებას და მოსარჩელე ქ. ხალვაშს, ფაქტობრივად, „რუსთავის 2”-ის წილების 100%-ს აკუთვნებს. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 2 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე ერთი დღით ადრე,

---

[179]< http://www.tabula.ge/ge/story/98670-qibar-xalvashma-rustavi-2-is-tsilis-dasabruneblad-sasamartlos-mimarta > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[180] <http://rustavi2.com/ka/news/23372 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[181] <http://www.tabula.ge/ge/story/98714-rustavi-2-is-qoneba-srulad-daakadaghes > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[182] <http://rustavi2.com/ka/news/28753 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[183] <http://www.tabula.ge/ge/verbatim/100679-urtmelidze-dedachemi-ar-itvleba-chemi-ojaxis-tsevrad > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ზოგადი მექანიზმის მოქმედება. ამის მიზეზი გახდა ზემოხსენებულ დავაში მოპასუხეთა სარჩელი, რომლითაც ისინი გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ დავის მოსარჩელე მხარე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევას მოითხოვდა. მიუხედავად აღნიშნულისა, 4 ნოემბერს, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის მეორე დღეს, ქიბარ ხალვაშის ადვოკატებმა სასამართლოსგან დამატებითი უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება მოითხოვეს, რაც დროებითი მმართველის დანიშვნას გულისხმობდა. 5 ნოემბერს მოსამართლე თ. ურთმელიძემ გამოიტანა განჩინება, რომლითაც დააკმაყოფილა მოსარჩელე ქ.ხალვაშისა და შპს „პანორამას“ შუამდგომლობა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ და „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს შეუჩერა უფლებამოსილება და ტელეკომპანიის დროებით მმართველად დანიშნა ამავე კომპანიის ყოფილი მეწილე დავით დვალი, რომელიც ასევე დაინტერესებულია საქმის შედეგით, და ერთ-ერთი კონკურენტი ტელეარხის მენეჯმენტის მაღალი რგოლის ყოფილი წარმომადგენელი რევაზ საყევარიშვილი.

ურთმელიძის ეს გადაწყვეტილება უარყოფითად შეაფასეს საზოგადოების წარმომადგენლებმა. აქცენტი გაკეთდა განჩინების უკანონობასა და დაუსაბუთებლობაზე. არასამთავრობო სექტორი მითითებას აკეთებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე, რომლის თანახმადაც თუ მოსამართლე მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, ამის შესახებ უნდა მიუთითოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მათი შეფასებით შემაჯამებელი გადაწყვეტილების შემდეგ მსგავსი განჩინების იმავე სასამართლო ინსტანციის მხრიდან მიღება უკანონოა.[184]

გარდა ამისა, მოსამართლის მიერ არ არის მოყვანილი ის ფაქტები, გარემოებები, რომლებიც იძლევა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების საფუძველს. აღსანიშნავია, რომ იმავე მოსამართლემ უკვე იმსჯელა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ და სხვა უზრუნველყოფის ღონისძიებებთან ერთად ყადაღა დაადო „რუსთავი 2”-ის წილებს. ამ გადაწყვეტილებით შეიზღუდა „რუსთავი 2”-ის არსებული მენეჯმენტის ძირითადი უფლებამოსილებები იმდაგვარად, რომ გამოირიცხა მათი მხრიდან კომპანიის ფინანსებისა და ქონების შემცირების საფრთხე. ასევე, მოსამართლემ ყადაღა დაადო „რუსთავი 2”-ის წილის მფლობელ შპს “ტელეკომპანია საქართველოს”. ცალსახაა, რომ მოცემულ ვითარებაში სასამართლოს 5 ნოემბრის განჩინებით ვერ საბუთდება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და კომპანიის იძულებით მართვაში გადაცემის საჭიროება.

[184] <http://www.transparency.ge/node/5642> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

საქართველოში ევროკავშირის ელჩის საქართველოში იანოშ ჰერმანის შეფასებით, აღნიშნული განჩინება საქართველოსთვის სერიოზული უკუსვლა იყო.[185] აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი კი აღნიშნავდა, რომ „ნამდვილად უცნაური იქნება წამყვანი ოპოზიციური არხის მიერ მისი სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა“.[186]

„რუსთავი 2“-ის საქმეს გამოეხმაურა ევროკავშირიც და მოუწოდა საქართველოს პოლიტიკურ აქტორებს, უზრუნველეყოთ თავისუფალი და პლურალისტური მედია გარემო და პოლიტიკური პლურალიზმი, როგორც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების წინაპირობა, და თავი შეეკავებინათ ნებისმიერი ნაბიჯისგან ან განცხადებისგან, რაც საზოგადოებაში დაძაბულობასა და პოლარიზაციას გაზრდიდა.[187] 2015 წლის 27 ნოემბერს, თბილისში, ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა, საქართველოს პრემიერ მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, მედიის თავისუფლებასა და პოლიტიკური დევნის დაუშვებლობაზე ისაუბრა.[188]

საერთაშორისო ორგანიზაციის Freedom House-ის საერთაშორისო პროგრამების ვიცე-პრეზიდენტის რობერტ ჰერმანის განცხადებით კი, „ახალი მენეჯმენტის დანიშვნა „რუსთავი 2“-ში უგულებელყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ძირს უთხრის დემოკრატიას საქართველოში“.[189]

მიღებულ განჩინებას გამოეხმაურა იუსტიციის უმაღლესი საბჭოც, თუმცა, განსხვავებით სხვა შეფასებებისგან, მისი კრიტიკის საგანი გახდა არა განჩინება, არამედ მოსამართლის წინააღმდეგ „განხორციელებული მორალური წნეხი“.[190] 2015 წლის 10 ნოემბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ტელეარხის სამაუწყებლო ბადე არ შეცვლილა, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევას ადგილი არ ჰქონია და მისი სარედაქციო დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია. თუმცა, ამავე კომისიის შეფასებით, კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ირგვლივ შექმნილი ვითარება (ყოფილ მენეჯმენტს შეჩერებული აქვს უფლებამოსილება, ხოლო განჩინებით დანიშნული მმართველი პირები არ ახორციელებენ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას) „ქმნის მაუწყებლის მესამე პირებთან ურთიერთობის შეფერხების ან უფრო მეტი შეჩერების რეალურ საფრთხეს, რამაც,

---

185 <http://www.tabula.ge/ge/verbatim/101645-hermani-urtmelidzis-ganchinebaze-saqartvelostvis-es-seriozuli-ukusvlaa > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
186 <http://rustavi2.com/ka/news/31835> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
187 http://premiumi.ge/?p=7697/ [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
188 <http://rustavi2.com/ka/news/32818> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
189 <https://freedomhouse.org/article/georgia-court-wrongly-fires-rustavi-2-executives> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
190 <http://www.tabula.ge/ge/story/101598-iusticiis-umaghlesi-sabcho-urtmelidzeze-moraluri-tsnexi-xorcieldeba> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს მაუწყებლის ფუნქციონირების შეწყვეტა, მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა“.[191]

2015 წლის 12 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გააუქმა 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინების ნაწილი დ.დვალის დროებით მმართველად დანიშვნის თაობაზე, ხოლო რ.საყევარიშვილის დანიშვნის ნაწილში განჩინება ძალაში დატოვა. ამასთან, აღნიშნული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე უფლებამოსილება აღუდგინა კომპანიის წარმომადგენლობასა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს – ყოფილ მენეჯმენტს.[192] 2015 წლის 30 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გააუქმა მოსამართლე თ.ურთმელიძის განჩინება „რუსთავი 2“-ში დროებითი მმართველების დანიშვნის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ კი თ.ურთმელიძის 2015 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება „რუსთავი 2“-ის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ნაწილობრივ შეცვალა და კომპანიას აპარატურის გაქირავების უფლება მისცა.[193]

1.1. ხელისუფლების წარმომადგენლების მიკერძოებული განცხადებები

სამოქალაქო სექტორში გავრცელებული შეხედულებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმის მიღმა არსებული პოლიტიკური ინტერესის ეჭვს აჩენდა საქართველოს მთავრობის წევრთა განცხადებები, მაგალითად:

საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერისა და ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის კომენტარი, როდესაც მან იმედი გამოთქვა, რომ ტელეკომპანია „კანონიერ მფლობელს დაუბრუნდებოდა“[194]; ამ მხრივ საინტერესო იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის სოზარ სუბარის კომენტარიც წარსულში ამ ტელეკომპანიის წილის ზეწოლით დათმობის თაობაზე და სხვ.[195] აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანიისადმი უკმაყოფილება არაერთხელ გამოუთქვამს საქართველოს ყოფილ პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს[196];

„რუსთავი 2“-ის საქმეში ხელისუფლების დაინტერესებისა და ჩართულობის კონტექსტში საყურადღებოა საქართველოს პარლამენტის წევრის გოგი თოფაძის განცხადებები. მან 2015 წლის 27 ოქტომბერს, არხის საქმესთან დაკავშირებით ჩანიშნულ სასამართლო სხდომამდე

---

[191] <http://www.interpressnews.ge/ge/politika/353516-komunikaciebis-komisia-qrusthavi-2q-is-samautsyeblo-bade-ar-shecvlila.html?ar=A > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[192] <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=759> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[193] <http://rustavi2.com/ka/news/33006> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[194] <http://www.tabula.ge/ge/story/98722-rustavi-2-tan-dakavshirebit-agulashvilisa-da-kaladzis-gancxadebebi-gansxvavebulia> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[195] <http://rustavi2.com/ka/news/23349> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[196] <http://www.tabula.ge/ge/verbatim/97404-ivanishvili-tabula-intrigul-kitxvebs-svams-magram-rustavi-2-ze-koreqtulia> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ერთი დღით ადრე, განაცხადა, რომ მეორე დღეს „რუსთავი 2“ უკვე აღარ იარსებებდა.[197] მისივე შეფასებით, „რუსთავი 2“ არ იყო ობიექტური არხი, რაც დღევანდელ ხელისუფლებას „ამოუვიდა ყელში“, „მონახეს, გამოჩნდა რეალური მეპატრონე და, ბუნებრივია, ითხოვენ სამართლიან სასამართლოს“.[198]

1.2. ზეწოლა „რუსთავი 2“ -ის თანამშრომლებზე

2015 წლის 21 ოქტომბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ საგანგებო განცხადებით მიმართა საზოგადოებას.[199] მან ხელისუფლების მხრიდან მუქარასა და ზეწოლაზე ისაუბრა. კერძოდ, ნ. გვარამიას თქმით, თუ ის არ ჩამოშორდებოდა „რუსთავი 2“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, „მას არ უნდა დავიწყებოდა თავისი ოჯახის წევრების არსებობის შესახებ, ასევე მას უნდა სცოდნოდა, რომ ხელისუფლებას აქვს მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და მიხეილ სააკაშვილთან მისი სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერები“. აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურამ მყისიერად დაიწყო გამოძიება.[200] დაკითხვაზე ნ.გვარამიამ ხელისუფლების გზავნილების გამხმოვანებლად საქართველოში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანი დაასახელა.[201] ერთი კვირის შემდეგ, 2015 წლის 29 ოქტომბერს, ერთ-ერთ უკრაინულ საიტზე გავრცელდა ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილს,[202] ასევე გიგა ბოკერიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის სატელეფონო საუბრების ჩანაწერები,[203] რომელთა საფუძველზეც საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიწყო გამოძიება ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულების მუხლით. დღემდე უცნობია, შეისწავლის თუ არა პროკურატურა აღნიშნული ჩანაწერების განხორციელების მეთოდებისა და ამ უკანასკნელთა კანონიერების საკითხს.

გავრცელებული ინფორმაციით გამოვლინდა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თანამშრომლის გადაბირების ფაქტიც. კერძოდ 2015 წლის 8 დეკემბერს, „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები „რუსთავი 2“-ის თანამშრომლის გადაბირებას და თანხის სანაცვლოდ მისგან გარკვეული ინფორმაციის მიღებას ცდილობდნენ. ინფორმაციის თანახმად კომპანიის ფინანსური დირექტორის მძღოლი კახა კუბლაშვილი ოპერატიულმა ავტომანქანამ გააჩერა. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული სამართალდამცველები მას სუს-ის თანამშრომლებად წარუდგნენ. სუს-ის წარმომადგენლები კახა კუბლაშვილისგან თანამშრომლობას ითხოვდნენ. ისინი კუბლაშვილის ხელფასითაც

---

[197] <http://rustavi2.com/ka/news/30125 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[198] <http://www.tabula.ge/ge/verbatim/101018-tofadze-rustavi-2-ze-xelisuflebas-kelshi-amouvida-da-monaxes-realuri-mepatrone > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[199] <http://rustavi2.com/ka/news/29585> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[200] <http://pog.gov.ge/geo/news?info_id=781> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[201] <http://rustavi2.com/ka/news/29740> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[202] <http://www.interpressnews.ge/ge/politika/351953-audiochanatseris-thanakhmad-saakashvili-gvaramias-revoluciur-scenars-sthavazobs.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[203] <http://www.interpressnews.ge/ge/politika/351954-saakashvili-bokerias-unda-iyos-ckhvir-piris-danayvebi-da-thu-gaisvrian-da-gaisrolon-ra-vqnath.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დაინტერესდნენ და თანხმობის შემთხვევაში, პირობების გაუმჯობესებასაც დაჰპირდნენ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე კახა კუბლაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაბარებული იქნა გასაუბრებაზე.[204]

1.3. NDI-ის კვლევა

21 დეკემბერს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საქართველოში საზოგადოებრივი განწყობის შესახებ სოციოლოგიური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. კვლევის საველე სამუშაოები მოიცავდა 2015 წლის 17 ნოემბრიდან 7 დეკემბრის პერიოდს და მის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 1881 ადამიანი. გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა 53% მიიჩნევს, რომ „რუსთავი 2"-ის მფლობელობასთან დაკავშირებული დავა უმთავრესად პოლიტიკურად მოტივირებულია და ემსახურება მედიის თავისუფლების შეზღუდვას. გამოკითხულთა 14% ამ მოსაზრებას არც ეთანხმება და არც უარყოფს. კვლევაში მონაწილეთა 21% არ ეთანხმება, 11%-მა არ იცის, ხოლო 1% უარს აცხადებს პასუხის გაცემაზე. გარდა ამისა, ქართული ოცნების შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ რესპონდენტთა 30% ფიქრობს, რომ რუსთავი 2-ის საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია. ენმ-ის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომთა – 82%, ხოლო ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატების პარტიის მომხრეთა – 77%.

2. რადიო „აფხაზეთის ხმა"

2015 წლის 19 აგვისტოს რადიო „აფხაზეთის ხმას", ფინანსური დავალიანების გამო, რადიომაუწყებლობა შეუჩერდა.[205] ანძებით სარგებლობისათვის ტელერადიოცენტრის მიმართ მისი დავალიანება 12 000 ლარს შეადგენდა. რადიოსადგურის ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ ითხოვეს გადახდის ვადის გახანგრძლივება სეზონთან დაკავშირებული ფინანსური კრიზისის გამო, თუმცა სრულიად მოულოდნელად მოხდა ანძიდან რადიო „აფხაზეთის ხმის" მაუწყებლობის შეწყვეტა.[206] რადიოს დირექტორი ამ გადაწყვეტილებას აფასებს, როგორც ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ მიზანმიმართულ ზეწოლას, რასაც უკავშირებს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-სადმი გამოხატულ მხარდაჭერას.[207] რადიოს ხელმძღვანელობა მაუწყებლობის დაუყოვნებლივ აღდგენას მოითხოვდა. შემთხვევიდან მეორე დღეს რადიო „აფხაზეთის ხმას" მაუწყებლობა აღუდგა, დავალიანების დასაფარად კი ერთი თვე განესაზღვრა.[208]

3. ტელეკომპანია იმედში პოლიტიკური გადაცემების დახურვა

2015 წლის 30 აგვისტოს ცნობილი გახდა ტელეკომპანია „იმედის" მიერ ორი პოლიტიკური თოქ-შოუს: „იმედის კვირისა" და „რეაქციის" დახურვის შესახებ. ოფიციალურ მიზეზად

---

[204] <http://pirveliradio.ge/index.php?newsid=58818> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[205] <http://rustavi2.com/ka/news/24278> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[206] <http://www.fmabkhazia.com/news/14428-xelisuphlebam-radio-aphxazethis-xmis-maucqebloba-sheachera-sagangebo-gancxadeba.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[207] <http://rustavi2.com/ka/news/24321> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[208] <http://rustavi2.com/ka/news/24342 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოკ-შოუების სეგმენტის შეჩერება დასახელდა.[209] ტელეკომპანიის ამგვარ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ, რომლის შეფასებითაც: „ორი რეიტინგული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოკ-შოუს დახურვა უარყოფითად აისახება როგორც მედიის მრავალფეროვნებაზე, ისე ქვეყანაში პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობაზე.“ საბჭომ არასათანადოდ მიიჩნია ხსენებული თოქ-შოუების წამყვანის ინგა გრიგოლიას გათავისუფლებისა და ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების ფორმაც.[210]

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიის განვითარების ფონდმა“. ორგანიზაციის შეფასებით, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, თუ რამდენად თავისუფალია ქართულ ტელესივრცეში უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე მოვლენები პოლიტიკური გავლენისაგან. მედიის განვითარების ფონდმა გაიზიარა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მოთხოვნა გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობასთან დაკავშირებით.[211] იმავე მოტივებზე მიუთითებს ინგა გრიგოლიაც, რომლის განცხადებითაც, ორი რეიტინგული გადაცემის დახურვის შესახებ კერძო ტელეკომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკური შეიძლება იყოს.[212] ამგვარი ეჭვი გამოთქვეს დახურული გადაცემების პროდიუსერებმაც.[213]

სავარაუდო პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით ეჭვის საფუძველს ქმნის საქართველოს პარლამენტის წევრის გოგი თოფაძის მიერ გაკეთებული კომენტარიც: „არხი გადავიდა მარტო ამ ხელისუფლების კრიტიკაზე, ლანძღვაზე [...] ბუნებრივია, რომ რაღაც ზომები უნდა მიეღოთ. არაერთხელ იყო გაფრთხილება [...] – იყავით ობიექტურები [...] ასეთი არაობიექტურობა არავის არ ეპატიება.“ [214]

ოპოზიციონერი დეპუტატის - შალვა შავგულიძის შეფასებით ტელეკომპანია „იმედის“ გადაწყვეტილება უკავშირდება კოალიცია „ქართული ოცნების“ სურვილს, სრული კონტროლი მოიპოვოს მედია სივრცეზე.[215] იგივე პოზიცია გაიზიარა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა სერგო რატიანმა.[216] ერთობლივი განცხადება გაავრცელა 11-მა ოპოზიციურმა პარტიამ. მათ ზემოხსენებული გადაწყვეტილება შეაფასეს, როგორც ხელისუფლების ზეწოლა დამოუკიდებელ ტელეკომპანიებზე.[217] ქართულ მედიასივრცეში ორი პოლიტიკური თოქ-შოუს დახურვის ფაქტს უარყოფითად აფასებს „სამართლიანი

---

[209] <http://imedi.ge/index.php?pg=nws&id=54604> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[210] <http://qartia.org.ge/?p=4669> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[211]< http://www.mdfgeorgia.ge/geo/view_statements/213> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[212]< http://netgazeti.ge/business/43695/ [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[213] <http://rustavi2.com/ka/news/25009> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[214] <http://www.tabula.ge/ge/verbatim/99201-tofadze-imedi-gadavida-xelisuflebis-kritikaze-araobieqturoba-aravis-epatieba
[215] <http://rustavi2.com/ka/news/24964> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[216] <http://rustavi2.com/ka/news/24966> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[217] <http://rustavi2.com/ka/news/25012> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებაც“ (ISFED), რომელიც უკანასკნელ პერიოდში სადისკუსიო სივრცის შემცირების ტენდენციაზე აკეთებს აქცენტს.[218]

4. „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ ეკა მიშველაძის პოლიტიკური ტოკ-შოუს დახურვა

2015 წლის 04 სექტემბერს, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დირექტორის მრჩევლის, ბასა ჯანიკაშვილის, განცხადებით პირველ არხზე ეკა მიშველაძის საავტორო გადაცემა დაიხურა. ჯანიკაშვილმა გადაცემის დახურვა მიშველაძესა და ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატების“ ერთერთ ლიდერს - ალექსი პეტრიაშვილის ქორწინებას დაუკავშირა. მისი თქმით, მაუწყებლის კოდექსი მიუღებლად მიიჩნევს პოლიტიკოსის მეუღლის მიერ პოლიტიკური გადაცემის წაყვანას, ვინაიდან შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.[219]

გადაცემის დახურვიდან დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ, 2016 წლის თებერვლის დასაწყისში, ეკა მიშველაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ხელმძღვანელმა, გიორგი ბარათშვილმა, სამსახურიდან გაათავისუფლა.[220] ბარათაშვილის წერილში ნათქვამია, რომ მიშველაძის საავტორო გადაცემა „პირველი სტუდია“ დაიხურა, ხოლო მისმა წარდგენილმა ახალმა საავტორო გადაცემის პროექტმა აღმასრულებელი საბჭოს მოწონება ვერ დაიმსახურა. აღნიშნული გახდა მიშველაძის მაუწყებლობიდან გათავისუფლების საფუძველი.[221]

მიშველაძეს აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოდ მიაჩნია და დავის გაგრძელებას სასამართლოს გზით აპირებს.[222]

5. ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები

ბოლო პერიოდში ბუნდოვანი და დიდი ალბათობით პოლიტიკურად მოტივირებული პროცესები წარიმართა ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ. განვითარებული მოვლენები აჩენს განცდას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი აქვს სახელმწიფოს მხრიდან მედიის შევიწროვების, მათზე გავლენის მოპოვების და ამ გზით კრიტიკული აზრის ჩახშობის მცდელობას. ეს ყოველივე კი საფრთხეს უქმნის მედია პლურალიზმს და აფერხებს დემოკრატიული პროცესების განვითარებას ქვეყანაში.

საქართველოში ამერიკის ელჩის, იან კელის, განცხადებით ამერიკის ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში მედია სექტორის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. იან კელი განმარტავს, რომ

---

[218] <http://www.isfed.ge/main/931/geo/> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[219] <http://ick.ge/rubrics/society/23561-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[220] <http://www.heretifm.com/?p=29212, http://rustavi2.com/ka/news/38802> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[221] <http://rustavi2.com/ka/news/38802> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[222] <http://rustavi2.com/ka/news/38808> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

სწორედ ამ კონტექსტში განიხილავენ და აკვირდებიან ისინი ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.[223]

„მაესტროს“ საკითხი 2016 წლის 01 თებერვალს გააქტიურდა. ამ დროს ცნობილი გახდა, რომ ტელეკომპანიის 25%-იანი წილის მფლობელმა გია გაჩეჩილაძემ სხვა მეწილეებისგან (გიორგი ებრალიძე და ლევან ჩიკვაიძე) ჯამში 30%-იანი წილი შეიძინა და 55%-ით ტელეკომპანიის საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა.[224] მეორე დღეს კომპანიის მოქმედმა დირექტორმა წილების გასხვისების საკითხი პოლიტიკურ მოტივებს დაუკავშირა და განაცხადა, რომ ეჭვს იწვევდა გაკოტრებული კომპანიის წილები, რომელსაც 50 მილიონიანი დავალიანება აქვს, რამდენიმე მილიონ დოლარად გაიყიდა. მისი თქმით, წილების რეალური შემძენი ტელეკომპანია „იმედის“ არაოფიციალური მფლობელი, ირაკლი რუხაძეა და ის სხვა მოტივს, გარდა წინაასაარჩევნოდ ტელეკომპანიის დაუფლებისა, ვერ ხედავს მის შემენაში.[225]

წილების საეჭვო გასხვისებაზე და ამ ყველაფრის უკან ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ფარულ პოლიტიკურ ინტერესებზე გაამახვილა ყურადღება „მაესტროს“ 25%-იანი წილის მფლობელის, მაკა ასათიანის, ადვოკატმა გიორგი გვენეტაძემ.[226]

04 თებერვალს გაიმართა პარტნიორთა კრება, სადაც საკონტროლო პაკეტის მფლობელმა, გია გაჩეჩილაძემ, მოქმედი გენერალური დირექტორი თანამდებობიდან გადააყენა და მის ადგილას საკუთარი ძმა, ლევან გაჩეჩილაძე დანიშნა.[227] პარტნიორთა კრების დაწყებამდე გადაბაძემ საზოგადოებას პრემიერ მინისტრისა და გია გაჩეჩილაძის შეხვედრის შესახებ აცნობა,[228] რაც გაჩეჩილაძემ დაადასტურა, თუმცა მას მხოლოდ მეგობართან მორიგი შეხვედრის დატვირთვა მისცა.[229] გაჩეჩილაძემ გამორიცხა ყოველგვარი ეჭვი პრემიერთან „მაესტროს“ საკითხზე მისი შესაძლო კომუნიკაციის თაობაზე.

პროცესები პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. არასამთავრობო სექტორი პროცესებს „რუსთავი2“ შემთხვევასთან აიგივებს და მათი განცხადებით, ტელეკომპანია “მაესტროს” ირგვლივ განვითარებული პროცესები კიდევ უფრო ამძაფრებს სამოქალაქო სექტორის ეჭვებს წინასაარჩევნო პერიოდში მედიაზე პოლიტიკური კონტროლის დამყარების მცდელობის შესახებ.[230]

---

[223]< http://www.info9.ge/sazogadoeba/masmedia/138599-qmaestrosq-sakontrolo-paketis-mflobeli-giorgi-gachechiladze-gakhda.html?lang=ka-GE> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[224] <http://www.info9.ge/sazogadoeba/masmedia/138599-qmaestrosq-sakontrolo-paketis-mflobeli-giorgi-gachechiladze-gakhda.html?lang=ka-GE> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[225] <http://rustavi2.com/ka/news/38043> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[226] <http://rustavi2.com/ka/news/38095> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[227] <http://rustavi2.com/ka/news/38276> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[228] <http://rustavi2.com/ka/news/38253> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[229] <http://rustavi2.com/ka/news/38259> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[230] <http://rustavi2.com/ka/news/38279> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მოვლენებს გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ მინისტრი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. მათ „მაესტროს“ საკითხი ისევე, როგორც „რუსთავი2“-ის შემთხვევა, მესაკუთრეთა შორის კერძო დავად შეაფასეს და გამორიცხეს პროცესების ხელისუფლების მხრიდან მართვის ყოველგვარი ეჭვი.[231]

ბაია გადაბაძემ მისი გათავისუფლების დირექტორთა სხდომის ოქმი სასამართლოში გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა. ამ საკითხზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე კი საჯარო რეესტრს მიმართა ლევან გაჩეჩილაძისთვის უარი ეთქვა დირექტორად რეგისტრაციის თაობაზე.[232] საჯარო რეესტრმა გაითვალისწინა გადაბაძის მიმართვა და გაჩეჩილაძეს დირექტორად რეგისტრაციაზე ორჯერ უთხრა უარი.[233]
საქალაქო სასამართლომ ბაია გადაბაძის ზემოთ ნახსენები სარჩელი არ დააკმაყოფილა და დოკუმენტი განსახილველად სააპელაციო სასამართლოს გადაუგზავნა. გადაბაძის განცხადებით აღნიშნული სასამართლოზე ხელისუფლების აქტიური ზეწოლის შედეგია. მის ეჭვებს ამყარებს სასამართლოს მიერ სარჩელის მაქსიმალურად მოკლე დროში განხილვის ფაქტიც. „მაესტროს“ გენერალური დირექტორი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო სასამართლოც მის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას გამოიტანს და საჯარო რეესტრი ლევან გაჩეჩილაძეს გენერალურ დირექტორად დაარეგისტრირებს, იგი არ შეუშვებს გაჩეჩილაძეს „მაესტროს“ შენობაში, რადგან ეს შენობა მაკა ასათიანის საკუთრებაა.[234]

19 თებერვალს გაიმართა „მაესტროს“ კრედიტორთა კრება, რომლის გამართვამდეც გადაბაძემ და ასათიანის ადვოკატმა განაცხადეს, რომ აუცილებელი იყო კრედიტორთა კრების ჩატარება, რადგან მის გამართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ტელეკომპანიის ფუნქციონირებისთვის. გადაბაძემ ასევე აღნიშნა, რომ არსებობდა კრედიტორთა კრების ჩაშლის საფრთხე მისი გადადების მიზნით, რათა მოსწრებულიყო ლევან გაჩეჩილაძის დირექტორად რეგისტრაცია.[235] 19 თებერვალს გამართული კრედიტორთა კრება მოსამართლის გადაწყვეტილებით 2016 წლის 15 მარტისთვის გადაიდო. გადაბაძე ამ ფაქტს სამარცხვინოს უწოდებს და არხის ფუნქციონირების შეწყვეტის რეალურ საფრთხეებზე საუბრობს.[236]

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ტელეკომპანია „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში საქართველოს ყოფილი პრემიერის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის, სახელმაც გაიჟღერა. [237] მაესტროს მოქმედი გენერალური დირექტორი ადასტურებს, რომ მას

[231] <http://rustavi2.com/ka/news/38407> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[232] < http://rustavi2.com/ka/news/38831> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[233] <http://rustavi2.com/ka/news/39042> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[234] <http://rustavi2.com/ka/news/39542> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[235] <http://rustavi2.com/ka/news/39507>; <http://rustavi2.com/ka/news/39565 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[236] <http://rustavi2.com/ka/news/39638>;<http://rustavi2.com/ka/news/39654 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[237] <http://rustavi2.com/ka/news/39714> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მამაცაშვილთან შეხვედრა და საქმის დეტალებზე საუბარი სურდა, ვინაიდან იცოდა მისი პროცესებთან კავშირის თაობაზე, თუმცა უშედეგოდ.[238]

მედიის თავისუფლების კუთხით ზევით განხილული შემთხვევები საგანგაშო სიგნალის მატარებელია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. მედია პლურალიზმი არის მნიშვნელოვანი გარანტი ქვეყანაში ჯანსაღი პროცესების მიმდინარეობისა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რიგ შემთხვევებში, ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებები და ქმედებები, რაც აღრმავებს ეჭვებს მოქმედი ხელისუფლების აქტიურ ჩართულობაზე მედია სივრცის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესებში. საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წინა საარჩევნო პერიოდში, რა დროსაც მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ინფორმაციის მრავალფეროვნებაზე. შესაბამისად, ხელისუფლებას მოვუწოდებთ თავი შეიკავოს ქვეყნის განვითარებისთვის საზიანო, არადემოკრატიული აქტივობისგან და მაქსიმალურად დაიცვას სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

[238] <http://rustavi2.com/ka/news/39738> > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ოჯახში ძალადობა და ქალთა უფლებები

2015 წლის პირველ ნახევარში კვლავ აქტუალური იყო ოჯახში ძალადობის საკითხი. მისასალმებელია, რომ ხელისუფლების მხრიდან იგრძნობა გარკვეული ძალისხმევა აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად, რაც ძირითად შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით და დაცვის ეფექტური მექანიზმების შემოღების მცდელობით ვლინდება. ამ კუთხით აღსანიშნავია ევროსაბჭოს „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კონვენციის (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) ხელმოწერა და მის ფარგლებში შექმნილი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს მნიშნელოვან ცვლილებებს 20-მდე კანონში. მათ შორის აღსანიშნავია სისხლის სამართლის კოდექსში და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები.

მიუხედავად საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული თუ დაგეგმილი ცვლილებებისა, საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ოჯახური ძალადობის და მის ნიადაგზე ჩადენილი სხვა დანაშაულებების, მათ შორის ფემიციდის[239] არაერთი შემთხვევა, რაც ცხადყოფს საკითხისადმი მიდგომის გადახედვის აუცილებლობას. პრობლემის კომპლექსურობა მოითხოვს, რომ მისი გადაჭრა მოხდეს არა მხოლოდ კანონმდებლობის დახვეწის, არამედ ამ უკანასკნელის პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელების გზითაც. აღნიშნული, თავის მხრივ, მოიცავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებასაც, რამეთუ ძალადობის განმაპირობებელი ფაქტორი, ხშირ შემთხვევაში, სწორედ საზოგადოებაში არსებული არასწორი შეხედულებებია, რაც აქეზებს პოტენციურ მოძალადეებს და იწვევს პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებას.

“საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა” იმედოვნებს, რომ დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები, მათი ეფექტური იმპლემენტაციის ჩათვლით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ოჯახში ძალადობის ფაქტების შემცირებას და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას ქმედითი ნაბიჯები საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ.

კანონმდებლობა

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, ნაწილის განხორციელება კი უახლოეს მომავალში იგეგმება.

---

[239] ქალის განზრახი მკვლელობა <http://apps.who.int/iris/bitstream/10665/77421/1/WHO_RHR_12.38_eng.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი, რომლის შესაბამისადაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 150[1] მუხლი. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუკი ხდება ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება; აღნიშნული ქმედების დამამძიმებელი გარემოება მისი არასრულწლოვანის მიმართ ჩადენაა. ეს ცვლილება 2015 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა.

ასევე, გამკაცრდა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი სანქციები, გაფართოვდა „ოჯახის წევრის“ მნიშვნელობის ფარგლები, შსს-ს მიერ შემუშავდა სპეციალური ინსტრუქციები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად და სხვა.

2014 წლის 19 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროსაბჭოს „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ კონვენციას (ე.წ. სტამბოლის კონვენცია). კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, მის რატიფიკაციამდე აუცილებელია მოხდეს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობისაგან დაცვისთვის. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს საქართველოს კანონმდებლობაში.

სსკ-ს 151[1]-ე მუხლის სახით შემოდის ახალი სისხლის სამართლის დანაშაული- ადევნება, ე.წ. stalking, რომლის შინაარსიც განისაზღვრება შემდეგნაირად: „პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან სხვა ახლო ნათესავის არაკანონიერი თვალთვალი, ასევე არასასურველი კომუნიკაციის დამყარება სატელეფონო, ელექტრონული ან სხვა საშუალებებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც ხორციელდება სისტემატურად და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და მისი ან მისი ოჯახის წევრის ან სხვა ახლო ნათესავის წინააღმდეგ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც აიძულებს პირს მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი, ჩადენილი ასეთი ტანჯვის ან შიშის გამოწვევის მიზნით.“ გარდა აღნიშნულისა, კოდექსის 53-ე მუხლს ემატება 3[2] ნაწილი, რომელიც, კონვენციის შესაბამისი ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის. კანონპროექტის თანახმად, კოდექსს ემატება 133[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იძულებითი სტერილიზაციისათვის და შესაბამის დამამძიმებელ გარემოებებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები შედის კოდექსის XXII თავშიც („სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ“), რომელიც კანონპროექტის ავტორების განმარტებით, გარკვეულწილად ცდება კონვენციის ჰარმონიზების მიზანს და არ გამომდინარეობს პირდაპირ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებიდან, თუმცა ხდება

სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკასთან მათი შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, იცვლება გაუპატიურების დისპოზიცია, მას ემატება გაუპატიურების განმარტება, რაც გულისხმობს „პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევას სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით“ („ჩადენილი ძალადობით, იმწუთიერი ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით“). იცვლება ასევე 138-ე მუხლის შინაარსი, რომელშიც აქამდე ყურადღება გამახვილებული იყო გაუკუღმართებული ფორმით სექსუალურ კონტაქტზე (ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით) და მის ნაცვლად გაკეთდება ზოგადი ჩანაწერი „სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება“. შესაბამისი ცვლილებები შევიდა ამავე თავის სხვა მუხლებშიც. კანონპროექტით კოდექსში იცვლება აგრეთვე 11[1] მუხლის შენიშვნა და უქმდება 126[1] მუხლის შენიშვნა.

ცვლილებები შედის ასევე „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში. ახლებურად ყალიბდება თავად კანონის სათაური: „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. აღნიშნულით ფართოვდება კანონის მოქმედების სფერო - ძალადობის ფაქტზე კანონის გავრცელებისთვის აუცილებელი არ არის ქალთა მიმართ ძალადობა ოჯახში განხორციელდეს. ამის შესაბამისად, ყველა ტექსტში, სადაც მოხსენებულია ტერმინი „ოჯახური ძალადობა“ , აღნიშნული ტერმინი ყალიბდება როგორც „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“. ამის შესაბამისად კანონს ემატება ახალი მიზანიც. გარდა აღნიშნულისა, კანონს ემატება მე-3[1] მუხლი, რომლის თანახმადაც ქალთა მიმართ ძალადობა განიმარტება, როგორც „გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა ის ქმედება, რომელსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.“ იცვლება - ფართოვდება ასევე მსხვერპლის, მოძალადის და ოჯახის წევრის დეფინიციები.

ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება შედის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში, სადაც მე-4 მუხლის პირველ პუნქტს ემატება „გ[1]“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად ადვოკატს უფლება აქვს, პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით, მსხვერპლის (სავარაუდო მსხვერპლის) თანხმობით, უფლებამოსილ ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტის თაობაზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება“. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაეკისრებათ ასევე ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებს (მასწავლებლებს, სკოლის მანდატურებს...) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შესაბამისად.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენს ის, რომ შემაკავებელი ორდერის გამოწერისას მისი ამოქმედებისათვის აღარ იქნება საჭირო სასამართლოს მიერ დამტკიცება, არამედ იგი ძალაში ოფიცრის მიერ მისი გამოცემის მომენტიდანვე შევა. ეს მნიშვნელოვნად გააადვილებს აღნიშნულ პროცედურას და შესაძლებელს გახდის, რომ სავარაუდო მსხვერპლის დაცვისათვის შესაბამისი ღონისძიებები მყისიერად გატარდეს.

ამგვარად, განხორციელებული და დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები უდავოდ მისასალმებელია, ვინაიდან ისინი მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. საკანონმდებლო ინიციატივის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულ იქნა ასევე სამოქალაქო სექტორისა თუ სხვა სამინისტროების შენიშვნების ნაწილი, თუმცა ცვლილებების საჭიროება უფრო მეტ საკითხთან მიმართებაში დგას, ვიდრე ეს რეალურად ხდება.

„ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის f) ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, „გადადგან ყველა შესაძლო ნაბიჯი საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით, რათა აღმოფხვრან არსებული კანონები, რეგულაციები, ჩვეულებები და პრაქტიკა, რომელიც შეიცავს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციას.“ ამასთან ერთად თავად სტამბულის კონვენციის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებს ასევე ეკისრებათ ვალდებულება, „უზრუნველყონ, რომ კულტურა, ჩვეულება, რელიგია, ტრადიცია ან ე.წ. “ღირსება” არ გახდეს კონვენციით გათვალისწინებული ძალადობის რომელიმე ფორმის გამამართლებელი ფაქტორი.“ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულ საკითხზეც გამახვილდეს ყურადღება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ქალთა მიმართ ძალადობის გამართლებად საზოგადოებაში სწორედ გაბატონებული წეს-ჩვეულებები გვევლინება ხოლმე.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ე.წ. “harassment” (სექსუალური შევიწროება), განსაკუთრებით შრომით ურთიერთობებში. თუმცა, აღნიშნული საქართველოს კანონმდებლობით ფაქტობრივად არ არის რეგულირებული, მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი გვხვდება „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის სახით, სადაც მითითებულია, რომ შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია: „სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.“ თუმცა აღნიშნული დებულება ვერ ქმნის ასეთი შემთხვევების აღკვეთის და მისი ჩამდენი პირების მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ამ მიმართულებითაც არის საჭირო.

ნაადრევი ქორწინება საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა საქართველოში და განსაკუთრებით აღმაშფოთებელია მშობელთა მიერ საკუთარი შვილების ქორწინების იძულების ფაქტები. ნაადრევი ქორწინების რაოდენობის მხრივ საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მე-2 ადგილზეა და მხოლოდ 2015 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე ნაადრევი ქორწინების 639 შემთხვევა იქნა დაფიქსირებული.

არასრულწლოვან პირთა არასასურველ და იძულებით ქორწინებათა პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 16 დეკემბერს მიღებული კანონი არასრულწლოვანთა ქორწინების რეგისტრაციის შეზღუდვის შესახებ.[240] აღშნული კანონით ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და აიკრძალა 18 წელს მიუღწეველ პირთა ქორწინების რეგისტრაცია. აღნიშნული კანონი ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან შევიდა, ხოლო გარდამავალ პერიოდში (რომელიც მოიცავს პერიოდს 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე), 17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით და ისეთი პატივსადები მიზეზის არსებობისას, როგორიცაა ბავშვის დაბადება.

<u>ოჯახში ძალადობის ფაქტები</u>

2015 წელს კვლავ დაფიქსირდა ოჯახში ძალადობის და მის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის ფაქტები. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ოჯახის ძალადობის თითქმის ყველა საქმეში გვხვდება პოლიციის მხრიდან არაადეკვატური რეაგირება, ვინაიდან სამართალდამცავები დღემდე მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის საქმეა და არა საჯარო საკითხი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად[241], სულ 2015 წ. იანვარ-ივნისის პერიოდში ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოიცა 1478 შემაკავებელი ორდერი, მათში მონაწილე 2873 პირით. მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები - 1292, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენს 99-ს. აღნიშნულ პერიოდში ოჯახური ძალდობის მსხვერპლი გახდა 1286 ქალი და 196 მამაკაცი. სჭარბობს ფსიქოლოგიური (1388) და ფიზიკური ძალადობა (667). ამ პერიოდში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით დევნა დაიწყო 455 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობილ იქნა 510 პირი. სულ გამოძიება დაიწყო 682 ფაქტზე სსკ-ს მე11[1] და 126[1]-ე მუხლების საფუძველზე და 7 შემთხვევაში სსკს-ს 109-ე მუხლით.

დაფიქსირებული ფაქტები:
გავრცელებული ინფორმაციით, 2015 წლის 16 მარტს, თბილისში, სვანეთის უბანში, ოჯახში მომხდარი კონფლიქტის გამო ქმარმა ცოლი მოკლა. ქმარი სამართალდამცავებმა დააკავეს.

---

240 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3122424#DOCUMENT:1> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
241 <http://tinyurl.com/hbtjudm> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მკვლელობაში ბრალდებული პირი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. სვანეთის უბანში მცხოვრები პირები მკვლელობის მოტივს ვერ ასახელებენ[242].

მკვლელობა მოხდა კახეთშიც – 2015 წლის 19 მარტს სიღნაღის რაიონში 27 წლის ქალი მოკლეს. გარდაცვლილის ახლობლების ცნობით, მას ყოფილი მეუღლე ემუქრებოდა, რის გამოც არაერთხელ მიმართა პოლიციას, თუმცა მის განცხადებას სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია. ამ ფაქტს სიღნაღის პოლიციის უფროსის მოადგილეს უკავშირებენ, რომელიც მსხვერპლის ყოფილი მეუღლის ძმაა. მკვლელობაში ბრალდებული ყოფილი ქმარი შემთხვევის ადგილიდან ერთ კილომეტრში გარდაცვლილი იპოვეს[243].

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 17 მაისს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანში, დავით თ.-მ მცირეწლოვან გერებსა და შვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა[244], რის შედეგადაც ერთ-ერთი გერის ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნა და იგი საავადმყოფოში მოათავსეს. წარსულში ნასამართლევი დავით თ. სამართალდამცავებმა დააკავეს. გამოძიება ოჯახში ძალადობის ფაქტზე დაიწყო (საქართველოს სსკ-ის 111 და 126 მუხლები).

17 მაისს, რუსთავში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თანაკლასელი გოგოს მკვლელობის ბრალდებით 1992 წელს დაბადებული გიორგი მ. დააკავეს.[245] გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაიწყო (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლი).

20 მაისს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვაში, ქმარმა ცოლს თავის არეში ფიზიკური დაზიანება მიაყენა[246]. სამართალდამცველებმა ბრალდებული დააკავეს და გამოძიება მკვლელობის მცდელობის მუხლით დაიწყო.

25 მაისს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ კირცხში, 1979 წელს დაბადებული გია ს. დააკავეს[247]. მას ბრალად ედება მეუღლის ცივი იარაღით მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე. გია ს. სამართალდამცავებმა ცხელ კვალზე აიყვანეს და გამოძიება ოჯახში ძალადობის

---

242 <http://rustavi2.com/ka/news/11857 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

243 <http://ick.ge/articles/21206-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

244 <http://police.ge/ge/shss-m-gurdjaanshi-odjakhshi-dzaladobis-faqtze-erti-piri-daakava/8182 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

245 <http://police.ge/ge/shss-m-rustavshi-momkhdari-mkvleloba-tskhel-kvalze-gakhsna/8180> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

246 <http://www.tabula.ge/ge/story/96376-qobuletshi-qmarma-cols-tavshi-culi-chaartka > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

247 <http://police.ge/ge/shss-m-chkhorotskus-raionshi-momkhdari-odjakhshi-dzaladobis-niadagze-ganzrakh-mkvlelobis-faqti-tskhel-kvalze-gakhsna/8252 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ნიადაგზე განზრახ მკვლელობის ფაქტზე დაიწყო (საქართველოს სსკ-ის 111 და 108-ე მუხლები).

გავრცელებული ინფორმაციით ოჯახური ძალადობის ფაქტი დაფიქსირდა ასევე სამეგრელოში, ტელეკომპანია „იმედზე" გასული სიუჟეტის თანახმად, ცოლზე 34 წლის მამაკაცმა იძალადა და მასთან იძულებით სქესობრივი კავშირი დაამყარა. გოგონა საავადმყოფოში მძიმე დაზიანებებით გადაიყვანეს, ხოლო ძალადობის შემდეგ მას ეპილეფსიური მოვლენები დაეწყო. საქმეზე გამოძიება დაწყებულია და ქმარი ამ ეტაპზე წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.[248]

ამრიგად, მიუხედავად ბოლო პერიოდში მიღებული არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამ კუთხით უფრო გამკაცრებისა, ოჯახური ძალადობის ფაქტების აღმოფხვრა ვერ ხერხდება. აღნიშნული, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ცნობიერების პრობლემასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ქალი ჯერ კიდევ მიიჩნევა მამაკაცის მიმართ დაქვემდებარებულ არსებად, რომელიც უნდა დაემორჩილოს მას. გამომდინარე აქედან საკანონმდებლო ცვლილებების პარალელურად მნიშვნელოვანია მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიურად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხითაც წარიმართოს. ამ პროცესში კი სახელმწიფოს როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია. მხოლოდ სასჯელის გამკაცრება ან უფრო მკაცრი რეგულაციების შემოღება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად არ არის საკმარისი, მაშინ, როდესაც საზოგადოებაში (მიუხედავად არსებული კანონმდებლობის მკაცრი მიდგომებისა) „ურჩ" ქალზე ძალადობა არათუ მიუღებელი, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში წახალისებულიც კია, მათ შორის, ქალების მიერაც.

სტამბულის კონვენციის ავტორთა აზრით, „გენდერზე დაფუძნებული ძალადობა ქალის წინააღდეგ ღრმად არის გამჯდარი სოციალურ და კულტურულ სტრუქტურებში, ნორმებსა და ღირებულებებში, რომელიც მართავს საზოგადოებას და ხშირად განმტკიცებულია უარყოფისა და დუმილის კულტურით."[249] სწორედ ამიტომ, „ძალადობა უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქალზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზე."[250] ამგვარად, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ან უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით - მისი შეცვლა, ხანგძლივი და კომპლექსური პროცესია, რომელიც სახელმწიფომ უნდა წარმართოს, მათ შორის, სამოქალაქო სექტორის ინტენსიური ჩართულობით, რაც სტამბულის კონვევნციის მოთხოვნასაც წარმოადგენს (მუხლი 7 და 9).

---

248 <http://imedi.ge/index.php?pg=shs&id_pr=5291&id=42> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

249 < http://conventions.coe.int/Treaty/EN/Reports/Html/210.htm> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

250 იქვე

სასჯელაღსრულების სისტემა და პატიმართა უფლებები

2015 წელი გამორჩეული იყო პენიტენციურ სისტემის მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით. ამის პარალელურად, ამავე პერიოდში გამოვლინდა პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის, პატიმრების თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების არაერთი შემთხვევა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემა არა არასაკმარის საკანონმდებლო გარანტიებში, არამედ მათ აღსრულებაშია. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები მოექცა, რომელთა სიმრავლე ცხადყოფს, რომ არასათანადო მოპყრობა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში კვლავ სისტემურ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული კი თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო სათანადოდ კვლავ არ ზრუნავს მსჯავრდებულთა ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია პროკურატურის მიერ გ. ოქროპირიძისათვის ახალი ბრალდების წაყენების ფაქტი ცრუ დასმენის გამო, რომელიც შეეხებოდა პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ინფორმაციის მიწოდებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის თაობაზე. აღნიშნული უარყოფით შედეგებს იწვევს არა მხოლოდ საკუთრივ განმცხადებელი პირისათვის, არამედ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა მსჯავრდებულებზეც, რომლებმაც მოსალოდნელი სანქციების შიშის გამო შესაძლოა თავი შეიკავონ არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე შესაბამისი ორგანოებისათვის (პირველ რიგში კი - პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის), რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ავტორიტეტზე და ხელს შეუშლის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომხდარი დარღვევების გამოვლენასა და აღკვეთას.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის თებერვალში საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, რომელიც იძიებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულებებს, მათ შორის წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს. ხაზგასასმელია, რომ დეპარტამენტი განიხილავს საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის პირველ იანვრამდე შემოსულ საჩივარ-განცხადებებს და შემოიფარგლება 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირებით[251], რაც ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ დეპარტამენტის შექმნის თვითმიზანი ყოფილი ხელისუფლების პერიოდში ჩადენილი სამართალდარღვევების და თავად ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმეების წარმოებაა. თავისთავად პრობლემურია

[251] <http://pog.gov.ge/res/docs/NEW/.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ისიც, რომ აღნიშნული ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლების ქვეშ იქმნება, რაც ორგანოს მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას ეჭვქვეშ აყენებს. მიუხედავად სახალხო დამცველის, ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის მხრიდან გაჟღერებული არაერთი რეკომენდაციისა[252], შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში რაიმე კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა.

სასჯელაღსრულების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების მხრივ აღსანიშნავია პენიტენციური სისტემის ინსტიტუციური რეფორმის საკანონმდებლო პაკეტი, ასევე ახალი კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“. ამასთან ერთად შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც თავს უყრის მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის მათ მიერ სასჯელის მოხდას. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა მიიღო რამდენიმე ბრძანება, მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესების დამტკიცების შესახებ.

ავტორების განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებები პატიმართა უფლებების გამტკიცებას და შიდა კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას ისახავს მიზნად. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელებული ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მათი იმპლემენტაციაც ასეთივე წარმატებით განხორციელდეს. ფაქტია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, პატიმართა მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მაინც მძიმეა.

საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე ყურადღებას ამახვილებს ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტიც (CPT). 2015 წლის 15 დეკემბერს კომიტეტმა გამოაქვეყნა ანგარიში[253], რომელიც საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას შეეხება. კომიტეტი საქართველოში განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე (ვიზიტი 2014 წლის 1-11 დეკემბრის პერიოდში განხორციელდა) გამოქვეყნებულ ანგარიშში ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემაზე. მათ შორისაა არასათანადო მოპყრობის ჩამდენი სამართალდამცავი პირების დაუსჯელობა და ამ მხრივ ეფექტური საგამოძიებო მექანიზმის არ არსებობა. კომიტეტის დასკვნით, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არასათანადო მოპყრობა კვლავ წარმოადგენს პრობლემას. თავად ხელბორკილების გამოყენების არსებული

---

252 < http://www.netgazeti.ge/GE/105/law/41840/>; <http://tinyurl.com/ohdsgb4 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

253< http://www.cpt.coe.int/documents/geo/2015-42-inf-eng.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

პრაქტიკაც (20 საათმდე ხანგრძლივობით) CPT-ის მიერ არასათანადო მოპყრობად შეფასდა. ანგარიშში საუბარია ასევე არასათანადო მოპყრობის კონკრეტულ ფაქტებზე და ნახსენებია საპატიმრო დაწესებულებებში ე.წ. კანონიერი ქურდებისა და „მაყურებლების“ არსებობა.

პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტები

2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა პატიმართა არასათანადო მოპყრობის არაერთი შემთხვევა, რაც ცხადყოფს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დღემდე არ არის უზრუნველყოფილი პატიმართა უსაფრთხოება და ისინი არ არიან დაცული არც თანამშრომლების და არც ე.წ. მაყურებლების მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორებისგან.

ა) ფაქტები არასათანადრო მოპყრობასთან დაკავშირებით

2015 წლის პირველ იანვარს რუსთავის სასჯელაღსრულების #17 დაწესებულებაში ერთ-ერთ პატიმარს თანასაკნელები ფიზიკურად გაუსწორდნენ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, მსჯავრდებულ გ.მ.-ს მოუვიდა სიტყვიერი შელაპარაკება თანასაკნელებთან, რომელიც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. ასევე დაინიშნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ოფიციალური განცხადების თანახმად, საქმეზე ბრალი წარედგინა დაწესებულების დირექტორს სსკ-ის 332-ე მუხლით (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) გ.მ.-ის წამებაში ბრალდებული პირებისთვის დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლების მინიჭების გამო, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პატიმრის მიმართ სსკ-ის 144[1] მუხლის (წამება) მეორე ნაწილით.[254] სასჯელაღსრულების #17 დაწესებულების დირექტორი გ. ელიზბარაშვილი 2015 წლის პირველ თებერვალს დააკავეს[255], თუმცა იგი ბრალს არ აღიარებდა და აცხადებდა რომ პირველ იანვარს საერთოდ არ იმყოფებოდა დაწესებულებაში. დაზარალებულის განცხადებით, მის წამებაში მონაწილე ადამიანები მისგან ციხის ადმინისტრაციასთან კავშირის დადასტურებას მოითხოვდნენ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2015 წლის 5 თებერვლის ღამეს სასჯელაღსრულების N8 დაწესებულებაში არეულობა მოხდა, რომლის დროსაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა რამდენიმე პატიმარი ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უარყო გავრცელებული ინფორმაცია და განმარტა, რომ სამედიცინო ჩარევა მხოლოდ ერთ პატიმარს დასჭირდა, რომელიც ასთმური შეტევის გამო საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი[256].

---

254 < http://www.itv.ge/index.php/ile=?m=16&CID=35108 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

255 <http://www.24saati.ge/news/story/44853-rustavis-tsikhis-direqtori-daakaves> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

256 <http://www.epn.ge/index.php/nggallery/page/2/slideshow?id=1464> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

2015 წლის პირველ თებერვალს მედიით გავრცელდა ქუთაისის ციხეში განთავსებული პატიმრის საუბრის აუდიოჩანაწერი, საიდანაც პატიმართა უფლებების შესაძლო ხელყოფის ფაქტები იკვეთება. პატიმარი, რომელიც დახურულ საკანში იმყოფებოდა, აცხადებდა რომ „რკინა“ ჰქონდა გადაყლაპული, რათა თანამშრომელთა მხრიდან ნორმალური მოპყრობისთვის მიეღწია. მისივე თქმით, ციხის ადმინისტრაცია სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა, სასჯელის დამატებას – ამზადებდა ყალბ ბრალდებას, თითქოსდა რეჟიმის უფროსს პირსახოცი გადაარტყა. ჩანაწერში პატიმარი ასევე ამბობდა, რომ „ორშაბათიდან მშრალ შიმშილობას იწყებდა“[257].

ე.წ. მაყურებლის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობდა რუსთავის სასჯელაღსრულების #17 დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული ვ.ბ., რომელიც „პირველ რადიოს“ დაუკავშირდა და განაცხადა, რომ დაწესებულების ერთ-ერთი მაყურებელი, რომლის სახელსა და გვარს არ დაასახელებდა, ემუქრებოდა და აშანტაჟებდა. პატიმრის განცხადებით, იგი ციხის სამეურნეო ნაწილში ირიცხება და სასადილოში მუშაობს, რის გამოც „მაყურებელი“ მუდმივად ითხოვს მისგან განსაკუთრებულ საკვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცემით და ფიზიკური განადგურებით ემუქრება[258].

მსჯავრდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის შემთხვევა დაფიქსირდა ასევე გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. მსჯავრდებული ო.გ.-ის განმარტებით, 2015 წლის 18 თებერვალს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ინსპექტორებმა და უსაფრთხოების ოფიცრებმა იგი ჩაიყვანეს ადმინისტრაციული კორპუსის საკარანტინო განყოფილებაში, სადაც გააშიშვლეს და გაჩხრიკეს; შემდეგ შეიყვანეს დეესკალაციის ოთახში, სადაც მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. მსჯავრდებულის მტკიცებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 დაწესებულების თანამშრომლებმა მას მხრის სარტყლის წინა ზედაპირზე ანთებული სიგარეტით მიაყენეს ფიზიკური დაზიანება და თან დასცინოდნენ. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მსჯავრდებულის #8 დაწესებულებაში მონახულებისას ო. გ.-ს ორივე მხრის სარტყლის წინა ზედაპირებზე ოვალური ფორმის დაზიანების კვალი აღენიშნებოდა[259].

ადვოკატ თინათინ ნაკაშიძის განცხადებით[260], მას არ ეძლეოდა უფლება, შეხვედროდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ ტ. ფოცხვერიას, რომლის დაცვასაც ადვოკატი სასამართლოს სამივე ინსტანციაში ახორციელებდა. მისივე თქმით, ტ. ფოცხვერიას შეზღუდული ჰქონდა ოჯახის წევრებთან და მოძღვართან შეხვედრის უფლება. ადვოკატმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ტარიელ ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და იგი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. თინათინ ნაკაშიძემ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

---

257 <http://bit.ly/1G3B6GO > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

258 <http://pirveliradio.ge/?newsid=42499 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

259 < http://bit.ly/1IoshHd> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

260 <http://bit.ly/1wXDhZl> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

გ. მღებრიშვილს და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დ. სერგეენკოს საქმეზე დროული რეაგირება სთხოვა. ამავე თხოვნით მან „ადვოკატთა ასოციაციას“ და სახალხო დამცველს მიმართა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზ. ხატიაშვილმა დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრის აკრძალვა ადვოკატთა საქმიანობაში უხეშ ჩარევად შეაფასა და პროტესტის უკიდურეს ფორმას – შიმშილობას მიმართა. მან შიმშილობისკენ მოუწოდა ყველა იმ ადვოკატს, ვისაც ეს საკითხი აღელვებს.

გეგუთის #14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრის ახლობლებლების განცხადებით[261], პატიმარს ციხეში ფიზიკურად გაუსწორდა ე.წ. „ციხის მაყურებელი“, რომელიც კანონიერი ქურდის ლავას ოღლის დის ქმარია. ცემის ფაქტზე გამოძიება დაწყებულია, თუმცა სასჯელაღსრულების სამინისტროს განცხადებით, თავად მსჯავრდებული აცხადებდა, რომ დაზიანებები სახის არეში დაცემის შედეგად მიიღო. საქმეზე დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა.

აღსანიშნავია 2015 წლის 8 ივნისს საქართველოს პროკურატურის მიერ გ. ოქროპორიძისათვის ახალი ბრალის წაყენების ფაქტი. საქმე 2014 წლის 22 სექტემბერს გ. ოქროპირიძის მიერ სახალხო დამცველისთვის მიწოდებულ ინფორმაციას შეეხება, სადაც იგი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაზე საუბრობდა. საქართველოს პროკურატურის მტკიცებით გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ქონია და გ. ოქროპირიძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის პირველი ნაწილით, პირადი მოტივით ცრუ დასმენის გამო ბრალი წარუდგინეს[262]. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და გ. ოქროპირიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღსანიშნავია, რომ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის 21-ე მუხლის თანახმად, „არც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი არ გამოიყენებს რაიმე სანქციას ან არ გასცემს სანქციის გამოყენების ბრძანებას ან ნებართვას რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ, მათ მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, ასევე არ შეზღუდავს ასეთ პირს ან ორგანიზაციას რაიმე სხვა წესით.“ ამრიგად, ყოვლად მიუღებელია წამებისა თუ არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების გამო (თუნდაც იგი არ შეესაბამებოდეს სიმართლეს) პირის სისხლისსამართლებრივი დევნა და ზოგადად მის წინააღმდეგ ამის გამოყენება. ასეთი ქმედება პრობლემურია იმ კუთხითაც, რომ იგი გავლენას ახდენს სხვა მსჯავრდებულთა ქცევაზეც, რომელთაც ექმნებათ საფუძვლიანი შიში, იმისა, რომ თუკი მათი ჩივილი არ

[261] <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/358288-akhloblebis-informaciith-geguthis-cikheshi-patimars-scemes.html?ar=A > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[262] <http://pog.gov.ge/geo/news?info_id=707> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დადასტურდა, ისინი შესაძლოა პასუხისგებაში მიეცნენ ცრუ დასმენის ბრალდებით. აღნიშნული კი თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეაფერხებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჩადენილი დარღვევების გამოვლენასა და აღკვეთას.

გარდა არასათანადო მოპყრობის ფაქტებისა, 2015 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა სუიციდის და თვითმკვლელობის მცდელობის, ასევე თვითდაზიანების მიყენების რამდენიმე შემთხვევა:

2015 წლის 16 აპრილს, ადვოკატ კ. შონიას ინფორმაციით[263], თბილისის სპეციალური დანიშნულების რაზმის ყოფილმა მეთაურმა კ. ნაკანმა გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თვითმკვლელობა სცადა. კ. ნაკანი ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზეა ბრალდებული. მისი ადვოკატის, კ.შონიას თქმით, კ. ნაკანი დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდა გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ე.წ. „მატროსოვის ციხეში“ გადაყვანას, სადაც ყოფილი ძალოვნები არიან განთავსებულნი, თუმცა უშედეგოდ. ადვოკატის განმარტებით, კ. ნაკანმა თვითმკვლელობა სწორედ ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო სცადა. საპირისპირო განცხადება[264] გაავრცელა სასჯელაღსრულების სამინისტრომ. უწყება აცხადებდა, რომ კ. ნაკანმა თვითმკვლელობა ყოფილი სპეცრაზმელების დაკავების გამო სცადა, იგი მხარდაჭერას უცხადებს ყოფილ პოლიციელს ი. ფირცხალავას. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ჭრილობა მიყენებულია ერთჯერადი საპარსით, რომელიც არ წარმოადგენს აკრძალულ საგანს.

გეგუთის #14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გასული წლის 4 მარტს გარდაცვლილი პატიმრის გიგა ფარტენაძის ოჯახმა 2015 წლის 7 მაისს პრესკონფერენცია[265] გამართა და საქმის ხელახალი გამოძიება მოითხოვა. პროკურატურამ ერთი წლის წინ საქმე გახსნილად გამოაცხადა და 3 თანამესაკნეს გ.ფარტენაძის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში დასდო ბრალი. გარდაცვლილის დედის მ. ნიქაბაძის მტკიცებით, საქმესთან დაკავშირებით არ დაკითხულა მთავარი მოწმე გ. კაჭარავა, რომელიც იმავე საკანში იმყოფებოდა, სადაც გ.ფარტენაძე გარდაცვლილი იპოვეს. მისივე განმარტებით, უნდა დაიკითხონ და პასუხისგებაში მიეცნენ: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი დ. დარბაისელი, მისი მოადგილე ჯ. მაღლაფერიძე და #14 დაწესებულების დირექტორი კ. ზებია, რადგან მათ პატიმარი ფსიქიკურად დაავადებულ 3 პირთან ერთად მოათავსეს და სათანადოდ არ უზრუნველყვეს მისი უსაფრთხოება.

---

263 < http://www.interpressnews.ge/ge/samartali/325846-advokatis-informaciith-thbilisis-specrazmis-yofilma-methaurma-kakha-nakanma-cikheshi-thvithmkvleloba-scada.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

264 < http://www.info9.ge/chven-shesakheb/116672-sasjelaghsrulebis-saministro-nakanis-thvithdazianebis-faqtthan-dakavshirebith-ganckhadebas-avrcelebs.html?lang=ka-GE > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

265 <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/328836-gardacvlili-patimris-ojakhi-saqmis-khelakhla-gamodziebas-ithkhovs.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

2015 წლის 31 მაისს ქუთაისის #2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 1979 წელს დაბადებულმა ბრალდებულმა ი.ს.-მ გამოძიების ვერსიით თავი მოიკლა[266]. მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა).

2015 წლის 6 მაისს ბათუმის #3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ორმა პატიმარმა თვითდაზიანებები მიიყენა[267]. ერთ-ერთი პატიმრის ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ბასრი საგნით 40-მდე დაზიანება მიიყენა. ადვოკატის განმარტებით, პატიმარმა ეს ჩაიდინა მას შემდეგ, რაც ბადრაგის თანამშრომლებში ამოიცნო 2 პიროვნება, რომლებიც წლების განმავლობაში მას ციხეში ფიზიკურად უსწორდებოდნენ. საქმეზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) დაიწყო.

2015 წლის 25 ივნისს #7 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სამი მსჯავრდებული ფიზიკური დაზიანებებით კლინიკაში გადაიყვანეს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, მსჯავრდებულებმა თვითდაზიანებები მას შემდეგ მიიყენეს, რაც მათ სხვა დაწესებულებაში გადაყვანაზე უარი ეთქვათ[268].

2015 წლის 9 სექტემბერს გლდანის #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარდაიცვალა 1987 წელს დაბადებული გ.ჭ., რომელიც, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, დაწესებულების ტერიტორიაზე მოულოდნელად დაეცა. მას ადგილზევე დაუყოვნებლივ გაეწია სამედიცინო დახმარება და იგი სასწრაფო წესით გადაყვანილ იქნა #18 სამკურნალო დაწესებულებაში, თუმცა მსჯავრდებულის გადარჩენა ვერ მოხერხდა. სამინისტროს განცხადებით, გ.ჭ.-მ ბოლო სამედიცინო შემოწმება მიმდინარე წლის 4 აგვისტოს გაიარა. სამედიცინო ბარათიდან ირკვევა, რომ მსჯავრდებული პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო და მედიკამენტოზურ მკურნალობას არ გადიოდა. გარდაცვალების ფაქტზე დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით). დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

გ) მდგომარეობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ადვოკატები. 2015 წლის 17 იანვარს, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნ. გურულმა ბრიფინგი გამართა და #7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების შიმშილობისა და მათ მიმართ განხორციელებული არაადამიანური

---

266 < http://www.newpress.ge/news_id/6594> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

267 < http://www.tv25.ge/?page=news&news_id=16425#.VZpwe_mqpBe > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

268 < http://www.kvirispalitra.ge/justice/25608-sasjelaghsrulebis-utsyebis-ganmartebith-patimrebma-thavi-thvithon-daizianes-ra-mokhda-me-7-datsesebulebashi.html?device=xhtml > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მოპყრობის ფაქტების შესახებ ისაუბრა. მან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სათანადო რეაგირებისაკენ მოუწოდა[269]. CCI-ის აღმასრულებელი დირექტორის თქმით: „თავისუფლებააღკვეთილი პირები უკვე თვეებია სასჯელაღსრულების #7 დაწესებულებაში ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელებულ ფსიქიკურ ზეწოლაზე საუბრობენ, რაც სამედიცინო მომსახურების არარსებობაში, ანტისანიტარიულ პირობებსა თუ სასმელი წყლის მიუწოდებლობაში გამოიხატება, რის გამოც 13 იანვარს პატიმრებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს, თუმცა ქმედითი ნაბიჯები სიტუაციის გაუმჯობესებისკენ არ გადადგმულა“. იმავე დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას შეეხება ადვოკატ ზ. თოდუას განცხადებაც[270], რომლითაც იგი ადასტურებდა ძალადობის ფაქტებს #7 დაწესებულებაში. მისივე ინფორმაციით, 4 პატიმრის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. წამლებისა და სამედიცინო მომსახურების მოთხოვნით #7 დაწესებულებაში 10 პატიმარი შიმშილობს. ერთ-ერთ მათგანს გადაყლაპული აქვს ე.წ. „ბოლტი“ და საწერკალამი, 3 პატიმარს კი – თერმომეტრი. ადვოკატის განცხადებით, ადმინისტრაცია პატიმრებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე უარს ეუბნება. #7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ მძიმე პირობებზე საუბრობს[271] ასევე პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

2015 წლის 8 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც #3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას ასახავს[272]. ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა, კვლავ პრობლემად რჩება დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება, სამედიცინო პერსონალის მიერ დაზიანებების კვალიფიციური დოკუმენტირება, დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან მხოლოდ ე.წ. სტატიკური უსაფრთხოების ელემენტების გამოყენება (განცალკევება, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა), რაც ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას ისე, რომ არ დაარღვიოს ადამიანის უფლებები. გაზრდილია დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი. ისევ აქვს ადგილი ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსებას. სრულად არ არის ხელმისაწვდომი სათანადო სამედიცინო მომსახურება და არ ხდება დაწესებულების საკმარისი მედიკამენტებით მომარაგება. დაწესებულებაში არ არის საკვები რაციონი დიაბეტით დაავადებული პატიმრებისთვის. საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები. ანგარიშის მიხედვით კვლავაც პრობლემად რჩება

---

269 <http://bit.ly/1C4OTdg > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

270 <http://pirveliradio.ge/index.php?newsid=40953> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

271 <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-n7-penitenciur-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

272 < http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meqanizmi/siaxleebi-npm/prevenciis-erovnuli-meqanizmis-monitoringi-sasdjelagsrulebis-n3-dawesebulebashi.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მოუგვარებელია ხელოვნური ვენტილაციის, ბუნებრივი განათებისა და წყალმომარაგების საკითხები.

პრობლემურია აგრეთვე #2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა, სადაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშის თანახმად[273], პატიმართა შორის ძალადობის 33 შემთხვევა დაფიქსირდა. ამასთან, გამოიკვეთა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არაერთი პრობლემა, გაზრდილია სამარტოო საკანში მოთავსების ფაქტები და სხვა.

2015 წლის 24 აპრილს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა #3 სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსი ინსპექტორ-იურისტი გ. სურმანიძე ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს[274]. გამოძიების ვერსიით, გ. სურმანიძე თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას მოქალაქეს დაჰპირდა #3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრისთვის ორი მობილური ტელეფონის სიმ-ბარათის შეტანას 2000 ლარის სანაცვლოდ. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ „კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს დაპატიმრებულ პირთა ისეთ პირობებში ყოფნა, რომელიც შესაბამისობაშია მისი ღირსების პატივისცემასთან და რომ ღონისძებათა აღსრულების ხერხი და მეთოდი არ ჩააყენებს მას მძიმე მდგომარეობაში (რომლის ინტესივობაც სცდება საპატიმროსთვის დამახასიათებელ ტანჯვის გარდაუვალ დონეს) და რომ მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ადეკვატურად იქნება გარანტირებული, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ჩათვლით“ (*Kudła v. Poland*, judgment (Grand Chamber) of 26 October 2000, § 94; *Szél v. Hungary*, 07/09/2011, §17 ; *Mayzit v. Russia* 06/07/2005 §38).

ამგვარად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირები, რომლებსაც შეზღუდული აქვთ თავისუფალი გადაადგილება, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, რომელთა უფლებების დარღვევის რისკი საკმაოდ მაღალია. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებაა ასეთი პირების დაცვა და ამ რისკის მინიმუმამდე შემცირება. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს კი წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციათა გამიჯვნა და ურთიერთკონტროლის სისტემის

[273]< http://ombudsman.ge/ge/news/sasdjelagsrulebis-2-dawesebulebis-monitoringis-angarishi1.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[274] < http://www.ipress.ge/new/5052-batumshi-%E2%84%963-cikhis-tanamshromeli-daakaves > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დანერგვა. სწორედ ამ კუთხით კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულთა დროული და ობიექტური გამოძიება, რაზეც ყურადღებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამახვილებს, საქმეში *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ* (*Tsintsabadze v. Georgia* no. 35403/06 § 94)

კანონმდებლობა

ა) პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები

2015 წლის 1 მაისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო პენიტენციური სისტემის ინსტიტუციური რეფორმის საკანონმდებლო პაკეტი, რომლის შესაბამისადაც ცვლილებები ორმოცამდე კანონში შევიდა. ამასთან, პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ". განმარტებითი ბარათის თანახმად, ამ კანონპროექტის მიღება განპირობებულია სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემებით, რომელთა გადაწყვეტის მიზნითაც დაიგეგმა სწორედ სასჯელაღსრულების სისტემის კომპლექსური რეფორმა.

1. პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, აქამდე არსებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, რომელიც პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოს წარმოადგენდა და იყო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფარგლებში არსებული საქვეუწყებო დაწესებულება, გარდაიქმნა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფად – პენიტენციურ დეპარტამენტად. შესაბამისად, სასჯელის აღსრულების უშუალო აღმასრულებელი ორგანო ხდება პენიტენციური დაწესებულება, რომლის ერთიან მართვას განახორციელებს პენიტენციური დეპარტამენტი.

ცვლილებების მიხედვით, ცალ-ცალკე განისაზღვრა სასჯელაღსრულების სფეროს ძირითადი (დაკავშირებული სასჯელის უშუალო აღსრულებასთან) და არაძირითადი ფუნქციები. შესაბამისად პენიტენციურ დაწესებულებათა ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სამინისტრო ორი ძირითადი მიმართულებით გაიყო: სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური და სამოქალაქო სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფები. ამასთან ერთად, ცვლილებების თანახმად, უქმდება პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისია და პირობით ვადამდე გათავისუფლების ფუნქცია ექნება მხოლოდ ადგილობრივ საბჭოებს.

პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი, აგრეთვე, სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობით – სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი, უფლებამოსილი ხდება პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თანხმობით განახორციელოს მათი ან/და მათი უშუალო განთავსების პირობების, გასეირნების ადგილების, საექიმო-სამედიცინო პუნქტის, კვების ობიექტის, საერთო სარგებლობის საშხაპეების, საერთო სარგებლობის საპირფარეშოების და შეხვედრის ოთახების ფოტოგადაღება.

ცვლილებების თანახმად, მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსების ვადა 20 დღიდან შემცირდა 14 დღემდე.

2. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებს ემატება პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა. ამ შემთხვევებში ღონისძიების განხორციელების საფუძველი იქნება პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის წერილობითი ბრძანება, ხოლო ღონისძიებები გაგრძელდება მათი დაწყების საფუძვლის აღმოფხვრამდე, თუმცა არა უმეტეს 12 თვისა. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება მიენიჭა სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტს, საგამოძიებო დეპარტამენტს, პენიტენციური დეპარტამენტისა და პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხოების სამსახურებს.

3. „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ორგანიზება, საქმიანობის წესი და უფლებამოსილება, სამსახურში მიღების წესი, მოსამსახურის სტატუსი, მისი უწყვეტი პროფესიული მომზადების სისტემა, სამართლებრივი, უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის გარანტიები. შესაბამისად პატიმრობის კოდექსიდან ამოღებულ იქნა სისტემის ორგანოს მოსამსახურის სტატუსის მარეგულირებელი ნორმები.

პატიმრობის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან და ახლად მიღებული „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლილებები განხორციელდა სხვა კანონებშიც. მათ შორის, „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება“ ყველგან შეიცვალა ჩანაწერით „პენიტენციური დაწესებულება“.
ცვლილებების ძირითადი ნაწილი 2015 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა.

გ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებები
2015 წლის პირველ ნახევარში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძანება მიიღო, მათ შორის დაამტკიცა ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის წესები. მინისტრის 2015 წლის 19 მაისის ბრძანებით განისაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესები.

ბრძანების თანახმად, მეთვალყურეობა და კონტროლი ხორციელდება ღიად და აღნიშნულის შესახებ უნდა არსებობდეს სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები. ამასთან, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია

გააფრთხილოს ბრალდებული/მსჯავრდებული ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის ან/და აუდიო-ვიდეოჩაწერის განხორციელების თაობაზე.

კონტროლი შეიძლება განხორციელდეს არა უმეტეს სამი თვისა დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და იგი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ სამი თვით. ყველა მნიშვნელოვანი მასალის ასახვა დაუყოვნებლივ ხდება ინციდენტთა მართვის სისტემაში და არქივდება. დაარქივებული მასალა ინახება არა უმეტეს 1 თვის ვადით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ უნდა განადგურდეს ათ სამუშაო დღეში.

ბრძანების მიხედვით, ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაში არსებულ საერთო სარგებლობის საშხაპეებში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოებში და ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილ ოთახებში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

* * *

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 22 აპრილის N 31 ბრძანებით დამტკიცდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხა.

* * *

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის N 33 ბრძანებით დამტკიცდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქცია. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, დაწესებულებაში შეიქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც ინდივიდუალურად დაგეგმავს პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის საჭირო აქტივობებს.

* * *

სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრმა ასევე დაამტკიცა მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებებში გადანაწილების ახალი წესი. N 70 ბრძანებით განსაზღვრულია პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის სახეები, შეფასების/გადაფასების წესი, რისკის შეფასების კრიტერიუმები, რისკის შეფასების საფუძველზე მსჯავრდებულთა იმავე ან სხვა ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები, მულტიდისციპლინური გუნდის, აგრეთვე მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფის შემადგენლობა და უფლებამოსილება. მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით შეფასებისა და გადანაწილების სისტემა გულისხმობს მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ

მსჯავრდებულთა კლასიფიკაციას პიროვნების, დანაშაულის სიმძიმის, პატიმრისგან გამომდინარე საშიშროების რისკის და სხვა ფაქტორების მიხედვით. მსჯავრდებულები ოთხი სახის საშიშროების რისკის მიხედვით დაიყოფიან და შესაბამისად გადანაწილდებიან, რაც მოიცავს დაბალ, საშუალო, მომეტებული და მაღალი რისკის კატეგორიას. ყოველ (არაუგვიანეს) 12 თვეში ერთხელ მოხდება მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის გადაფასება.

* * *

სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისის N 67 ბრძანებით დამტკიცდა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა. პრობაციის ბიუროში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასებას და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენას ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი. რისკის შეფასება ხდება სოციალური მუშაკის მიერ სპეციალური ფორმის შევსების გზით, რომლის შესაბამისადაც დგინდება ზიანის რისკის მაღალი, საშუალო ან დაბალი დონე. ამასთან ერთად ზიანის რისკის დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის მიხედვით, არასრულწლოვანი მსჯავრდებული მონაწილეობს სარეაბილიტაციო პროგრამებში.

გ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

2015 წლის 12 ივნისს პარლამენტმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიიღო. კოდექსში გაერთიანებული და თავმოყრილია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის ყურადღება გამახვილებულია სასჯელის მოხდის ეტაპზე და არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ყოფნის პირობებზე. აღსანიშნავია, რომ კოდექსის თანახმად პატიმრობა/არასრულწლოვანთა თავისუფლების შეზღუდვა გამოიყენება როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება მცირე ვადით. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მოთავსება ხდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და კოდექსით აკრძალულია მათი მოთავსება სრულწლოვან მსჯავრდებულებთან ერთად. მთლიანობაში, კოდექსი ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების და ინდივიდუალური მიდგომის გათვალისწინებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. აღსანიშნავია, რომ ამიერიდან არასრულწლოვანთა საქმეებზე მუშაობა, საქმის წარმოება და პროცესის განხორციელება მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზირებულ პირებს შეეძლებათ. პრიორიტეტული ხდება ყველაზე მსუბუქი საშუალების და ალტერნატიული ზომების გამოყენება.

განმარტებითი ბარათის თანახმად[275], კოდექსის მიღება სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ნაწილია და ცვლილებები მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ისახავს მიზნად, ასევე მათი ინტერესების დასაცავად საკმარისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნას, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ კანონის მიღება ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების სამოქმედო გეგმის ნაწილია.

ამრიგად, კოდექსი ამკვიდრებს საკმაოდ ლიბერალურ მიდგომებს, მათ შორის, სასჯელის მოხდის ნაწილში, და ქმნის ისეთ პირობებს, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისაკენ. აღნიშნული ცვლილებები ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან იგი წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მნიშვნელოვან მცდელობას და ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ არასრულწლოვანთა უფლებები უფრო მეტად იქნება დაცული. მიუხედავად აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა აღნიშნული ცვლილებების იმპლმენტაცია ასევე წარმატებით განხორციელდეს, მათ შორის აუცილებელია მოხდეს მართლლმსასჯულებაში ჩართულ არასრულწლოვნებთან დაკავშირებული შესაბამისი პირების დროული და სრულყოფილი გადამზადება.

მსჯავრდებულთა შეწყალების კომისია

2015 წლის 8 დეკემბერს შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარის, ალეკო ელისაშვილის განცხადების[276] საფუძველზე, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 339[1] მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ზეგავლენით ვაჭრობას გულისხმობს. ალეკო ელისაშვილი ბრალს დებს „ქართული ოცნების“ რამდენიმე მაღალჩინოსანს კონკრეტული პატიმრების შეწყალებით დაინტერესებაში (რის სანაცვლოდაც ისინი ქრთამს იღებდნენ) და მის მიმართ თავმჯდომარეობის პერიოდში განხორციელებულ ზეწოლაში. გავრცელებული ინფორმაციით[277] ზეწოლა ე.წ. „კოკაინის საქმეს“ უკავშირდებოდა, რომელშიც ბრალდებული ნუგზარ ბოჭორიშვილი, თავისი მეგობარი ქალის, ანასტასია ზაუტაშვილის გათავისუფლებას ხელისუფლების ცვლილებისთანავე ამ უკანასკნელის პოლიტპატიმართა სიაში ჩასმით შეეცადა. ალეკო ელისაშვილს საქმის დაძვრას დაჟინებით სთხოვდნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე და ეკა ბესელია. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულთა შეწყალების საქმეზე დაიკითხა როგორც თავად ა.ელისაშვილი, ასევე კომისიის მოქმედი თავმჯდომარე ზვიად ქორიძე, დეპუტატები ეკა ბესელია და მანანა კობახიძე. ამ უკანასკნელმა დაადასტურა, რომ ე.წ. „კოკაინის საქმეზე“ დაკავებულების შეწყალებას ითხოვდა.

---

275 < http://www.parliament.ge/ge/law/8688/20636> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

276 <http://hold.ge/main/462--.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

277 <http://www.kvirispalitra.ge/politic/27896-tslis-politikuri-skandalebi.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

პროკურატურაში აცხადებენ, რომ ა.ელისაშვილის მობილურ ტელეფონში არ აღმოჩნდა იმ მაღალჩინოსნების მესიჯები, რომლებსაც ის ასახელებს. თავად ა.ელისაშვილი პროკურატურას საქმის ჩაფარცხვის მცდელობასა და უმოქმედობაში ადანაშაულებს. ამ ბრალდებებს გამოეხმაურა[278] მთავარი პროკურორი, რომლის თქმითაც, საქმის „ჩაფარცხვაზე" საუბარი ზედმეტია, როდესაც საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს და პროკურატურას რაიმე შედეგზე ჯერ არ უსაუბრია. საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ იგი საზოგადოებას დეტალური ინფორმაციის მიწოდებას დაჰპირდა.

საქმის გამოძიებოს მიმდინარეობას გამოეხმაურნენ[279] არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი შეშფოთებას გამოხატავენ შეწყალების კომისიის ყოფილი ხელმძღვანელის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე მაღალი თანამდებობის პირების და პოლიტიკოსების არაჯანსაღი რეაქციის გამო, ვინაიდან, საქმის დროულად და სრულყოფილად გამოძიებაზე განსაკუთრებული აქცენტების დასმის ნაცვლად, მათი მხრიდან გაკეთდა მითითებები კომისიის ყოფილი თავმჯდომარის მიმართ ცრუ დასმენის ბრალდებით შესაძლო პასუხისმგებლობაზე[280].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმდჯომარე ეკა ბესელია ამავდროულად არის საპროკურორო საბჭოს წევრი, რომლის შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს პროკურატურის პოლიტიკური გავლენისგან მთლიანად დაცლა და დამოუკიდებლობა წარმოადგენდა. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პროკურატურა იძიებს საქმეს ეკა ბესელიას მიერ განხორციელებულ სავარაუდო ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით, მისი საპროკურორო საბჭოს წევრად დარჩენა, წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს, რაზეც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სათანადო რეაგირება უნდა მომხდარიყო საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით. სამწუხაროდ ასეთი რეაგირება ამ ფაქტს არ მოჰყოლია, რაც სამართლიანად აჩენს კითხვებს გამოძიების მიუკერძოებლად და სამართლიანად მიმდინარეობის თაობაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა იმის საშუალებას, რომ შექმნილიყო დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტში, ვინაიდან საქმე სწორედ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან სავარაუდოდ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ეხება, რომელთან დაკავშირებითაც საზოგადოების ინტერესი საკმაოდ მაღალია. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 55-ე მუხლი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ერთ-

[278] <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/361309-irakli-shothadze-prokuraturis-mkhridan-ets-shetsyalebis-saqmis-chafarckhvaze-saubari-arastsoria.html?ar=A > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[279] <http://gdi.ge/ge/news/gancxadeba-patimarta-shewyalebis-processhi-shesadzlo-zewolis-faqtebtan-dakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[280] <http://rustavi2.com/ka/news/33883 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ერთ საფუძველს წარმოადგენს „ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს.“ სამწუხაროდ საქართველოს პარლამენტმა ამ მხრივაც გულგრილი დამოკიდებულება გამოიჩინა.

სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, კანონის უზენაესობის პრინციპი დემოკრატიის ქვაკუთხედია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სამართალდამცავთა მიერ საკუთარი ქცევის კანონთან შესაბამისობას. საჯარო მოსამსახურეები და განსაკუთრებით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, კანონის დამცველად უნდა გვევლინებოდნენ და არა მის დამრღვევად. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სამართალდამცავთა მიერ კანონის დარღვევის არაერთი ფაქტი, რომლებზეც სახელმწიფოს რეაგირება არაადეკვატური იყო.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია სამართალდამცავთა მხრიდან ადვოკატის ცემის ფაქტი. საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საგანგაშო შემთხვევა, როდესაც ადვოკატს პოლიციის განყოფილებაში დაცვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანის თვალწინ ფიზიკურად გაუსწორდნენ. ადვოკატის ცემის მიზეზი დაცვის სტრატეგიის არჩევა გახდა, რა დროსაც ადვოკატმა არასრულწლოვან ბრალდებულს დუმილის უფლების გამოყენება ურჩია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ ადვოკატის ცემაში პირადად პოლიციის განყოფილების უფროსი და მისი მოადგილე მონაწილეობდნენ.

სწორედ ამ ფაქტის გამო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2016 წლის 28 იანვრის რეზოლუციაში საქართველო მოხვდა იმ ქვეყნებს შორის სადაც ადამიანის უფლებადამცველთა დაცვის კუთხით მდგომარეობა გაუარესებულია. რეზოლუციაში საქართველო ამ კუთხით ისეთი ქვეყნების გვერდით არის მოხსენიებული, როგორიცა აზერბაიჯანი, თურქეთი და რუსეთი.[281]

თავდასხმა უფლებადამცველზე

2015 წლის 8 ნოემბერს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილებაში ადვოკატ გიორგი მდინარაძეზე ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. გ. მდინარაძე არის საზოგადოებრივი ადვოკატი, რომელიც 8 ნოემბერს, დაახლოებით 02:15 წუთზე, არასრულწლოვანი პირის ინტერესების დასაცავად პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა. დაკითხვის პროცესის დაწყებამდე გ.მდინარაძემ გამომძიებელს განუცხადა, რომ არასრულწლოვანი დუმილის უფლებას იყენებდა.

ადვოკატის მტკიცებით, სწორედ ეს ფაქტი გახდა მისი ფიზიკური შეურაცხყოფის მიზეზი, რომლის უშუალო მონაწილე იყო განყოფილების უფროსი ლაშა კვირკვაია რამდენიმე პოლიციელთან ერთად.[282] იმავე ღამით, გ.მდინარაძე დააკავეს ადმინისტრაციულ

[281] <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=22500&lang=en> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[282] <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/353458-advokati-giorgi-mdinaradze-fizikuri-sheurackhyofis-detalebs-ikhsenebs.html?ar=A> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, რომელიც პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს. თბილისის პროკურატურამ ადვოკატის ცემის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) დაიწყო.[283] პარალელურად მოკვლევას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციაც.

ადვოკატის მიმართ სავარაუდო ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც და მოითხოვეს გამჭვირვალე და ეფექტური გამოძიების ჩატარება და დამნაშავეების ადეკვატური დასჯა.[284] 10 ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი ლ.კვირკვაია ადვოკატ გ.მდინარაძის ცემის ფაქტზე გამოძიების დასრულებამდე თანამდებობიდან გათავისუფლდა,[285] ხოლო 13 ნოემბერს იგი ბრალდებულის სახით დააკავეს ზემოაღნიშნულ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით.[286] მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავ მოითხოვენ ცემის ფაქტში მონაწილე ყველა პირის გამოვლენას და სათანადოდ დასჯას. 29 დეკემბერს კი თბილისის საქალაქო სასამართლომ ლ.კვირკვაიას აღკვეთის ღონისძიების სახე – პატიმრობა გირაოთი შეუცვალა და იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.[287]

უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების კონკრეტული შემთხვევები

- 2015 წლის 26 თებერვალს, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანში მცხოვრებმა ზურაბ ნონიაშვილმა ახმეტის პოლიციის უფროსი, ზურაბ უძილაური ცემასა და შანტაჟში დაადანაშაულა.[288] როგორც ზ. ნონიაშვილმა მედია საშუალებებს განუცხადა, პოლიციის უფროსმა ის ჯერ სოფლის სკოლის ეზოში სცემა, შემდეგ კი დაკავებითა და იარაღის „ჩადებით“ დაემუქრა. თელავის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, რომელმაც ზურაბ ნონიაშვილი დროებითი მოთავსების იზოლატორში მოინახულა, პაციენტს სახის არეში სილურჯეები აღენიშნებოდა. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ მიერ 2015 წლის 5 აგვისტოს გაგზავნილი მოთხოვნის პასუხად, 2015 წლის 26 ნოემბერს შსს-მ შეგვატყობინა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ ეცნობა კახეთის საოლქო პროკურატურას, თუმცა დაიწყო თუ არა გამოძიება შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან არ იკვეთება. ახმეტის პოლიციის უფროსის მიერ ზ.

---

283 <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/8998> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
284 <http://gdi.ge/ge/news/giorgi-mdinaradzis-saqme-prokuraturam-swrafad-da-obieqturad-unda-gamoidzios.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
285 <http://news.ge/ge/news/story/159006-advokatis-tsemis-faqttan-dakavshirebit-vake-saburtalos-sammartvelos-me-5-ganyofilebis-ufrosi-tanamdebobidan-gatavisuflebulia > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
286 <http://news.ge/ge/news/story/159704-advokatis-tsemis-faqtze-dakavebul-lasha-kvirkvaias-sasamartlom-aghkvetis-ghonisdziebis-sakhit-patimroba-sheufarda > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
287 <http://www.tabula.ge/ge/story/103330-advokat-giorgi-mdinaradzis-cemashi-braldebuli-giraos-sanacvlod-gaatavisufles
288 <http://ick.ge/rubrics/humanrights/20990-i.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ნონიაშვილის ცემასა და მუქარასთან დაკავშირებით პროკურატურას კომენტარი არ გაუკეთებია.

- ყოფილი პატიმრის გ. დარახველიძის თქმით, 7 მარტს იგი საჭეს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა, როდესაც საპატრულო პოლიციამ გააჩერა. მას საპატრულო პოლიციის წევრებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც პოლიციის განყოფილებაშიც გაგრძელდა. გიორგი დარახველიძეს საავადმყოფოში მიყვანისას ტვინის შერყევა და სხეულის დაჟეჟილობები აღენიშნებოდა. საქმე პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით აღიძრა. დარახველიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა.[289] ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ საქმეზე ინფორმაცია არ გადმოუცია.
- 2015 წლის 9 მარტს, გორის რაიონის სოფელ ვარიანში გენადი და ხათუნა ზუბაშვილების ოჯახში, დაახლოებით 22:00 საათზე მივიდნენ პოლიციელები, რომლებმაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ძალის გამოყენებით სცადეს გენადი ზუბაშვილის პოლიციის განყოფილებაში წაყვანა. გ. ზუბაშვილმა შეძლო ეზოში მიმალვა, ხოლო პოლიციელებმა მის ნაცვლად მისი მეუღლე, ხათუნა ზუბაშვილი და ქალიშვილი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც სამი საათის განმავლობაში კითხავდნენ. კითხვები 2011 წელს მათი შვილის გარდაცვალების გარემოებებს ეხებოდა. აშკარაა, რომ გენადი ზუბაშვილის პოლიციის განყოფილებაში დაუყოვნებელი გადაყვანა აუცილებლობას არ წარმოადგენდა. პოლიციის თანამშრომლებს შეეძლოთ, შეტყობინება გადაეცათ მისთვის და ამ გზით გამოეძახათ ზუბაშვილი განყოფილებაში. ამასთან, პოლიციის თანამშრომლებს არ განუმარტავთ, კონკრეტულად რა საქმესთან დაკავშირებით მიჰყავდათ ზუბაშვილები განყოფილებაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ადასტურებენ.[290]
- 2015 წლის 21 მაისს, გვიან ღამით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინში პოლიციის თანამშრომლებმა ჭაბუკა ჭაბუკაძე დააკავეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ, რის შედეგადაც ჭაბუკაძე ტვინის შერყევით, სხეულის დაჟეჟილობებით და კისერზე მიყენებული დაზიანებებით გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში მოათავსეს.[291] როგორც შსს-ს მიერ 2015 წლის 26 ნოემბერს „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივისათვის“ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა ზემოაღნიშნული ფაქტის შესახებ ეცნობა კახეთის საოლქო პროკურატურას, თუმცა დაიწყო თუ არა გამოძიება მოწოდებული ინფორმაციიდან არ იკვეთება. პროკურატურაში კი განმარტეს,[292] რომ აღნიშნულ საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა, რადგან მათთვის არავის მიუმართავს, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით პროკურატურა ვალდებულია დაიწყოს გამოძიება დანაშაულის

---

[289]<http://rustavi2.com/ka/news/11259http://www.tabula.ge/ge/story/93521-kofili-patimari-giorgi-daraxvelidze-policilebs-mis-cemashi-adanashaulebs ; < http://tinyurl.com/jz4vdwo > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[290]<http://tinyurl.com/jjkbull>; <http://www.qartli.ge/ge/portal/news/1129/> http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18183&lang=geo > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[291] <http://ick.ge/rubrics/humanrights/21893-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[292] <http://ick.ge/rubrics/humanrights/21909-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

სავარაუდო ნიშნების შემცველი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ინფორმაციის წყაროს მიუხედავად.

- ადამიანის უფლებების ცენტრის ცნობით, 2015 წლის 28 მარტს, ოთხმა პოლიციელმა ძველი თბილისის რაიონული პოლიციის მე-3 განყოფილებაში სასტიკად სცემეს თორნიკე მარგიანი. ამ უკანასკნელის დედის, ნატა თარხან-მოურავის განმარტებით, მისი შვილი სპეციალურად შეიყვანეს პოლიციის განყოფილების ისეთ ოთახში, სადაც სათვალთვალო კამერები არ იყო დამონტაჟებული.
- 9 მაისს, თბილისში, გურამიშვილის გამზირზე მოხდა პოლიციელთა მხრიდან შესაძლო ძალადობის კიდევ ერთი ფაქტი. ალექსანდრე ახალკაცის ცნობით იგი მეგობართან ერთად იყო, როდესაც სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პოლიციელები ფიზიკურად გაუსწორდნენ. ახალკაცის თქმით, ნახევარი საათის განმავლობაში მას გადაადგილება არ შეეძლო, რადგან პოლიციელთა წრეში იყო მოქცეული და სასტიკად სცემდნენ.

ორივე ფაქტზე გამოვითხოვეთ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან, თუმცა რა რეაგირება მოჰყვა აღნიშნულ ფაქტებს შესაბამისი ორგანოებიდან ჩვენთვის უცნობი დარჩა.

- 2015 წლის 2 ივლისს ტელეკომპანია „რუსთავი2"-მა გაასაჯაროვა ფარული ჩანაწერი, რომელიც მათ ბრალდებულების ფილიპე ბაბაიანის და არტურ ოგანეზიანის ნათესავებმა მიაწოდეს.[293] როგორც ცნობილი გახდა, 2015 წლის 5 აპრილს ფ. ბაბაიანი და ა. ოგანეზიანი პოლიციისთვის ჯგუფური წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს. დაკავების შემდეგ ერთ-ერთმა ბრალდებულმა მათზე პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალადობა მაჯის საათში ჩამონტაჟებული ვიდეოკამერით გადაიღო. ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ უსწორდებიან ფიზიკურად დაკავებულებს ჯერ დაკავების ადგილას და შემდეგ ძველი თბილისის პოლიციის პირველი განყოფილების შენობაში. პოლიციის შენობაში დაკავებულების მიმართ ფიზიკური ძალადობა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბრალდებულების ახლობლების განცხადებით, დაკავების მიზეზი პოლიციის ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან ეთნიკურ ნიადაგზე სიტყვიერი შელაპარაკება გახდა.

აღნიშნულ ფაქტს არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივი განცხადებით გამოეხმაურნენ.[294] განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელმომწერი ორგანიზაციები უკიდურეს შეშფოთებას გამოხატავენ პოლიციის დაწესებულებაში სავარაუდო ეთნიკურ ნიადაგზე არასათანადო მოპყრობის შემთხვევასთან დაკავშირებით. ორგანიზაციებმა მოუწოდეს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს, ჩატარებულიყო ფაქტის მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება, ასევე, საჭიროდ მიაჩნდათ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უზრუნველეყო ბრალდებულების უსაფრთხოება, ხოლო სახალხო დამცველს ამ პირთა რეგულარული მონახულება და მათი უსაფრთხოების ადგილზე შემოწმება/მონიტორინგი.

- 2015 წლის 5 ივლისს, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ყვარლის პოლიციის უფროსი და სხვა თანამშრომლები ყვარელში მცხოვრებ 32 წლის ოთარ სეფაშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ.[295] ო.სეფაშვილის ძმის განმარტებით, პოლიციელებმა

[293] <http://rustavi2.com/ka/news/20272> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[294] <http://gdi.ge/ge/news/arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[295] <http://rustavi2.com/ka/news/20464> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დაზარალებულს სახლში მიაკითხეს, საიდანაც იგი ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაიყვანეს, ამის შემდეგ სამართალდამცველები ო.სეფაშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ და ცემის დროს ყურის აპკი დაუზიანეს, რის გამოც საჭირო გახდა დაკავებულის გადაყვანა ყვარლის საავადმყოფოში. დაკავებულის ადვოკატი პროცედურულ დარღვევებზეც მიუთითებს და ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ადგილსამყოფელი დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო და პოლიციელებმა მას არ მისცეს ო. სეფაშვილთან შეხვედრის საშუალება.

- 6 ივლისს კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებ-გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომლიც მიხედვითაც თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ სანიორეში მცხოვრები 56 წლის გურამ მელიქიშვილი პოლიციის თანამშრომლებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს.[296] გ.მელიქიშვილის განცხადებით, პოლიციაში მას მოსთხოვეს ეღიარებინა, რომ მდინარე ალაზანზე უკანონოდ თევზაობდა, რაზეც მან უარი თქვა. ამის შემდეგ მას ფიზიკურად გაუსწორდნენ და პატიმრობით დაემუქრნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება პროკურატურამ უკვე დაიწყო.
- 7 ივლისს, ყვარლის პოლიციის თანამშრომლები ფიზიკურ ძალადობაში კიდევ ერთმა მოქალაქემ დაადანაშაულა.[297] ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში მცხოვრები 28 წლის კოხტა ვარდაშვილის თქმით, ყვარლის პოლიციის თანამშრომლები მასზე ფიზიკურად ძალადობდნენ, თავში ურტყამდნენ და აიძულებდნენ, მათთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მის სოფელში მარიხუანას მომხმარებლების შესახებ. პოლიციის შენობიდან გამოსვლისას სამართალდამცავებმა მას პოლიციის უფროსის მოადგილის გიორგი ერგეშიძის ტელეფონის ნომერი მისცეს და ორ დღეში შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დაავალეს.
- 7 ივლისს თბილისში, კუს ტბის ტერიტორიაზე მდებარე კლუბ „ვიტამინის“ მენეჯერმა, ლიკა კიკიანმა, ვიდეომიმართვა გაავრცელა. ლ.კიკიანის მტკიცებით, 6 ივლისის ღამეს კუს ტბაზე პოლიციელებმა სცემეს და ტელეფონი დაუმტვრიეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ამ ინფორმაციის საფუძველზე მოკვლევა მალევე დაასრულა და დაასკვნა, რომ ლ.კიკიანის ცემის ფაქტი არ დასტურდება.[298] მოგვიანებით ლ.კიკიანის მიმართვის საფუძველზე გამოძიება თბილისის პროკურატურამ დაიწყო.[299]
- მოქალაქე ედუარდ სარქისიანმა რუსთავის პოლიციის სამმართველოს უფროსი და მისი თანამშრომლები ფიზიკურ ძალადობაში დაადანაშაულა.[300] როგორც სარქისიანმა განაცხადა, 2015 წლის 1 აგვისტოს იგი სახლიდან მეზობელმა პოლიციელმა მოტყუებით გამოიყვანა და იძულებით მიიყვანა პოლიციის განყოფილებაში. ე.სარქისიანის განცხადებით, პოლიციის უფროსმა მოსთხოვა ეღიარებინა ქურდობა, რომელიც მას არ ჩაუდენია. უარის მიღების შემდეგ კი იგი სასტიკად სცემეს. დაზარალებულს სხეულზე მრავლობითი დაზიანებები

---

[296] <http://ick.ge/rubrics/humanrights/22681-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[297] <http://rustavi2.com/ka/news/20464> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[298] <http://www.tabula.ge/ge/story/97948-shss-policielebis-mier-lika-kikianis-cemis-faqti-ar-dasturdeba> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[299] <http://www.tabula.ge/ge/story/97977-prokuraturam-lika-kikianis-mimartvis-safudzvelze-gamodzieba-daitsko> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[300] <http://rustavi2.com/ka/news/22984 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

აღენიშნებოდა. ორივე ფეხზე ჩაუტარდა ოპერაცია, რის შემდეგაც გადაადგილება დროებით შეეზღუდა. დაზარალებულის თქმით, ინციდენტის შემდეგ მასთან პოლიციის და პროკურატურის თანამშრომლები მივიდნენ და ხელი მოაწერინეს დოკუმენტებზე, რომელთა შინაარსიც ხელისმოწერის დროს მისთვის არ გაუცნიათ. როგორც შემდგომ გაირკვა, ხელმოწერით ე.სარქისიანმა დაადასტურა, რომ სხეულზე დაზიანებები მან პოლიციის შენობაში კიბიდან დაგორების შედეგად მიიღო.

- მოქალაქე ვლადიმერ ბარათაშვილმა ისანი-სამგორის და ვარკეთილის პოლიციის სამმართველოების თანამშრომლები ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში დაადანაშაულა.[301] ბარათაშვილის განმარტებით, იგი 3 აგვისტოს, თბილისში, ე.წ. აფრიკის დასახლებაში დააკავეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ისანი-სამგორის რაიონის მთავარ სამმართველოში წაიყვანეს, სადაც სამმართველოს უფროსის მოადგილემ და ერთ-ერთი პოლიციის განყოფილების უფროსმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. შემდეგ იგი ვარკეთილის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც მის მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა განაგრძეს. ვ.ბარათაშვილის თქმით, პოლიციელები, ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, ცოლისა და დის გაუპატიურებითაც ემუქრებოდნენ. პოლიციელები მისგან მოითხოვდნენ, ეღიარებინა ძარცვა, რომელიც მას არ ჩაუდენია.

სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს პოლიციის თანამშრომლების მიერ ბრალდებულ ვ.ბარათაშვილის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა. [302]

მომხდარს გამოეხმაურნენ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე და არასამთავრობო სექტორი.[303] უფლებადამცველები მომხდარს გმობენ და ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც იქნება მსგავსი ფაქტების მიუკერძოებელი და ობიექტური გამოძიების გარანტი.

- მოქალაქე ვლადიმერ გორგაძემ სამართალდამცველები ძალის გადამეტებაში დაადანაშაულა.[304] ვ.გორგაძე ყვება, რომ მას დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე სოფელ გორელოვკაში მოპარეს ხარები, რომლებიც მეორე დღეს მეზობელ ფერმაში დაკლული იპოვეს. შემთხვევის შესახებ მან ნინოწმინდის პოლიციას იმავე დღეს შეატყობინა, თუმცა ვ.გორგაძის განცხადებით, პოლიციამ დამნაშავის ნაცვლად ის თავად დააკავა. მასთან ერთად სამართალდამცველებმა მისი შვილი და ორი სიძეც დააკავეს, რომლებსაც, ვ. გორგაძის თქმით, პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე მუქარით და შანტაჟით დანაშაულის აღიარებას აიძულებდნენ.

პოლიციის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს ვ.გორგაძის სიძე ელდარ ვანაძეც, რომელიც აცხადებს, რომ ნინოწმინდის პოლიციაში 8 საათის განმავლობაში იყო დაკავებული და მას

[301] <http://ick.ge/rubrics/humanrights/23104-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[302] <http://ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-saqartvelos-mtavar-prokurors-vb-s-mimart-savaraudo-arasatanado-mopyrobis-taobaze.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[303] <http://humanrights.ge/blue/index.php?a=text&pid=18419&lang=geo> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[304] <http://rustavi2.com/ka/news/24568 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

სიტყვიერად და ფიზიკურად თავად პოლიციის უფროსი გაუსწორდა. დაზარალებულების განცხადებით, პირები, ვინც ხარები მოიპარეს და დაკლეს, ამავე სოფელში ცხოვრობენ, თუმცა მათ გამოძიება ხელს აფარებს.

- ზუგდიდში, ცეცხლსასროლი ჭრილობისგან გარდაცვლილი რუზგენ ჩუხუას ოჯახმა პოლიციის სამმართველოს უფროსი თვითმკვლელობამდე მიყვანაში დაადანაშაულა. რ.ჩუხუა საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ექიმის განმარტებით, 44 წლის მამაკაცს ჭრილობა გულის არეში ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდა მიყენებული. ოჯახის განმარტებით, რ.ჩუხუა 31 აგვისტოს დილით დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსმა, თავის სიძესთან ერთად, გაიყვანა სახლიდან, რადგან გარდაცვლილს მათი ვალი ჰქონდა. რ.ჩუხუას მეუღლის ინფორმაციით, მამაკაცი ჭიშკართან თავისივე მანქანით პოლიციის სამმართველოს უფროსმა უკვე გარდაცვლილი მიიყვანა.[305]

- 2015 წლის 8 სექტემბერს ქ. თბილისში, სანქტ-პეტერბურგის ქუჩაზე პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა. მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნულ ფაქტს შეესწრნენ, აცხადებენ, რომ სამართალდამცავებმა უფლებამოსილებას გადაამეტეს. ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ნიკა მემანიშვილი, რომელიც ასევე ადგილზე იმყოფებოდა აცხადებს, რომ სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება სპეცოპერაციის შემსწრე მოქალაქეთა მიმართ აგრესიაში, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გამოიხატა.

- 23 სექტემბერს ცნობილი გახდა სუს-ის თანამშრომლების მიერ არასრულწლოვნის უკანონოდ დაკავების ფაქტი: 16 წლის გოგონა აცხადებს, რომ 2015 წლის 26 აგვისტოს, საღამოს, იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა გაიტაცეს და მთელი ღამის განმავლობაში „მოდულის“ შენობაში ჰყავდათ. გოგონას თქმით, მას იძულებით აყურებინეს ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლების მიერ ადამიანებისთვის თავის მოკვეთის ამსახველი ვიდეომასალა. არასრულწლოვნის განცხადებით, სუს-ის წარმომადგენლები მისგან ითხოვდნენ, ეღიარებინა, რომ მან იცოდა მისი ძმის განზრახვის შესახებ სირიაში წასვლასთან დაკავშირებით. გოგონას ძმა, დავით ფირისებია, ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების ბრალდებით არის დაპატიმრებული. არასრულწლოვანი გოგონას დეიდა, სევა ფირისებია, აღნიშნავს, რომ მის დისშვილს მომხდარის შემდეგ ნორმალურად ვეღარ სძინავს. გოგონა სამსახურიდანაც გაათავისუფლეს. კაფე-ბარის მეპატრონის თქმით – „მას პრობლემები არ სჭირდებოდა“. არასამთავრობო სექტორმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს და სთხოვა, პროკურატურას აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება დაეწყო, თუმცა გამოძიების დაწყების თაობაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა.[306]
- საქართველოს შსს-ს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული ბრალდებულის ო.რ.-ს განცხადებით, შსს-ს თანამშრომლებმა

[305] <http://rustavi2.com/ka/news/25067> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[306] <http://ick.ge/articles/23856-i.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

2015 წლის 13 ოქტომბერს დაკავების შემდეგ ავტომანქანაში ჩასვეს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. სახალხო დამცველის რწმუნებულის განცხადებით, მას, მართლაც, აღენიშნებოდა დაზიანებები. ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა.[307]

- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირკოკში მცხოვრებმა 19 წლის ვლადი ელიკაშვილმა შსს-ს გურჯაანის რაიონული სამმართველოს უფროსს გიორგი კრაწაშვილი, მისი მოადგილე და რამდენიმე თანამშრომელი ცემაში დაადანაშაულა.[308] დაზარალებულის განცხადებით, 2015 წლის 29 ოქტომბერს პოლიციის შენობის ეზოში ის უკანონოდ დააკავეს, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლები ფიზიკურად გაუსწორდნენ. ვ.ელიკაშვილის თქმით, მასზე ფიზიკური ძალადობა დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ ვ.ელიკაშვილი მომხდარს უკავშირებს თავის სიძეს გ.ნაცვლიშვილს, რომელიც გურჯაანის სამმართველოს უფროსთან გ.კრაწაშვილთან უთანხმოების გამო სამუშაოდ სიღნაღის პოლიციაში გადავიდა. 5 ნოემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოწმის სტატუსით დაიკითხნენ ის პირები, რომელთაც ვ.ელიკაშვილი ცემაში ადანაშაულებს – პოლიციის უფროსის მოადგილეები გ.დარეჯანაშვილი, შ.მოსულიშვილი და დეტექტივ-გამომძიებელი გ. აფციაური. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, საქმის გამოძიებას პროკურატურა აწარმოებს და, თუ დანაშაული ან რაიმე სახის გადაცდომა გამოიკვეთა, ყველა პირი, განსაკუთრებით კი პოლიციის უფროსი, ადეკვატურად დაისჯებოდა.[309]

ზემოთ განხილული შემთხვევები აჩვენებს, რომ ქვეყანაში მძაფრად დგას სამართალდამცავთა მხრიდან საკუთარი უფლებამოსილების ფარგლების გაცნობიერების პრობლემა. საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ათობით ფაქტი და ინტენსივობა საზოგადოებაში აჩენს დაუცველობის განცდას და სერიოზულ ზიანს აყენებს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ მოქალაქეების ნდობას. აღნიშნული კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქვეყანაში დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობის საკითხს. ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის ჩნდება ეჭვი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საკუთარი თანამშრომლების წინააღმდეგ მიუკერძოებელი გამოძიების წარმოების და სამართალდამრღვევი პოლიციელების დაუსჯელობის თაობაზე.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი

საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის ზემოთ განხილულმა სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების გახშირებულმა ფაქტებმა და ციხეებში სისტემურმა პრობლემებმა, რა დროსაც ადგილი ჰქონდა პატიმრების წამებასა და

---

[307] <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/winadadeba-saqartvelos-mtavar-prokurors-braldebulis-mimart-ganxorcielebul-shesadzlo-arasatanado-mopyrobastan-dakavshirebit.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[308] <http://ick.ge/articles/24509-i.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[309] <http://ick.ge/articles/24509-i.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

არაადამიანურ მოპყრობას ცხადყო, რომ სახეზეა სისტემური დანაშაულის მკაფიო ნიშნები და აუცილებელია მასთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა. ასეთი მექანიზმების შექმნას ამყარებს ის გარემოებაც, რომ პროკურატურის მხრიდან უმეტეს შემთხვევაში სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიება მიმდინარეობს არაეფექტურად და მიკერძოებულად. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად ბოლო პერიოდში წინა პლანზე წამოიწია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა. საქართველოს წლებია ასეთი მექანიზმის შექმნისკენ მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი. კერძოდ, დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნისკენ საქართველოს ხელისუფლებას პირველად 2005 წელს მოუწოდა გაეროს წამების, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობის შესახებ სპეციალურმა მომხსენებელმა მანფრედ ნოვაკმა. იგივე გაიმეორა ტომას ჰამერბერგმა 2011 და 2013 წლებში ჯერ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრისა და შემდგომ საქართველოს მთავრობის მრჩევლის რანგში.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის იდეა გულისხმობს ისეთი ორგანოს არსებობას, რომელიც არ იქნება არცერთი სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება, იგი ანგარიშვალდებული უნდა იყოს მხოლოდ პარლამენტის წინაშე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დისტანცირება საქართველოს პროკურატურისგან. დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმის იურისდიქციის/განსჯადობის სფერო უნდა გავრცელდეს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე.

2015 წლის 25 თებერვალს ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველო“ საგამოძიებო მექანიზმის შექმნის კონცეფცია და საკანონმდებლო პროექტის ვერსია წარმოადგინა.[310] ფონდის მიერ მოწვეულმა ექსპერტებმა შეისწავლეს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა და წარმოადგინეს საქართველოს რეალობისთვის მაქსიმალურად ოპტიმალური და ეფექტური მექანიზმის მოდელი. აღნიშნულმა კანონპროექტმა ექსპერტიზა გაიარა საერთაშორისო დონეზე და მანფრედ ნოვაკმა, გაეროს წამების, ღირსების შემლახავი და არაადამიანური მოპყრობის შესახებ სპეციალურმა ყოფილმა მომხსენებელმა დადებითი შეფასება მისცა მას. საერთაშორისო ექსპერტმა იგი ევროპის მასშტაბით ერთ-ერთ საუკეთესო მოდელად მიიჩნია.[311]

დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმზე მსჯელობისას შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, საგამოძიებო მექანიზმის იურისდიქცია, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია, საგამოძიებო მექანიზმის ხელმძღვანელის (კომისრის) არჩევის და გათავისუფლების საკითხი, ანგარიშვალდებულება და სხვა.

[310] <http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=4070> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[311] < http://www.osgf.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=15&info_id=4414 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის იურისდიქცია

კანონპროექტის მიხედვით დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს ენიჭება ორი სახის იურისდიქცია: *ექსკლუზიური და უპირატესი (დისკრეციული).*

ექსკლუზიური იურისდიქციის ქვეშ ექცევა შემთხვევა, როდესაც სავარაუდოდ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსის 144[1]-ე, 144[2]-ე, 144[3]-ე (წამება, არაადამიანური მოპყრობა) ან/და 335-ე (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება) მუხლებითა ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პენიტენციურ დაწესებულებაში ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით) გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა ან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ცემა, ძალადობა, დამცირება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ხელყოფა იმ პირის მიმართ, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ეფექტური კონტროლის ქვეშ.

ასევე, თუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ (მათ შორის, როდესაც ქმედების ჩადენის დროს პირი ახორციელებდა სამართალდამცველის უფლებამოსილებას ან ქმედების ჩადენა უფლებამოსილების განხორციელების დაწყებამდე მოხდა და ფაქტის გასაჯაროების დროისთვის პირი ახორციელებდა სამართალდამცველის უფლებამოსილებას ან ქმედების ჩადენა უფლებამოსილების განხორციელების დროს მოხდა, მაგრამ ფაქტის გასაჯაროების დროისთვის პირი აღარ ახორციელებდა სამართალდამცველის უფლებამოსილებას) და დანაშაულს შედეგად მოყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის მძიმე, დაზიანება, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის ხელყოფა ან სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე, 144[1]-ე, 144[2]-ე, 144[3]-ე ან/და 335-ე მუხლებითა ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის ვერსიის თავდაპირველ ვარიანტში მექანიზმის ექსკლუზიურ იურისდიქციას ასევე მიეკუთვნებოდა სსკ-ის 126[1] (ოჯახური ძალადობა) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებაც, თუმცა კანონპროექტის ამჟამინდელი ვერსია ამ მუხლზე იურისდიქციას აღარ ავრცელებს.

რაც შეეხება უპირატეს (დისკრეციულ) იურისდიქციას, საგამოძიებო მექანიზმს შეუძლია დაიქვემდებაროს და შესაბამისად გამოიძიოს/სისხლისსამართლებრივი დევნა აწარმოოს ნებისმიერ დანაშაულზე თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ან ბრალდების მხარდაჭერის პროცესში სახეზე იქნება ინტერესთა კონფლიქტი.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომპეტენცია

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომპეტენციას განეკუთვნება გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერა.

კანონპროექტის პრეზენტაციისასაც გაიჟღერა და შემდეგი დისკუსიის საგნადაც იქცა საგამოძიებო მექანიზმისთვის გამოძიების ფუნქციასთან ერთად სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მინიჭების საკითხმა.

2016 წლის 22 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრმა კატეგორიული უარი განაცხადა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მინიჭების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლება არასდროს იყო მომხრე მეორე პროკურატურის შექმნისა. თეა წულუკიანის განცხადებით საგამოძიებო მექანიზმი უნდა შეიქმნას პროკურატურის შემადგენლობაში და მას უნდა ჰქონდეს მხოლოდ გამოძიების უფლება.[312] იუსტიციის მინისტრი მიიჩნევს, რომ პროკურატურა გაჯანსაღების მიმართულებით მიდის და ის ვერ ხედავს ქვეყანაში მეორე დევნის ორგანოს არსებობის საჭიროებას.[313]

იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, ალექსანდრე ბარამიძე დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს განიხილავს პროკურატურის ზედამხედველი ორგანოდ, რაც მისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია ფუნდამენტური, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მექანიზმის საგამოძიებო საქმიანობაზე ზედამხედველობას და სისხლისსამართლებრივ დევნა პროკურატურა განახორციელებს მას ყოველთვის ექნება ბერკეტი შეცვალოს საქმის კვალიფიკაცია, რაც ავტომატურად გამორიცხავს საქმეს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ქვემდებარეობიდან.

რაც შეეხება დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს, როგორც პროკურატურის ზედამხედველ ორგანოს, ეს არ შეესაბამება სიმართლეს. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი არ იქნება პროკურატურის ზედამხედველი ორგანო, არც უფრო მეტი უფლებამოსილება ექნება ვიდრე პროკურატურას. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი პროკურატურის პარალელურად იქნება გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო. მათ შორის განსხვავება იქნება მხოლოდ სპეციფიკური იურისდიქცია და მეტი დამოუკიდებლობის გარანტიები, რაც უზრუნველყოფს საგამოძიებო მექანიზმის იურისდიქციას მიკუთვნებულ დანაშაულების გამოძიებაზე მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის მაღალ ხარისხს.

[312] http://www.radiotavisupleba.ge/content/diskusia-damoukidebeli-sagamodziebo-organos-shesakheb/27566839.html
[313] http://netgazeti.ge/news/96777/

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ხელმძღვანელი

კანონპროექტით დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმს ხელმძღვანელობ - კომისარი. კომისარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: იგი უნდა იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, გააჩნდეს ადამიანის უფლებათა, კანონის უზენაესობის დაცვის სფეროში მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება, სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით და მორალური რეპუტაციით. პირი არ შეიძლება აირჩეს კომისრად, თუ იგი ბოლო 3 წლის განმავლობაში მუშაობდა პროკურორად ან გამომძიებლად. იგი არ უნდა ახორციელებდეს თანამდებობასთან შეუთავსებელ საქმიანობას. კომისარს შეარჩევს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების 9 წარმომადგენლისგან შემდგარი საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული კომისია. კომისია შეარჩევს მინიმუმ სამდ და არაუმეტეს ხუთ კანდიდატს. ამ კანდიდატებიდან ორს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, რომელიც სიითი შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ით, 7 წლის ვადით, ირჩევს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარს.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე. კომისარი წელიწადში ორჯერ, საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიაზე ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პროკურატურის რეფორმა

2015 წლის 28 სექტემბერს ძალაში შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონში „პროკურატურის შესახებ“. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მთავრობის მიზანი იყო, ცვლილების შემუშავებისას გაეთვალისწინებინა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული დასკვნები და რეკომენდაციები პროკურატურის სისტემის ხარვეზებისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ. პროკურატურის ძირეული რეფორმირების ფუნდამენტური მიზანი იყო პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერება და პოლიტიკური მმართველობისგან დისტანცირების უზრუნველყოფა. წინამდებარე მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა მთავარი პროკურორის შერჩევის წესი უნდა ყოფილიყო. თუმცა მოქმედი მთავარი პროკურორის შერჩევის მოდელი პოლიტიკური გავლენებისგან სრულად დაცული არ არის და მასში პოლიტიკური ხელისუფლების მონაწილეობა კვლავ მაღალია. კვლავ იუსტიციის მინისტრის ხელში რჩება მთავარი პროკურორის ნომინირების უფლება. ასევე, უარყოფითად უნდა შეფასდეს მთავრობის მხარდაჭერის უფლება. მთავარი პროკურორის შერჩევაში პოლიტიკური ხელისუფლების ამ დოზით მონაწილეობა პროცესებს პოლიტიკურ ხასიათს უნარჩუნებს. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ნოვაციური ცვლილებების, როგორიცა საპროკურორო საბჭოს, პროკურორთა კონფერენციის შემოღება, პროკურატურის რეფორმირების ფუნდამენტური მიზანი არ განხორციელებულა.

პროკურატურის რეფორმირების კანონპროექტი შეიმუშავა საქართველოს მთავრობამ, იუსტიციის სამინისტროს ავტორობით. ცვლილებების მნიშვნელოვანი ნოვაციაა, საპროკურორო საბჭოს შექმნა, რომლის შემადგენლობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სამოქალაქო სექტორის მიერ განსაზღვრული პირებიც შევიდნენ. საბჭოს ძირითადი ფუნქციებია: საგანგებო (ad hoc) პროკურორის დანიშვნა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში მთავარი პროკურორის კანდიდატურის დამტკიცება და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მთავრობისა და პარლამენტისთვის წინადადებით/წარდგინებით მიმართვა; მთავარი პროკურორის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება; პროკურატურის ორგანოთა საქმიანობის შესახებ მთავარი პროკურორის/მთავარი პროკურორის მოადგილის ანგარიშის მოსმენა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება. საპროკურორო საბჭოს ხელმძღვანელობს იუსტიციის მინისტრი.

საპროკურორო საბჭოსთან ერთად შეიქმნა საპროკურორო კონფერენცია, რომელიც საქართველოს პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კრებას წარმოადგენს. კონფერენციის უფლებამოსილება საპროკურორო საბჭოს პროკურორი წევრების არჩევაა.

კანონპროექტის თანახმად, მთავარი პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება 6 წლის ვადით და აკრძალულია აღნიშნულ პოზიციაზე ერთი და იმავე პირის ზედიზედ ორჯერ არჩევა. კანონპროექტი განსაზღვრავს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესს და პროცედურას, რომელშიც ჩართულია როგორც საპროკურორო საბჭო, ასევე მთავრობა და პარლამენტი. მთავარი პროკურორის კანდიდატურის შესარჩევად საქართველოს იუსტიციის მინისტრი კონსულტაციებს მართავს აკადემიურ წრეებთან, სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან და სამართლის დარგის სპეციალისტებთან. კონსულტაციების შემდეგ იუსტიციის მინისტრი შეარჩევს და საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სამ კანდიდატს, რომელთაგან მინიმუმ ერთი ქალი უნდა იყოს. ამ უკანასკნელთაგან საპროკურორო საბჭო ხმათა მარტივი უმრავლესობით ამტკიცებს ერთ კანდიდატს. დამტკიცებულ კანდიდატს იუსტიციის მინისტრი თანხმობის მისაღებად დაუყოვნებლივ წარუდგენს საქართველოს მთავრობას, რომელიც ორი კვირის ვადაში თანხმობას აცხადებს ან უარს ამბობს მთავარი პროკურორის კანდიდატურაზე. უარის შემთხვევაში იუსტიციის მინისტრი წარადგენს სხვა კანდიდატს. თანხმობის შემთხვევაში კანდიდატი დაუყოვნებლივ წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს მას. თუ პარლამენტი კანდიდატს ვერ აირჩევს, შერჩევის პროცედურები ხელახლა იწყება.
გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებებით შემოდის საგანგებო (ad hoc) პროკურორის ინსტიტუტიც, რომელიც დაინიშნება იმ შემთხვევაში, თუ იარსებებს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მთავარმა პროკურორმა დანაშაული ჩაიდინა. საგანგებო (ad hoc)

პროკურორის ფუნქციაა მთავარი პროკურორის ბრალეულობის თაობაზე დასკვნის მომზადება და საპროკურორო საბჭოსათვის მისი წარდგენა.

მთავარი პროკურორის დანიშვნის წესის კრიტიკის გარდა, არასამთავრობო სექტორი უარყოფითად აფასებს საპროკურორო საბჭოში იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელ პოზიციას და მისი დაკომპლექტების წესს. ასევე, კრიტიკულადაა შეფასებული პროკურატურის ანგარიშვალდებულების დაწესება საპროკურორო საბჭოს მიმართ. ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ აუცილებელია საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება და პროკურატურის სისტემის დახვეწა საკანონმდებლო ორგანოს მიმართ.[314]

[314] <http://emc.org.ge/2015/04/21/prokuraturis-reformis-koncepcia/ > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

იუსტიციის უმაღლესი საბჭო და მოსამართლეთა დანიშვნა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „საბჭო“), ორგანო, რომელიც სასამართლო სისტემის ადმინისტრირების უმთავრეს რგოლს წარმოადგენს, 2015 წელს საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. საანგარიშო წლის პირველ ნახევარში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გამოწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის (რომელიც ამავდროულად თავმჯდომარეობს საჭოს) არჩევის პროცესის გამო.
ამ პროცესმა გარკვეულწილად დაბრკოლება შეუქმნა საბჭოს გამართულ ფუნქციონირებას და მოსამართლეთა შერჩევის ფუნქციის განხორციელებისას კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, რომელიც წლების განმავლობაში ახორციელებს სასამართლოში მიმდინარე პროცესების მონიტორინგსა და ანალიზს, გარკვეული ნაკლოვანებები გამოავლინა. კერძოდ, 2015 წლის 17 თებერვალს საბჭომ უარი თქვა მოსამართლეობის კანდიდატთა დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრის ჩატარებაზე საბჭოს ახალი თავმჯდომარის დანიშვნამდე იმ მოტივით, რომ აუცილებელი იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს/იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს გაენაწილებინა პასუხისმგებლობა მოსამართლეთა დანიშვნაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, კენჭისყრაში მონაწილეობს როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრი და მისი არყოფნა, შესაბამისი ქვორუმის არსებობის შემთხვევაში, არ აბრკოლებს საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებას, კოალიციამ მიიჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს მიერ ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლეთა დანიშვნის საკითხის განუხილველობა წინააღმდეგობაში მოდის საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს წევრთა მიერ მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების პრინციპთან[315] და ეჭვქვეშ დააყენა საბჭოს წევრთა შინაგანი დამოუკიდებლობა.

<u>გადაწყვეტილების მიღების პრობლემატიკა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში</u>

2012 წელის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მთავრობის ცვლილების შემდგომ, სასამართლო ხელისუფლების რეფორმა ახალი მთავრობის პრიორიტეტად იქცა. ხელისუფლებამ წარმოადგინა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ძირითადად იუსტიციის საბჭოს ახალი სახით დაკომპლექტებასა და მასზე გავლენის მოხდენის საშუალებას იძლეოდა. კანონმდებლობით საბჭო შედგება 15 წევრისაგან, მათგან 9

[315] <https://idfi.ge/ge/statement-of-coalition-for-an-independent-and-transparent-judiciary> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მოსამართლე წევრია, ხოლო 6 არამოსამართლე. თავდაპირველად საქართველოს პარლამენტი ირჩევდა საბჭოს დანარჩენ 6 არამოსამართლე წევრს, ხოლო მოგვიანებით (2013 წლის 9 სექტემბრის ცვლილებით) 1 წევრის დანიშვნის უფლება კვლავ დაუბრუნდა საქართველოს პრეზიდენტს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებებზე ვენეციის კომისიის მიერ გაკეთებულ დასკვნაში[316] მკაფიოდ იქნა მითითებული, რომ პარლამეტის მიერ კანდიდატთა არჩევისას უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ოპოზიციის ჩართულობა, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ არცერთი კანდიდატი, რომელიც ოპოზიციამ და სხვადასხვა ავტორიტეტულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წარადგინა, არ იქნა მხარდაჭერილი. ხოლო კანდიდატთა შერჩევა მოხდა ოპოზიციასა და სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციების გარეშე, გამოხატული პოლიტიკური ნიშნით, რაც იმთავითვე აჩენდა ეჭვებს, რომ, ხელისუფლებას საბჭოზე ძალაუფლების მოპოვება სურდა.

საბჭოს ახალი წესით დაკომპლექტების საწყის ეტაპზე მის წევრებს შორის გაჩნდა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ვაკუუმი, ვინაიდან პარლამენტის მიერ ახლადდანიშნული წევრები ხშირ შემთხვევაში არ მონაწილეობდნენ სხდომებში, აქვეყნებდნენ დამოუკიდებელ განცხადებებს, აკრიტიკებდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ მოსამართლე წევრებსა და მთლიანობაში საბჭოს აკლდა ერთიანობის განცდა. ასეთი სიტუაცია გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე, კერძოდ დისციპლინური საკითხებისა და მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომლის დროსაც საჭიროა საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3 - ის მხარდაჭერა, ანუ ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მხარს უჭერს საბჭოს სულ ცოტა ერთი არამოსამართლე წევრი.

მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლის გამო საბჭო ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მაისის თვეში მოექცა. გავრცელებული ინფორმაციით[317], 2015 წლის აპრილისა და მაისის თვეებში ადვოკატებს ელექტრონული ფოსტით იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გაეგზავნათ მოწოდება – გააქტიურებულიყვნენ და რაც შეიძლება მეტი საჩივრით მიემართათ აღნიშნული ორგანოსთვის მოსამართლეების წინააღმდეგ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დისციპლინური კოლეგიის წევრმა, ადვოკატმა ქეთი ბექაურმა გავრცელებული ინფორმაცია არ დაადასტურა და განმარტა, რომ ადვოკატებს სთხოვეს კვლევაში მონაწილეობა და არა მოსამართლეების წინააღმდეგ საჩივრების შეტანა, თუმცა აღშნიშნა, რომ კვლევა 2014 წლის ბოლოს ჩატარდა და ადვოკატებისთვის კითხვარები მას შემდეგ არ გაუგზავნიათ. თავად საბჭოს მდივანმა, ლევან მურუსიძემ კი აღნიშნული ფაქტი

---

[316] < http://gdi.ge/uploads/other/0/183.pdf> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
[317]<http://www.gurianews.com/_/left_wide/28075_74_ka/advokatebs_mouwodeben_mosamarTleebze_saCivrebi_daweron.html > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

დაადასტურა და განაცხადა, რომ ფლობს ინფორმაციას როგორც წერილების ადრესატების, ასევე მათი გამგზავნების შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ ამის შემდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შემოსული საჩივრების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა და ცხადია, რომ ელფოსტით გაგზავნილი მოწოდებები მოსამართლეების წინააღმდეგ იყო მიმართული.

კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“, 2015 წლის 14 აგვისტოს კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებულ მოსამართლეების შერჩევისა და დანიშვნის პროცესს შეეხებოდა. კოალიციამ ამ პროცესის მიმდინარეობა „სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მიმართულებით უკან გადადგმულ ნაბიჯად“ შეაფასა. ამგვარი შეფასების უმთავრეს მიზეზად კი გამჭვირვალობისა და ღიაობის დაბალი ხარისხი დასახელდა. კერძოდ, მიმდინარე წლის ივნისში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/308 გადაწყვეტილებაში შესული ცვლილებების შესაბამისად[318], მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებები წარიმართა დახურულ სხდომაზე და შესაბამისად დაინტერესებულ პირებს არ მიეცათ შესაძლებლობა, დასწრებოდნენ და შეეფასებინათ მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი.

კოალიციამ მოსამართლეთა შერჩევის პროცესი ფაქტი უარყოფითად შეაფასა და მიიჩნია, რომ ამგვარი მიდგომით ვერ იქნება მიიღწეული სასამართლო სისტემის გაჯანსაღებისა და საზოგადოებაში მისი ავტორიტეტის ამაღლების მიზანი. კოალიციის პოზიციაა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეცვალოს არსებული წესი და მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცედურა ღია გახადოს, მით უმეტეს, როცა არსებობს კითხვის ნიშნები არა მხოლოდ შერჩევის პროცესთან, არამედ მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით[319]. განსახილველ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტიც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმით (2014–2016 წლებისთვის) გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გაუმჯობესების მიზნის მისაღწევ ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენს.

საბჭოს მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი 2015 წლის დეკემბერში გამძაფრდა, როდესაც სამოსამართლო უფლებამოსილების გასვლის გამო, მოსამართლეთა შესარჩევ კონკურში, ხელახლა არჩევის მიზნით მონაწილეობდა საბჭოს მოქმედი მდივანი ლევან მურუსიძე. საზოგადოების დიდ ნაწილს ლევან მურუსიძის მიმართ როგორც პროფესიული ასევე პიროვნულ პრეტენზიები გააჩნია, ვინაიდან მისი სამოსამართლო უფლებამოსილების

---

318 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2947744> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

319 <http://www.tabula.ge/ge/story/98872-ngo-ebi-mosamartleta-danishvnis-procesi-gaumchvirvaled-chatarda > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

განხორციელებისას იგი მონაწილეობდა საზოგადოებისათვის ისეთი სენსიტიური საქმეების განხილვაში, როგორიც იყო სულხან მოლაშვილისა და სანდრო გირგვლიანის საქმეები.
25 დეკემბერს იგი ხელახლა, 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით იქნა არჩეული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ[320]. მის მოსამართლედ არჩევას წინ 10 დღიანი დაძაბული გარემო უძღვოდა. 15 დეკემბერს ლევან მურუსიძე, როგორც მოსამართლეობის კანდიდატი, საბჭოს წინაშე გასაუბრებაზე წარსდგა, რომელსაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. გასაუბრების პარალელურად საბჭოს შენობასთან საპროტესტო აქცია გამართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებიც ლევან მურუსიძის მოსამართლეობის კანდიდატობას, ამ უკანასკნელის სულხან მოლაშვილისა და სანდრო გირგვლიანის საქმეებთან კავშირის გამო, აპროტესტებდნენ[321].

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებმა კი ღია მხარდაჭერა გამოუცხადეს მოსამართლეობის კანდიდატს. მიუხედევად იმისა, რომ თავდაპირველად სრულიად საპირისპირო დამოკიდებულება ჰქონდათ საბჭოს არამოსამართლე წევრებს და ისინი საკუთარ პოზიციას საჯაროდ გამოხატავდნენ, კენჭისყრისას მათ ხმა კანდიდატის სასარგებლოდ მისცეს, ამგვარი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, კი სპეციალური განცხადება გააკეთეს სადაც საზოგადოებას საკუთარი პოზიციის მიზეზები გააცნეს და ღიად დააფიქსირეს საბჭოს მოსამართლე წევრებთან გარიგებაში შესვლა.[322] მათი განცხადებით, მიუხედავად კანდიდატისადმი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებისა, იგი გამორჩეული ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს კოლეგათა შორის და შესაბამისად არსებობდა იმის რეალური საფრთხეც, რომ მისი კანდიდატურის უარყოფას შეიძლებოდა საბჭოს მოსამართლე წევრებში გამოეწვია იმ კანდიდატებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების წარმოშობა, რომლებსაც არამოსამართლე წევრები უჭერდნენ მხარს.

ლევან მურუსიძის არჩევას საზოგადოების ნაწილის პროტესტი მოჰყვა, რაც სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. აქციის მონაწილეები ირაკლი კაკაბაძე და ბეჟან გუნავა საპატრულო პოლიციამ დააკავა.[323]

მოსამართლეთა არჩევის პროცესის შეჩერებას ითხოვდნენ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ კოალიციაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციებიც.[324] მათი განცხადებით, საერთო სასამართლოებში კანდიდატთა შერჩევის პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობს, რაზეც მათ უკვე არაერთხელ გააკეთეს განცხადება და

---

320 <http://hcoj.gov.ge/ge/mosamartleobis-kandidatta-kenchiskris-shedegebi/2579> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
321 <http://rustavi2.com/ka/news/34243 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
322 <http://hcoj.gov.ge/ge/iustitsiis-umaghlesi-sabchos-aramosamartle-tsevrebis-gantskhadeba/2577> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
323 <http://rustavi2.com/ka/news/35168 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]
324 <http://rustavi2.com/ka/news/35116 > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

მიიჩნევენ რომ შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს მოსამართლეთა კორპუსის ღირსეული კანდიდატებით დაკომპლექტებას. მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის წესის შეცვლას ემხრობა ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი[325], იგი სრულიად გაუგებარად მიიჩნევს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურას და თვლის, რომ მოსამართლეების დანიშვნას პირადი შეხედულებებისა და პირადი ურთიერთობების საფუძველზე ხდება.

[325] <http://rustavi2.com/ka/news/35479> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

კონსტიტუციური მართლმსაჯულების გავლენა ადამიანის უფლებების დაცვაზე

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად სახელმწიფოს აკისრია ა) ცნოს და ბ) დაიცვას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. ეს უკანასკნელი თავის თავში მოიაზრებს სახელმწიფოს მხრიდან ყველა იმ ეფექტური შიდა სამართლებრივი დაცვის საშუალების შექმნას, რომელთა დახმარებითაც ადამიანებს შეეძლებათ საკუთარი უფლებების დაცვა და მათი დარღვევის შემთხვევაში აღდგენის შესახებ დავა. ვინაიდან ხშირ შემთხვევაში შესაძლოა ადამიანის უფლებების დარღვევის საფუძველს თავად ნორმატიული აქტი წარმოადგენდეს, აუცილებელია არსებობდეს ორგანო, რომელსაც ექნება აღნიშნული ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების უფლებამოსილება, გამომდინარე იქიდან, რომ კონსტიტუცია თავადვე ამკვიდრებს უფლებათა დაცვის პრინციპებსა და ფარგლებს, რომელსაც კონკრეტული ნორმატიული აქტი გაუმართლებლად არ უნდა ზღუდავდეს. საქართველოში ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შემოწმების უფლებამოსილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია, რომლის მთავარი ფუნქცია/მიმართულება შექმნის დღიდან სწორედ ნორმათა კონსტიტუციურობის კონტროლი გახდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 1995 წლის 24 ოქტომბერს მიღებული საქართველოს კონსტიტუციით დაფუძნდა და საკუთარი 20 წლიანი მოღვაწეობის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა მიგვაჩნია, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები ამ მხრივ განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. სწორედ ამიტომ მოცემული თავის ფარგლებში მიმოხილული იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში განხილული მნიშვნელოვანი საქმეები და ის სტანდარტები, რომელიც სასამართლომ ამ საქმეებში დაამკვიდრა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კუთხით. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მარიხუანას პირადი მოხამარების მიზნით შეძენა-შენახვის გამო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაწესება, ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა, 9 თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადის გახანგძლივება განზრახ ახალი ბრალდების წაყენების გზით და სხვა. მნიშვნელოვანი იყო ასევე საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული მაჟირიტარული ოლქების შექმნის და გადანაწილების პრინციპის არაკონსტიტუციურად ცნობა, ქმედუუნარობის ინსტიტუტის გაუქმება და სხვა.

ადამიანის უფლებები და სისხლის სამართალი

ა) ერთი ნაბიჯით წინ მარიხუანას დეკრიმინალიზაციისაკენ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე – „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალების – გამომშრალი მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვისათვის სასჯელის სახით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საკონსტიტუციო სასამართლომ არაადამიანური, სასტიკი სასჯელის დაწესების გზით ადამიანის ღირსების ხელყოფად და, შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტთან შეუსაბამოდ ცნო ბლანკეტური ნორმით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ნორმატიული შინაარსის თანახმად, შესაძლებელი იყო პირის დასჯა შეძენა/შენახვისთვის რეალიზაციის მიზნის გარეშე. ამგვარი სასჯელი სასამართლომ სასტიკად და მკაფიოდ არაადეკვატურად მიიჩნია, რადგან იგი ამ შემთხვევაში გამოიყენება ადამიანის დასჯის მიზნით და არა როგორც ლეგიტიმური მიზნების დაცვის უკიდურესი და აუცილებელი საშუალება. სასამართლოს აზრით, საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და ამდენად, ზოგადი პრევენციის მიზნით, სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით პირის თავისუფლების აღკვეთა „აუხსნელი და გაუმართლებელია“.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის სიტყვების: „ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ ნორმატიული შინაარსი, ბლანკეტურობის გამო, ვერ აკმაყოფილებს სასჯელის პროპორციულობის შეფასებისათვის არსებით კრიტერიუმს – ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობას შემდეგ მიზეზთა გამო: 1) გათვალისწინებული სასჯელი თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი სახის ნარკოტიკულ საშუალებაზე, მიუხედავად მისთვის დამახასიათებელი საფრთხეების ხარისხისა; 2) იგი, ადგენს რა ზოგად პასუხისმგებლობას შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით, არ იძლევა მარიხუანას შეძენა/შენახვისას პირადი მოხმარების მიზანსა და რეალიზაციის მიზანს შორის გამიჯვნის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ განჩინებითვე ძალადაკარგულად ცნო[326] ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა „სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით

[326] <http://constcourt.ge/ge/news/2016-wlis-26-tebervls-saqartvelos-sakonstitucio-sasamartlom-miigo-ganchineba-saqartvelos-uzenaesi-sasamartlos-wardginebebze-wardgineba-n708709710.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ... ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო". სასამართლოს განმარტებით სხვაობა სადავო და უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებს შორის იყო მხოლოდ ამ ნარკოტიკული საშუალების ოდენობაში და, შესაბამისად, მისი შეძენა/შენახვისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეში, რის გამოც სადავო ნორმაც იყო „2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების დამძლევი და, შესაბამისად, არაკონსტიტუციური."

ბ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების არაკონსტიტუციურობა
წინასწარი პატიმრობის 9 თვიანი ვადის გაგრძელება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებით სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაუშვებელია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იმ მომენტიდან, როდესაც ამ საქმეზე ბრალის წაყენების შემდეგ მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული ვადა (ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე) გაუტოლდება 9 თვეს." ამასთან, „წინასწარი პატიმრობის შეფარდება კონსტიტუციის მოთხოვნათა საწინააღმდეგოა, თუ ბრალის წარდგენა ან/და პატიმრობის მოთხოვნა ხელოვნურად ჭიანურდება და გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ვადის ხელოვნურად გასაგრძელებლად." აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ „კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი, ამავე მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში, დაუშვებლად მიიჩნევს წინასწარი პატიმრობის 9 თვიანი ვადით მანიპულირებას, 9 თვიანი ვადის ხელოვნურად გაგრძელებას სხვადასხვა ფორმალურად კანონიერი მეთოდებითა თუ საფუძვლებით, რადგან ის (გაგრძელება) წინააღმდეგობაში მოდის იმ სიკეთესთან, რის დაცვასაც კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი ისახავს მიზნად." ამ შემთხვევაში სადავო ნორმა კი სწორედ ასეთი მანიპულირების კანონიერ საფუძველს ქმნიდა, მას აკლდა სიცხადე, რასაც შეეძლო გამოეწვია მისი არაერთგვაროვანი წაკითხვა და, შედეგად, თავისუფლების უფლების არაპროპოციული შეზღუდვა.

ირიბი ჩვენება

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით, კერძოდ, არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას ითვალისწინებდა (სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი და 169-ე მუხლის პირველი ნაწილი). სასამართლოს განმარტებით, გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებას, რომელიც ეჭვს არ იწვევს, ხოლო ირიბი ჩვენება ამგვარ უტყუარ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტს.

დაუშვებელი მტკიცებულება

2015 წლის 31 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქის მაია რობაქიძის კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვები „ამ კოდექსის“ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებაში. სადავო ნორმა დაუშვებელ მტკიცებულებად აცხადებდა მხოლოდ იმ სახის ინფორმაციას, რომელიც მოპოვებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით, შესაბამისად სხვა საკანონმდებლო აქტების დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები შეიძლებოდა ყოფილიყო დასაშვები. სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელის არგუმენტაციას და მიიჩნია, რომ სადავო ნორმა იწვევდა უფლებებში გადამეტებული და უკანონო ჩარევის შესაძლებლობას, ვინაიდან მტკიცებულებების მოპოვების პროცესში შესაძლოა, დაირღვეს ასევე საქართველოს კონსტიტუციის და სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნები, რომლებიც ადგენს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტიებს.

ბრალდებულად ყოფნის სხვადასხვა ვადა

2014 წლის ნოემბერში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეების მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გაუმართლებლად ზღუდავდა მოსარჩელეების უფლებებს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებაში. მოსარჩელეებისათვის სადავო საკითხს წარმოადგენდა ბრალდებულად ყოფნის სხვადასხვა ვადა[327] იმის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ახალი სისხლის სამართლის

[327] 2010 წლის 1 ოქტომბრამდე საქმეებში, ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით, აღნიშნული ვადა განისაზღვრება 12 თვით. ამასთან, ამ ვადაში არ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ბრალდებული ემალებოდა გამოძიებას და მის მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა, ან თავს არიდებდა გამოძიებას;

საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე (2010 წლის 1 ოქტომბერი) თუ ამოქმედების შემდეგ[328]. დამატებით, მოსარჩელე ვ. გელბახიანი ითხოვდა სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც კრძალავდა საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვას ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე.

სსსკ 329-ე მუხლის მე-3 ნაწილთან მიმართებაში სასამართლომ დაადგინა პროპორციულობის პრინციპის დარღვევა, ვინაიდან ლეგიტიმური მიზანი, რომელმაც განაპირობა დიფერენცირებული მიდგომა იდენტური საპროცესო მდგომარეობის (სტატუსის) მქონე პირების მიმართ, შეიძლებოდა მიღწეულიყო ნაკლებადმზღუდველი საშუალების გამოყენებითაც. სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ასევე ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვები, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, ისინი გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი იყო და იწვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

პირდაპირი არჩევნების წესით არჩეული პირის თანამდებობიდან გათავისუფლება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც სასამართლომ განიხილა, შეეხებოდა თბილისის ყოფილ მერს, გიგი უგულავას, რომელიც მის მიმართ წაყენებული ბრალდებების გამო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლეგიტიმური მიზნების არსებობის მიუხედავად, სსსკ-ის 159-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს არჩეული მერის თანამდებობიდან გადაყენებას შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, იწვევს მერის 29-ე მუხლით გარანტირებულ კონსტიტუციურ უფლებაში გაუმართლებელ ინტენსიურ ჩარევას და არის არაპროპორციული. ამასთან, სსსკ-ს 160-ე მუხლის თანახმად, პროკურორის შუამდგომლობას პირის გათავისუფლების გარეშე მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავდა, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით შეუსაბამოდ ცნო. სასამართლოს აზრით, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა უფლების დარღვევას იწვევს სწორედ იმის გამო, რომ პირს საერთოდ არ აქვს მტკიცებულებების წარდგენის, საკუთარი პოზიციის პირადად ან დამცველის მეშვეობით დაფიქსირების, დაცვის შესაძლებლობა, რაც უფლებაში არაპროპორციული ჩარევაა.

ხოლო პირების მიმართ, რომელთა სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2010 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ვრცელდება ახალი კოდექსით გათვალისწინებული ბრალდებულად ყოფნის მაქსიმალური 9 თვიანი ვადა, ამასთან, ახალი კოდექსი არ ითვალისწინებს ამ ვადის შეჩერებას ზემოაღნიშნული საფუძვლებით.

[328] < http://constcourt.ge/ge/news/gadawyvetilebis-anotacia-saqmeze-saqartvelos-moqalaqeebi-valerian-gelbaxianimamuka-nikolaishvili-da-aleqsandre-silagadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-1460.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

საპროცესო ნორმები

ა) უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება

2015 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. ასევე არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ „კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა თანასწორი და შეჯიბრებითი სამართალწარმოების შესახებ არ მოითხოვს მოსამართლეების უგამონაკლისო და ბლანკეტურ ბოჭვას მოსარჩელეთა მოთხოვნის ფარგლებით, როდესაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს შემამსუბუქებელი კანონის გამოყენების ან განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას.“ სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმების ნორმატიული შინაარსით ირღვეოდა აბსოლუტური და იმპერატიული კონსტიტუციური ვალდებულებები.

აღსანიშნავია, რომ თავად უზენაეს სასამართლოს პირველი სადავო ნორმა კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში ჰქონდა განხილული, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა რომ სადავო ნორმის ურთიერთმიმართება კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან იკვეთებოდა და მისი განხილვა სწორედ აღნიშნული მუხლის ფარგლებში მოხდა, აღნიშნული გადაწყვეტილებით მან საკონსტიტუციო სასამართლოში მანამდე არსებული პრაქტიკა შეცვალა.

ბ) გასაჩივრებული ნორმის მოქმედების შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

2014 წლის 24 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)” და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“ სარჩელი შეეხებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის იმ ნორმების კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ

პუნქტთან მიმართებაში არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს სასამართლოში გასაჩივრებული ნორმის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოიტანოს შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 და განსაკუთრებულ შემთხვევაში 45 დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადავო ნორმის შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალას კარგავს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტით დადგენილი მექანიზმი არ წარმოადგენდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებას, შესაბამისად არღვევდა თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს და არაკონსტიტუციურად ცნო იგი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ რამდენიმე სხვა საქმეში სასამართლოს მოუწია გასაჩივრებული ნორმების მოქმედების შეჩერება. აღნიშნული გადაწყვეტილების არ არსებობის პირობებში კი სასამართლო იძულებული იქნებოდა გადაწყვეტილება ნორმების მოქმედების შეჩერებიდან 30 (განსაკუთრებულ შემთხვევებში 45) დღეში მიეღო, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში უკანასკნელ პერიოდში მომრავლებული სარჩელების ფონზე საკმაოდ მძიმე ტვირთი იქნებოდა და გააჩენდა იმის მაღალ რისკს, რომ სასამართლო ერთ თვეში ვერ მოასწრებდა საქმის სათანადოდ გამოკვლევასა და შესწავლას.

სხვადასხვა

ა) ე.წ. ლუსტრაციის კონსტიტუციურობა

საქმეში „საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ შესაფასებელი იყო საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტიის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და მე-17 და 29-ე მუხლების პირველ პუნქტებთან მიმართებით. სადავო ნორმების თანახმად, ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრებს, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნებს, ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრებს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ეკრძალებოდათ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობის დაკავება.

სასამართლომ აღნიშნული ნორმები არაკონსტიტუციურად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ამგვარი მოპყრობა არ შეესაბამება კონსტიტუციით გარანტირებულ ღირსების უფლებას ვინაიდან „სადავო ნორმების შემოღებით, კანონმდებელმა მოსარჩელის და მის მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ ისეთი სამართლებრივი რეჟიმი დაადგინა, რომლის პირობებშიც აღნიშნული პირები სამართლის სუბიექტის ნაცვლად განიხილებიან სამართლის ობიექტებად და წარმოადგენენ კონკრეტული მიზნების მიღწევის საშუალებას.“

ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმები წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების თანაზომიერ შეზღუდვას და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის მოთხოვნებს. სასამართლოს აზრით, სადავო

ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა ლეგიტიმურია ასევე კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებითაც.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საქმეზე ორმა მოსამართლემ, ზაზა თავაძემ და თამაზ ცაბუტაშვილმა, განსხვავებული აზრი დაწერა. მათი აზრის სადავო ნორმები არაკონსტიტუციურია კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველი პუნქტთან და მე-14 მუხლთან მიმართებაშიც.

ბ) მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების განსაზღვრის წესი

2015 წლის 28 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლის თანახმადაც საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან და 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ადგენდა 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის განსაზღვრის წესს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების მიბმა მუნიციპალიტეტების საზღვრებთან, მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის გაუთვალისწინებლად, იწვევდა უთანასწორობას ამომრჩეველთა ხმის წონასთან დაკავშირებით. კერძოდ, დადგინდა, რომ სხვადასხვა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული იყო ამომრჩეველთა მკვეთრად განსხვავებული რაოდენობა. შესაბამისად, საარჩევნო ოლქები და მანდატები იმგვარად იყო გადანაწილებული, რომ ერთ ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლის ხმა რამდენჯერმე უფრო მეტად „ფასობდა“ ვიდრე მეორე ოლქში რეგისტრირებული ამომრჩევლის ხმა. აღნიშნულმა კი გამოიწვია მნიშვნელოვანი გადახრა ხმათა თანაბრობის პრინციპიდან და არათანაზომიერად დაამცრო ამომრჩეველთა დიდი ნაწილის გავლენა საარჩევნო პროცესებზე.

საგულისხმოა, რომ 2015 წლის 31 ოქტომბერს მარტვილსა და საგარეჯოს რაიონებში შუალედური არჩევნები ჩატარდა, რაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა, გამომდინარე იქიდან რომ მათი განცხადებით, იგი ეწინააღმდეგება[329] საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 28 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ქვეყანაში მოქმედი მაჟორიტარული სისტემის მოდელი. შუალედური არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელიც შევიდა, თუმცა სასამართლომ საქმეში არსებული ფორმალური ხარვეზის გამო იგი არსებითად განსახილველად არ მიიღო[330].

---

[329]< http://www.tabula.ge/ge/story/99226-konstituciuri-kvlevebis-centri-shualeduri-archevnebi-arakonstituciuria> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[330] <http://constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/saqartvelos-moqalaqe-vaxtang-menabde-saqartvelos-parlamentisa-da-saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-winaagmdeg.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

აღსანიშნავია, რომ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ მუშაობა დაიწყო მაჟორიტარული საარჩევნო ოქლების განსაზღვრის ახალ წესზე. პარლამენტში განიხილებოდა საარჩევნო მოდელის სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა საბოლოოდ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის მიერ შემუშავებული მოდელი დამტკიცდა, რომლის თანახმადაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული სისტემით ჩატარდება, თუმცა მაჟორიტარული ოლქების გადანაწილება ახლებურად, ცვლილებების ავტორების თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და ვენეციის კომისიის დასკვნის გათვალისწინებით მოხდა. თუმცა მიღებულ წესთან დაკავშირებით მაინც ისმის[331] უკმაყოფილება საზოგადოებაში, იმის გამო, რომ გადანაწილებული ოლქების უმეტესობა სცდება დასაშვები ნორმის ფარგლებს, გადადის გამონაკლის შემთხვევებში[332] და ზოგიერთ ოლქში ამომრჩევლების რაოდენობებს შორის სხვაობა ისევ საგრძნობლად მაღალია.

გ) ქმედუუნარობის ინსტიტუტი

საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენ-ტის წინააღმდეგ“, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ფსიქიური დაავადებების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მთელი რიგი ნორმები და ნორმის ნორმატიული შინაარსები და 2015 წლის 1 აპრილიდან ძალადაკარგულად გამოაცხადა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო რიგი საკანონმდებ-ლო ნორმები, რომლებიც აწესრიგებდა „ჭკუასუსტობისა“ და „სულით ავადმყოფობის“ გამო ქმედუუნაროდ აღიარებასა და ქმედუუნარო პირებთან დაკავშირებულ მრავალმხრივ ურთიერთობებს, იმ მოტივით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ქმედუუნარობის ინსტიტუტი, რომელიც ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე ავტომატურად უკრძალავდა ქმედუუნარო პირებს სამოქალაქო უფლება-მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელებას, საფუძველშივე უსპობდა მათ დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობას ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ყოველდღიურ ყოფა ცხოვრებასთან, არსებობასა და განვითარებასთან. საკონსტუციო სასამართლომ ცალკეული სადავო ნორმები ძალადაკარგულად გამოაცხადა

[331]< http://www.radiotavisupleba.ge/content/saarchevno-olkebi-akhal-sazgvrebshi/27402864.html> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[332] ვენეციის კომისიის დასკვნით (2002 წლის „საარჩევნო ნორმათა კოდექსი“) განაწილების დადგენილი კრიტერიუმიდან მაქსიმალური დასაშვები გადახრა დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე, თუმცა, იგი იშვიათად უნდა სცილდებოდეს 10% და არასოდეს არ უნდა აღემატებოდეს 15%, გარდა განსაკუთრებული გამონაკლისებისა (დემოგრაფიულად სუსტი, მაგრამ ისეთივე სტატუსის მქონე ადმინისტრაციული ერთეული, როგორიცაა ქვედა პალატაში სულ ცოტა ერთი წევრით წარმოდგენილი სხვა ადმინისტრაციული ერთეულები, ან ოლქი, რომელშიც ესა თუ ის ეროვნული უმცირესობა კომპაქტურადაა დასახლებული).

გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში, ვინაიდან მიიჩნია, რომ ამ ნორმების დაუყოვნებლივ გაუქმება მოწესრიგების გარეშე დატოვებდა ქმედუუნარო პირებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ურთიერთობებს და შექმნიდა მათი უფლებების დარღვევის მნიშვნელოვან საფრთხეებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც ცვლილებები 67-მდე კანონში შევიდა. გაუქმდა ქმედუუნარობის ინსტიტუტი და მის მაგივრად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ცნება – იგივე „მხარდაჭერის მიმღები პირის“ სტატუსი შემოვიდა. 2015 წლის 1 აპრილიდან „მხარდაჭერის მიმღები პირი“ ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც, ფსიქოსოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე, შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში დაეხმარება. მიღებული ცვლილებებით განმარტებულია თუ რაში გამოიხატება მხარდაჭერა და რა ვალდებულებები აქვს მხარდამჭერ პირს. ცვლილებებს, ასევე, საფუძვლად დაედო გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის" მოთხოვნები. კონვენცია საქართველოს მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს იქნა რატიფიცირებული და ძალაში 2014 წლის 12 აპრილს შევიდა.

დ) საჯარო სამსახურის შესახებ კანონი

საკონსტიტუციო სასამართლომ, 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, დააკმაყოფილა სახალხო დამცველის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო გამოძიების ქვეშ მყოფი პირების საჯარო სამსახურში მიღების აკრძალვა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვების „გამოძიების ქვეშ ან“ არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებაში). სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არღვევს თანაზომიერების პრინციპს, ვინაიდან მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევა (საჯარო სამსახურში კადრების სტაბილურობის და „გამოძიების ქვეშ მყოფი“ პირის მიერ გამოძიებისათვის ხელის შეშლის პრევენცია) არ საჭიროებს ზოგადი აკრძალვის დაწესებას გამოძიების ქვეშ მყოფი ყველა პირის მიმართ და მისი მიღწევა შესაძლებელია ნაკლები ინტენსივობით ჩარევის და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების ნაკლები შეზღუდვის გზით – თითოეული პირის საქმის ინდივიდუალური შეფასებით.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე არა კონსტიტუციურად ცნო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მეორე წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებაში. სადავო ნორმის თანახმად, საჯარო სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე, იძულებით გაცდენილი პერიოდისთვის, უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა და მიეღო მხოლოდ 3 თვის თანამდებობრივი სარგო მაშინაც, როდესაც იძულებით გაცდენილი პერიოდი აღემატებოდა 3 თვეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, საერთო სასამართლოებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაადგინონ ზიანის ოდენობა. მისივე განმარტებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაზოგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიზანს, თუმცა ის ვერ გაამართლებს კერძო პირის ინტერესის – აინაზღაუროს სახელმწიფოსგან მიყენებული ზიანი – შელახვას, რამეთუ პირის უკანონოდ გათავისუფლებისთვის პასუხისმგებლობა სწორედ სახელმწიფოს ეკისრება.

ნორმათა შეჩერების პრაქტიკა

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილია საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე შეაჩეროს სადავო ნორმის მოქმედება, თუკი აღნიშნულს მოითხოვს მოსარჩელე და სასამართლოს ჩათვლის, რომ ნორმის მოქმედების გაგრძელებამ შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მოუტანოს მას. აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ბოლო პერიოდის განმავლობაში რამდენიმე ნორმა შეაჩერა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე.

ა) საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო

2015 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არსებითად განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ზურაბ აბაშიძე, გიორგი ბარამიძე, დავით ბაქრაძე და სხვები, სულ 39 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის რიგ საკანონმდებლო აქტებში, მათ შორის, „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო“ და მას დაეკისრა იმ ფუნქციების განხორციელება, რომლებიც სადავო ნორმების ამოქმედებამდე ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა. მოსარჩელეთა განმარტებით, სააგენტოსთვის გადაცემულ იქნა ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელება აუცილებელია ფინანსური სექტორის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის, რაც, საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების მიხედვით, მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციას მიეკუთვნება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე სადავო ნორმების მოქმედებას შეეძლო საფრთხის ქვეშ დაეყენებინა არა მხოლოდ ქვეყნის საფინანსო-საბანკო სექტორის მდგრადობა, არამედ გამოეწვია გამოუსწორებელი შედეგი კონკრეტული პირების (საბანკო ურთიერთობის მონაწილეების, ინვესტორების, მეანაბრეების) უფლებებისა და ინტერესებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 12 ოქტომბრის N3/6/668 საოქმო ჩანაწერით საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა სადავო ნორმების მოქმედება

და „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს“ ფუნქციების დროებით შესრულება კვლავ საქართველოს ეროვნულ ბანკს დაუტოვა

ბ) ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმეები

2015 წლის 2 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო[333] „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ და „შპს ტელეკომპანია საქართველოს“ საკონსტიტუციო სარჩელი, რომელიც ეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით; და ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით. სადავო ნორმები ეხება სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების საკითხს. სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ სადავო ნორმის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს მოსარჩელე მხარისათვის გამოუსწორებელი ზიანი და სსსკ-ს 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მოქმედება გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 13 ნოემბერს არსებითად განსახილველად მიიღო[334] შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ამასთან სასამართლომ შეაჩერა სსსკ-ს 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების და 271-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომლებიც ითვალისწინებს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით იურიდიული პირის - მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალების ხელმძღვანელობის, მართვისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების დროებითი მმართველისთვის მინიჭებას.

სასამართლოს აზრით, სადავო ნორმები მკაფიოდ არ განსაზღვრავს დროებითი მმართველის უფლებამოსილებების ფარგლებს. ამასთან, კანონმდებლობა არ შეიცავს ეფექტურ სამართლებრივ გარანტიებს, რომელიც უზრუნველყოფს დროებითი მმართველის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში ადეკვატურ და პროპორციულ კომპენსაციას. ასევე აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქონების გასხვისების ადეკვატური კომპენსირება შეუძლებელი იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ „დროებითი მმართველისათვის სამაუწყებლო კომპანიის მართვის მინდობამ, შესაძლოა გამოიწვიოს შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ და, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის (შპს „ტელეკომპანია საქართველოს“)

[333]< http://constcourt.ge/ge/news/saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-saoqmo-chanaweri-saqmeze-shps-samauwyeblo-kompania-rustavi-2-is-da-shps-telekompania-saqartvelo-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

[334] <http://constcourt.ge/ge/news/saqartvelos-sakonstitucio-sasamartlos-ganmwesrigebeli-sxdomis-saoqmo-chanaweri-saqmeze-shps-telekompania-saqartvelo-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

საკუთრებაში არსებული წილის ღირებულების შეცვლა, მისი შემცირება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი ზიანი, რომლის ანაზღაურებაც ვერ მოხერხდება დროებითი მმართველის წინააღმდეგ სამოქალაქო დავის წარმოების გზით.“

გ) ადამიანის ორგანოთა გადანერგვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 25 ნოემბერს არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს მოქალაქე ლევან გვათუას კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და ამავდროულად შეაჩერა[335] სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის მოქმედება.

საქმე ეხება „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლთან მიმართებით. სადავო ნორმის თანახმად, ცოცხალი დონაცია დაიშვება მხოლოდ გენეტიკური ნათესავისგან, მეუღლისგან ან მეუღლის ნათესავებისგან. კანონი კრძალავს ნებისმიერი სხვა პირისგან ორგანოს გადანერგვას იმ შემთხვევაშიც, თუ სამედიცინო ან სხვა მიზეზით კანონით გათვალისწინებული პირთა წრიდან დონორი არ მოიძიება. ამგვარი შეზღუდვის ძირითად მიზანს წარმოადგენს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საფრთხის თავიდან აცილება.

მოსარჩელეს ესაჭიროება ღვიძლის გადანერგვა, რაც მისი სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა, თუმცა კანონით განსაზღვრული პირთა წრიდან დონორი არ მოიძებნა, ხოლო დადგენილი აკრძალვის გამო, მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ ექცევა, რის გამოც მან მოითხოვა ნორმის შეჩერება. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა სადავო ნორმის შეჩერების თაობაზე და შეაჩერა სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც ცოცხალ დონორთა წრიდან, რომელთაგან დაშვებულია ღვიძლის აღება, გამორიცხავს რეციპიენტთან ემოციურ კავშირში მყოფ პირს.

[335] <http://constcourt.ge/ge/news/levan-gvatua-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

ECHR მიერ განხილული საქმეები საქართველოს წინააღმდეგ

საღინაძე საქართველოს წინააღმდეგ (*Saginadze v. Georgia*)[336]
მე-8 მუხლი, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი
(გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 01.06.2015)

აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი ბათალბი საღინაძე ითხოვდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) მე-8 მუხლითა (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და 1-ლი დამატებითი ოქმის 1 მუხლით (საკუთრების დაცვა) დაცული უფლებების დარღვევის დადგენას.

საქმე ეხება განმცხადებლის საცხოვრებელი კოტეჯიდან (თბილისი, ავჭალის ქუჩა № 15) გამოსახლებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2004 წელში, რომელშიც განმცხადებელი დროებით (როგორც აფხაზეთიდან იძულებით გადააგილებული პირი) ცხოვრობდა 1994 წლიდან 2004 წლამდე. განმცხადებლის ძალისმიერი გამოსახლებისას კონვენციის მე-8 და 1-ლი დამატებითი ოქმის 1 მუხლის დარღვევა სასამართლომ 2010 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაადგინა, ხოლო რაც შეეხება მატერიალური ზიანის ანაზღაურებას დაელოდა მხარეთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს ან მათ მორიგებას. თუ მხარეები ვერ შეძლებდნენ შეთანხმების მიღწევას სასამართლო თავად დაადგენდა მთავრობის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობას.

2011 წლის 28 თებერვალს სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ კოტეჯი, რომლიდანაც თავის დროზე გამოსახლებულ იქნა განმცხადებელი გადაკეთდა და მოცემული დროისათვის იგი წარმოადგენდა ადგილობრივი პოლიციის შენობას, შესაბამისად შეუძლებელი იყო მისი პირვანდელი სახით განმცხადებლისათვის დაბრუნება. მიუხედავად იმისა, რომ კოტეჯი შედგებოდა 20 ოთახისაგან, განმცხადებელი და მისი ოჯახი იკავებდა მხოლოდ სამ ოთახს და შესაბამისად, სახელმწიფომ შესთავაზა განმცხადებელს 4 ოთახიანი ბინით (112 კვ/მ) უზრუნველყოფა, რომელიც მდებარეობდა სამეგრელოში, აფზახეთის საზღვართან ახლოს.

განმცხადებელი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სამეგრელოში გადასახლებას და ითხოვდა ჩამორთმეული კოტეჯისა (660კვ/მ) და მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთის (15.208 კვ/მ) დაბრუნებას. თუ საკუთრების პირვანდელი სახით დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა შესაძლებლად მიიჩნევდა კომპენსაციას ფულადი სახის არანაკლებ 1.000.000.000 აშშ დოლარისა.

---

[336]< http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-150227#{"itemid":["001-150227"]} > [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

2014 წლის 21 თებერვალს სახელმწიფომ ახალი წინადადებით მიმართა სასამართლოს. იმის გათვალისწინებით, რომ კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იყო და ამასთანავე განმცხადებელი მათ პირვალნდელ შეთავაზებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, სახელმწიფომ წარმოადგინა ალტერნატიული შეთავაზება, იგი მზად იყო განმცხადებლისათვის (საკუთრების უფლებით) გადაეცა ორი ორ ოთახიანი საცხოვრებელი ბინა (50-60კვ/მ) თბილისში, თემქის დასახლებაში, ახალაშენებულ უბანში. ორივე ბინა იყო ახალი და კეთილმოწყობილი, ამასთანავე სახელმწიფო მზად იყო მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის დამატებით გადაეცა კიდევ 3000 ევრო.

სახელმწიფოს შემოთავაზება 2014 წლის 28 აპრილს ჩაბარდა განმცხადებელიელეს, თუმცა მას ამის შესახებ არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

იმის გათვალისწინებით, რომ კოტეჯის პირვანდელი მდგომარეობით დაბრუნება შეუძლებელი იყო, სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ორი ბინა კი დაახლოებით იმ ფართობის იყო, რაც განმცხადებლის ოჯახს ეკავა კოტეჯში და სახელმწიფო დამატებით კიდევ თავაზობდა ფულად კომპენსაციას, **სასამართლომ** დაადგინა, რომ არსებულ სიტუაციაში მატერიალური ზიანის ყველაზე შესაბამისი ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენდა.

გოგიტიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ *(Gogitidze and others. V. Georgia)*[337]
1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი
(გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 12.08.2015)

2005 წლის 4 ივლისს საქართველოს ოთხმა მოქალაქემ, სერგო გოგიტიძემ (პირველი განმცხადებელი) და სხვებმა საქართველოს წინააღმდეგ განაცხადი წარადგინეს. განმცხადებლები ითხოვდნენ კონვენციიის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით (საკუთრების დაცვა) დაცული უფლებების დარღვევის დადგენას.

2004 წლის 25 აგვისტოს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლების ცვლილების შემდგომ, პირველ განმცხადებელს, რომელსაც ადრე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილისა და აუდიტის სამსახურის პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა, სხვა დანაშაულებთან ერთად, ბრალი წაუყენეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და გამოძალვაში. პროკურორმა აჭარის უმაღლეს სასამართლოს განმცხადებლის საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევის და მისი სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა, ვინაიდან ქონების საერთო ღირებულება მნიშველოვნად ცდებოდა განმცხადებლის შემოსავლის ოდენობას, რომელსაც პირველი მომჩივანი იღებდა თანამდებობრივი სარგოს სახით და შეუძლებელი იყო კანონიერი გზით მიღებული

[337] <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154398#{"itemid":["001-154398"]}> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

შემოსავლით მისი შეძენა. აჭარის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა, რის საფუძველზეც მოხდა აღნიშნული ქონების კონფისკაცია.

იმისათვის, რომ საკუთრების ხელყოფა 1-ლი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად განხორციელებულად ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ ხელყოფა მართლზომიერი იყოს. ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შეიძლება საკუთრების უფლების ხელყოფა გამართლებული იყოს მხოლოდ მაშინ თუ ასეთი ხელყოფა საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება. კონვენციით დადგენილი დაცვის სისტემის მიხედვით, ქვეყნის ხელისუფლების უფლებამოსილებაა, შეაფასოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ისეთი პრობლემა არსებობს თუ არა, რომელიც საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების ხელყოფას მოითხოვს. პირველი დამატებითი ოქმის, პირველი მუხლი ასევე ითხოვს, რომ საკუთრების უფლების ნებისმიერი ხელყოფა მის მიზნებთან ობიექტურად თანაზომიერი იყოს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს „სამართლიანი ბალანსი“ საერთო ინტერესსა და ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას შორის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონვენცია უტოვებს სახელმწიფოს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას, თავად განსაზღვროს, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რომელი ზომა გამოიყენოს და სასამართლოც პატივს სცემს კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკურ არჩევანს. გარდა ისეთი შემთხვევებისა , როდესაც ეს ზომები ობიექტურ საფუძველს მოკლებულია.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის ქონების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს გაცემული ბრძანება, ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში 2004 წლის 13 თებერვალს შესული ცვლილებების შესაბამისად გაიცა. განმცხადებლის არგუმენტზე, რომ ქონების ჩამორთმევის მექანიზმის ფარგლების უკუქცევითი ძალით გავრცელება არაკანონიერი იყო, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო საკანონმდებლო ცვლილება არ იყო პირველი რეგულაცია, რომელიც ამ საკითხს აწესრიგებდა. კერძოდ ჯერ კიდევ 1997 წელს, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი ითვალისწინებდა კორუფციულ სამართალდარღვევას და თანამდებობის პირების ქონების წარმოშობის წერილობით დასაბუთებას. ქონების ჩამორთმევის ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით კი სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩატარებული ღონისძიება საკანონმდებლო პაკეტის მნიშვნელოვან ნაწილად ჩამოყალიბდა, რომელიც მიზნად ისახავდა საჯარო სამსახურში კორუფციის წინააღმეგ აქტიურ ბრძოლას. ცალსახაა, რომ იმ პირთათვის უკანონოდ მოპოვებული ქონების და სიმდიდრის ჩამორთმევას, რომლებიც ბრალდებულნი

არიან საჯარო საქმიანობის განხორციელებისას სერიოზული დანაშაულების ჩადენაში, აქვს პრევენციის მიზანიც.

შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის განხორციელების საქმეში, საქართველოს მთავრობას მექანიზმების არჩევის ფართო დისკრეციული უფლებამოსილება გააჩნია და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის შიდა სასამართლოებმა განმცხადებლებს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე საკუთარი უფლებების დასაცავად ობიექტური შესაძლებლობა მისცეს, ევრუპლმა **სასამართლო** დაადგინა, რომ მომჩივნის ქონების ჩამორთმევის წარმოება საერთაშორისო ნორმებს შეესაბამებოდა და თანაზომიერების აუცილებელ ბალანსს არ არღვევდა, მაშასადამე ადგილი არ ჰქონია 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ *(Identoba and others V. Georgia)*[338]
მე-3, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლები
(გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 12.08.2015)

განმცხადებლები: არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობა“ და საქართველოს 14 მოქალაქე, ითხოვდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-14 მუხლებით (დისკრიმინაციის აკრძალვა) გარანტირებული უფლებების დარღვევის დადგენას.

საქმე ეხება 2012 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართული მსვლელობისას, განმცხადებელთა („ლგბტ მსვლელობის მონაწილენი“) და რელიგიურ ჯგუფს (კონტრდემონსტრანტები) შორის მომხდარ ინციდენტს. აქტივისტები შეიკრიბნენ თბილისის საკონცერტო დარბაზის ტერიტორიაზე და მსვლელობა დაიწყეს, რუსთაველის გამზირის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ლგბტ თემის მოწინააღმდეგეთა მხრიდან მოსალოდნელი პროტესტისა და სექსუალური უმცირესობების მიმართ არაკეთილგანწყობილი ფონის გათვალისწინებით, განმცხადებლებმა, მსვლელობის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე მიმართეს სამთავრობო უწყებებს, შესაძლო ძალადობისგან სათანადო დაცვის უზრუნველეყოფის მიზნით, რაზეც დასტური, თბილისის მერიისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირისგან მიიღეს.

[338] <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-154400#{"itemid":["001-154400"]}> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

რელიგიური ჯგუფის წევრებმა, მსვლელობის დაწყებისთანავე შეაჩერეს აქტივისტები, იმ მოტივით, რომ არავის ჰქონდა უფლება ჩაეტარებინა „გეი-აღლუმი“ და ხელი შეეწყო „გარყვნილებისათვის“, ვინაიდან ეს ქართულ ტრადიციებსა და მორალურ ფასეულობებს ეწინააღმდეგება. პასუხად, მსვლელობის მონაწილეები შეეცადნენ, მშვიდად აეხსნათ, რომ ეს არა „გეი-აღლუმი“, არამედ ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის მხარდამჭერი საზოგადოებრივი ღონისძიება იყო და მათ განაგრძეს მსვლელობა. თუმცა რუსთაველის გამზირზე მისულებს 100-ზე მეტი კონტრდემონსტრანტი დახვდა, რომლებმაც გააკეთეს ცოცხალი ჯაჭვი და ალყა შემოარტყეს მათ, ამასთანავე დაემუქრნენ ფიზიკური შეურაცხყოფით, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და არაერთგზის უწოდეს „პიდარასტები“ „ცოდვილები“ „ავადმყოფები” და „ამორალური” ადამიანები. საპატრულო პოლიციის ექსკორტი, რომელიც მსვლელობის მონაწილეებს მოჰყვებოდა, აღმოჩნდა შემთხვევის ადგილიდან მოშორებით და როდესაც მსვლელობის მონაწილეებმა მათ დახმარებისთვის მიმართეს, პოლიციელებმა უპასუხეს, რომ ისინი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არ იყვნენ და არსებულ სიტუაციაში ჩარევა მათ მოვალეობაში არ შედიოდა. როდესაც აგრესია გამძაფრდა და კონტრაქტივისტები ფიზიკურ შეტევაზე გადავიდნენ, რაც განმცხადებელთა მიწაზე დაგდებითა და ცემით გამოიხატებოდა, ზოგიერთი სამართალდამცავი პირი ჩაერია ინციდენტში და აღკვეთა ცემის ფაქტი. მანიფესტაციის მონაწილე სამი პირი პოლიციამ იძულებით ჩასვა საპატრულო მანქანაში და დაახლოებით 20 წუთის მანძილზე ატარა ქალაქში, ხოლო ერთი პირი ყოველგვარი ოფიციალური განმარტების გარეშე მიიყვანა შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებაში, სადაც დაახლოებით 20 წუთის მანძილზე დაკავებული ჰყავდათ . მთავრობამ მოგვიანებით განმარტა, რომ განმცხადებელთა მცირე დროით დაკავება ორ მიზანს ემსახურებოდა: აერიდებინათ მათი მხრიდან საგზაო მოძრაობის შეფერხება და ასევე დაეცვათ ისინი კონტრდემონსტრანტების დავდასხმისგან. მოგვიანებით გაირკვა, რომ აქციის რამდენიმე მონაწილემ სამედიცინო დახმარებას მიმართა, სხეულის მსუბუქი დაზიანებითა და სხეულზე არსებული სილურჯეებით.

2012 წლის 18 მაისს განმცხადებლებმა, ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით რამდენიმე სარჩელი შეიტანეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში, რის შედეგადაც ორი კონტრაქტივისტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც წვრილმან ხულიგნობას ითვალისწინებს, დააკავეს და 100-100 ლარით (დაახლოებით 45 ევრო) დააჯარიმეს. იმავე წლის 19 მაისს და 24 ოქტომბერს სისხლისსამართლებრივი გამოძიება დაიწყო განმცხადებელთა ცემის ფაქტზეც, თუმცა გამოძიება კვლავ მიმდინარეობს და არცერთი განმცხადებელი დაზარალებულად ჯერ არ უცვნიათ.

სახელმწიფო არ ცნობს თავისუფალი შეკრებისა და გაერთიანების უფლების დარღვევას, ვინაიდან მათი განცხადებით, სახელმწიფომ მიიღო ყველა საჭირო ზომა განმცხადებელთა დასაცავად და მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აღიარებს, რომ შეტაკებისას მათი რეაქცია იყო დაგვიანებული, ყველაფერი, რაც მათ გააკეთეს გამომდინარეობდა

განმცახდებელთა ინტერესების დაცვიდან. იმის გათვალისწინებით, რომ სახელწიფოს გააჩნია ფართო დისკრეცია შეკრებისა და მანიფესტაციის დაცვის მექანიზმების გამოყენების, ამასთანავე მხედველობაში მიიღო კონტქრაქტივისტთა საგრძნობლად დიდი რაოდენობა და დიდი ალბათობით პოლიციის პირდაპირი ჩარევა კიდევ უფრო გაამწვავებდა კონფლიქტს, სწორედ ამიტომ მოხდა განმცხადებელთა გაყვანა ტერიტორიიდან. პოლიცია ასევე ჩადგა დაპირისპირებულ მხარეებს შორის და შეეცადა სიტყვიერად დაეშვიდებინა კონფლიქტის მონაწილენი და მიეთითებინა მათთვის ძალადობისაგან თავი შეეკავებინათ.

განმცხადებელთა აზრით, კი პოლიციის ქმედება იყო სრულიად არადამაკმაყოფილებელი და ადეკვატური და მათ ვერ შეძლეს მსვლელობის მონაწილეთა დაცვა აგრესიისაგან, რომელიც მოტივირებული იყო ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით.

კონვენციის მე-11 მუხლთან მიმართებაში სასამართლო ხშირად უსვამს ხაზს, რომ პლურალიზმი და დემოკრატია ემყარება სწორედ მრავალფეროვნების აღიარებასა და პატივისცემას. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში ინდივიდის ინტერესები ექვემდებარება ჯგუფის ინტერესებს, დემოკრატია არ გულისხმობს ყოველთვის უმრავლესობათა შეხედულებების დომინირებას. დაცული უნდა იქნას ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფს უმცირესობათა სამართალიან და სწორ მოპყრობას და ამ პროცესში სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს პლურალიზმისა და შემწყნარებლობის გარანტი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სასამართლომ** დაადგინა კონვენციის მე-3 და მე -11 მუხლების დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ *(G.S. V.Georgia)*[339]
მე-8 მუხლი
(გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 21.10.2015)

განმცხადებელი გ.ს. ითხოვდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) გარანტირებული უფლების დარღვევის დადგენას.

საქმე ეხებოდა განმცხადებლის – უკრაინის მოქალაქის შვილის უკრაინაში დაბრუნების პროცედურას. განმცხადებლის პარტნიორმა გადაწყვიტა, შვილი საქართველოში დაეტოვებინა თავის ოჯახთან, ხოლო თავად რუსეთში ცხოვრობდა და შვილს იშვიათად ნახულობდა. შვილის თბილისში დატოვების მიზანს წარმოადგენდა ბავშვისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობებისა და გარემოს შექმნა, ვინაიდან მისი აზრით შვილის დედასთან (განმცხადებელთან) ცხოვრება ცუდად აისახებოდა მის ფსიქიკაზე, რადგან მას

[339] <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-156273#{"itemid":["001-156273"]}> [უკანასკნელად ნანახია 28.03.2016]

აღენიშნებოდა ფსიქიკური პრობლემები, რაც გამოწვეული იყო ბავშვობაში მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმით, რომელიც დის უბედური შემთხვევით სიკვდილმა გამოიწვია.

აღნიშნულ საქმეზე **სასამართლომ** დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა, მიიჩნია რა, რომ ეროვნულ სასამართლოებში საქმის განხილვის ეტაპზე დაშვებული იქნა მნიშვნელოვანი ხარვეზები, მათ შორის, ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. სასამართლოებმა ვერ დაადგინეს, რა იქნებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ამასთან, საქმის წარმოებაც გაჭიანურდა. აღნიშნული ხარვეზები სასამართლომ განმცხადებლის უფლებაში არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნია.